პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

28 აპრილი **ოთხშაბათი** 2010

№ 097 (13 085) ფასი 60 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლიონი 0 ოლიჩი 3




ივიცა ოლიჩს გააქვს მეორე გოლი

» გვერდი 6

# გახსოვდეთ:

## ფინალი სულ სხვაა!




მარცხნიდან: ვალერი ლიპარტელიანი, ლევან ნიკლაური და ზაზა კედელაშვილი

» გვერდი 11

# ინტერს ჟოჟოხეთით ემუქრებიან







» გვერდი 6

ბავშვთა ფეხბურთი

# 35-ე სკოლა, ახალი სტადიონი და მოედნები

## ცოტა უცნაური ამბავი: სკოლას ბავშვები მიაწყდნენ

**ქართული ფეხბურთი კრიზისშია, ირგვლივ მხოლოდ წუწუნია, მაგრამ საფეხბურთო სკოლის საფუძველზე აღმოცენებული საფეხბურთო კლუბ „35-ე სკოლის“ პრეზიდენტი გოჩა ავსაჯანიშვილი იმედიანადაა განწყობილი...**

**- ბატონო გოჩა, ბოლო დროს თბილისის საფეხბურთო სკოლებში გამძაფრებული კონკურენციაა. რა კეთდება 35-ე სკოლის განვითარებისთვის?**

- „მარაკანაზე“ გავაკეთეთ საშხაპეები, გასახდელები, დავაგეთ ახალი ხელოვნური საფარი, ამოვთხარეთ ჭა და ვიწყებთ 60 ადამიანზე გათვლილი სასტუმროს მშენებლობას. უკვე დღეს „მარაკანაზე“ ვარჯიში და თამაში უმაღლესი ლიგის გუნდებსაც სიამოვნებთ. კეთდება ტრიბუნა 400 მაყურებელზე, 36-ლუქსიანი განათება, რაც სავარჯიშოდ სავსებით საკმარისია. მეგობრების დახმარებით და საკუთარი სახსრებით საფარი გამოვცვალეთ, გვეხმარება მერია და განათლების სამინისტრო. ჩვენ განათლების სამინისტროს კუთვნილ საჯარო სკოლას გამოვეყავით, საფეხბურთო კლუბი „35-ე სკოლა“ ჩამოვაყალიბეთ და მოედნები იჯარით ავიღეთ. სასტუმრო სკოლაშიც მოვაწყვეთ, სადაც რაიონებიდან ჩამოყვანილ ბავშვებს ვაცხოვრებთ, ვკვებავთ და ყველანაირად ვეხმარებით. გავაკეთეთ პატარა ზომის ბალახისსაფარიანი მოედანი, სადაც 6-დან 9 წლამდე ასაკის ბავშვებს ვავარჯიშებთ. ამას გარდა, თბილისის შემოსასვლელში, დიდი დიღმის გზის მიმდებარე ტერიტორიაზე მალე ორი სტანდარტულ, ბალახისსაფარიან მოედანს გავაკეთებთ, რაშიც ჩვენი მეგობრები დაგვეხმარებიან.

**- მეგობარი ბიზნესმენები?**

- დიახ, ბიზნესმენები, რომლებმაც ნახეს, რაც აქამდე გავაკეთეთ და თანადგომაც გადაწყვიტეს. მალე ხელშეკრულებასაც გავაფორმებთ და მათი ვინაობა საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება. ლაპარაკია უცხოეთში მცხოვრებ ქართველებზე.

**- მათ შორის, შოთა არველაძეს გულისხმობთ?**

- შოთა ჩვენ ყოველთვის გვეხმარებოდა. ახლახან, ჰოლანდიიდან 700 წყვილი ფორმა გამომატანა ბავშვებისა და მწვრთნელებისთვის, ანუ მთელ სკოლას ჩაგვაცვა და დაგვახურა. ხომ ხვდებით, ეს რამხელა თანხაა?! ტყუპები ხომ 35-ე სკოლის აღზრდილები არიან... შოთა კიდევ ბევრ რამეს გვპირდება, მაგრამ ამაზე მოგვიანებით შეიტყობთ.

**- უმაღლესი ლიგის კლუბებიდან საკუთარი საფეხბურთო სკოლა ბევრს არ აქვს. თუმცა მომავალი თაობის გაზრდა ყველას ადარდებს. ნუთუ, თანამშრომლობას არავინ გთავაზობთ?**

- რამდენიმე გუნდმა სკოლის დაფინანსებისა და ხანგრძლივი ვადით თანამშრომლობის სურვილი გამოხატა, სამაგიეროდ კი ბავშვების წაყვანა სურთ. მალე ბევრი რამ გაირკვევა.

**- რაც არ უნდა წარმატებული იყოს სკოლა, პარტნიორი აუცილებლად სჭირდება...**

- რა თქმა უნდა, ჩვენ გვაქვს სკოლა და კლუბი, მათი შენახვა კი საკმაოდ დიდი ხარჯია. სკოლაში გადასახადი 50 ლარია, რაც არ არის ყველაზე მაღალი ტარიფი. თუმცა კომუნალური გადასახადების, წყლისა და შუქის შემცირების შემთხვევაში, ბავშვებს თავადაც ბევრად ნაკლებ თანხას მოვთხოვთ. ლაპარაკია გადასახადების შემცირებაზე. თბილისის მერიის გადაწყვეტილება, მიწისა და ქონების გადასახადის შემცირებაზე, გვაიმედებს. ალბათ, ის მალე ამოქმედდება და შვებას ვიგრძნობთ.

**- ბავშვების რაოდენობა თბილისის ერთ-ერთ ელიტურ უბანში მდებარე საფეხბურთო სკოლაშიც შემცირდა?**

- ყველა სკოლაში უჩივიან ბავშვების რაოდენობის შემცირებას, მაგრამ სიამაყით გეტყვით, რომ ჩვენ სერიოზული მატება გვაქვს - ბავშვებს ვერ ავუდივართ. ვსინჯავთ და ვინც ჩვენს მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს, არ ვიღებთ. ახლა 500-მდე ბავშვი გვყავს, ყველა რომ მიგვეღო, ეს ციფრი გაორმაგდებოდა.

**- მიუხედავად იმისა, რომ კახა გოგიჩაიშვილის „35-ე სკოლა“ პირველი ლიგის აუტსაიდერია, იქ ბევრი საინტერესო ბავშვია: მეკარე ჯალალონია, ცენტრალური მცველი ბიბილაშვილი, ფლანგის სწრაფი მცველი ჭაფოძე, საყრდენი გავაშელიშვილი, თავდამსხმელი ტულუში... პლეიმეიქერი გიორგი თექთურმანიძე კი, როგორც იცით, თბილისის „დინამომ“ წაიყვანა...**

- გოგიჩაიშვილს არც აქვს იმის ფუფუნება, ერთწლიანი გუნდი ჰყავდეს, ვინც მოეწონება, მიჰყავთ და ხელს არც ვუშლით. სხვათა შორის, თქვენ მიერ ნახსენები ფეხბურთელებიდან ბევრი წაიყვანეს - ჯალალონია ხობის „კოლხეთში“, ბიბილაშვილი უცხოეთში, ტულუში ფინეთში... მერიდება თქმა, რადგან საქმე ჩემს შვილს ეხება, მაგრამ ფაქტია - „დინამომ“ გუჯა ავსაჯანიშვილიც აიყვანა. გუნდის მიზანი სწორედ ახალი ტალანტების დაწინაურებაა. ზოგიერთი ბავშვი სკოლამდელ ასაკში ვერ იხსნება და 20 წლამდე სჭირდებათ დრო. შესაძლოა, ჩვენი გუნდი პირველი ლიგიდან გავარდეს, მაგრამ „35-ე სკოლა“ რეგიონალლიგაშიც გამოდის, ლიდერია და პირველში გადადის. ასე რომ, პირველ ლიგაში მომავალ სეზონსაც ვითამაშებთ და დიდ ფეხბურთში გზას კიდევ ბევრ ნიჭიერ ბავშვს გავუკვალავთ. რაც მთავარია, ახალი მოედანი გაცილებით უფრო ნაყოფიერი მუშაობის საშუალებას მოგვცემს. ხარისხიან და უხარისხო მოედნებზე მუშაობას ხომ სულ სხვადასხვა შედეგი მოაქვს.

ლეგიონერები

# ვოლგაში კიდევ ერთ ქართველს ელიან

## მარცვალაძე შარშანდელზე მეტს უმიზნებს

რუსეთის პირველი დივიზიონის მე-6 ტურში ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგამ“ ხაბაროვსკის „სკა-ენერგია“ ქართველების გოლებით (2:0) დაამარცხა. სტუმართა კარი პირველად 31-ე წუთზე ედიკ საჯაიამ აიღო, 38-ე წუთზე კი მატჩის საბოლოო შედეგი ოთარ მარცვალაძემ დააფიქსირა.

საჯაიას კარგი თამაში რუსულმა მედიამაც დააფასა და მარცხენა ცენტრალური მცველის პოზიციაზე ტურის სიმბოლურ ნაკრებშიც დაასახელა: *„საიმედოდ თამაშობდა დაცვაში, ყველა საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო, შეტევებში დროულად ერთვებოდა და მატჩის დასაწყისში მნიშვნელოვანი ბურთი გაიტანა“*, - ასეთია მედიის არგუმენტი.

29 წლის ქართველი მცველი შეხვედრის საუკეთესო ფეხბურთელადაც დაასახელეს და „ვოლგას“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ პობეგალოვმა თამაშის შემდეგ ძალიან აქო: *„საჯაიას ცუდად არც გასვლით შეხვედრებში უთამაშობია და ძირითადშიც დღეს წარმატებით დაბრუნდა. ის მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად შემთხვევით არ დაუსახელებიათ, საჯაიამ ჩვენი გუნდის დაცვა შეკრა და ამას გარდა, უმნიშვნელოვანესი გოლი გაიტანა“.*

ჩვენ „ვოლგას“ ქართველ ფეხბურთელებს ედიკ საჯაიასა და ოთარ მარცვალაძეს დავუკავშირდით და ინტერვიუ ჩამოვართვით.

*ედიკ საჯაია*

### აქ ანჟიზე უკეთესი პირობებია

**- „ვოლგა“ წინ მიდის, მაგრამ რუსული ფეხბურთის შიდა დინებების გათვალისწინებით, პრემიერლიგაში გადასვლის რა შანსი გაქვთ?**

- პრემიერლიგაში უეჭველი უნდა გადავიდეთ, სხვა შედეგი მიუღებელია ჩვენთვისაც და ხელმძღვანელობისთვისაც.

**- ამ სურვილს გუნდის პოტენციალი თუ უწყობს ხელს?**

- ამაში დარწმუნებული ვარ. „ვოლგაში“ ყველანაირი პირობაა, რომ მიზანს მივაღწიოთ და უფრო მაღალ დონეზე ვითამაშოთ, თან მართლა ძლიერი და მეგობრული გუნდი გვყავს.

**- „ანჟიზე“ უკეთესი?**

- „ვოლგაში“ ბევრად უკეთესი პირობებია. რაც შეეხება „ანჟის“... განსაკუთრებულ განსხვავებას ვერ ვხედავ. „ვოლგაც“ თითქმის ამ დონის გუნდია.

**- სათამაშო სტილში დიდი განსხვავებაა?**

- რა თქმა უნდა, სხვადასხვა სტილში ვთამაშობთ. მთავარი განსხვავება ტაქტიკაშია. „ვოლგა“ უფრო შემტევ ფეხბურთს თამაშობს. მე ეს ფეხბურთი მომწონს... ეს წელი მარცვალაძემაც ძალიან კარგად დაიწყო. ალბათ ერთად ყოფნა ორივეზე კარგად მოქმედებს. უცხო გუნდში მარტო თამაში ძნელია. მარცვალაძე წელს ბომბარდირი უნდა გახდეს. გეცოდინებათ, ბოლო ტურში გოლები სწორედ მე და ოთარმა გავიტანეთ.

**- როგორც გავიგეთ, სეზონის დაწყებამდე „ვოლგაში“ ხოჯავას გადასვლაზეც იყო ლაპარაკი...**

- არა, ხოჯავაზე ლაპარაკი არ ყოფილა. გოჩას „ანჟი“ არ გამოუშვებს, მასზე აქვთ თამაში აწყობილი... თუმცა „ვოლგაში“ მალე, შესაძლოა, სხვა ქართველი იხილოთ... ოღონდ ამაზე ჯერ მხოლოდ ლაპარაკია.

**- ალადაშვილი ხომ არა?**

- ალადაშვილზე არ არის ლაპარაკი, კახას სეზონის დაწყებამდე იწვევდნენ, მაგრამ „კრილია სოვეტოვში“ ჩარიცხვა რეალური ეგონა და არ წამოვიდა... მოკლედ, ვის იწვევენ, მალე გაიგებთ, ჯერ ტრანსფერი უნდა მომწიფდეს...

**- „ვოლგას“ მთავარი მწვრთნელის პოსტს ომარ თეთრაძეს სთავაზობდნენ. სხვათა შორის, „სპორტ-ექსპრესთან“ თეთრაძემ სეზონის დაწყებამდე თქვა - ხოჯავამ „ვოლგასთან“ კონტრაქტი გააფორმაო...**

- ხოჯავაზე არაფერი მსმენია, სეზონის დაწყებამდე კი ომარის დანიშვნაზე მართლა ლაპარაკობდნენ, მაგრამ ახლა ამაზე აღარაფერი ისმის. ერთხელ თეთრაძე ნიჟნი ნოვგოროდშიც იყო, ყაზანში მიდიოდა და გამოგვიარა - ყურადღებიანი ადამიანია და აინტერესებდა, როგორ მოვეწყვეთ. „ანჟიდან“ ჩვენს წასვლას განიცდიდა.

*ოთარ მარცვალაძე*

### ესტონეთთან თამაში არ გამომივიდა

**- ოთარ, ახალ გუნდსაც იოლად შეეწყვე. ეტყობა, აქეთ-იქით ამდენ ხეტიალში უცხოობის კომპლექსი მოგეხსნა...**

- ესეც არის და „ვოლგაშიც“ არ გამჭირვებია, კარგი ბიჭები არიან, ძლიერი გუნდიცაა. მოკლედ, მიხარია, რომ გადმოვედი.

**- რას ფიქრობ, ბომბარდირის შარშანდელ მაჩვენებელს გააუმჯობესებ?**

- მადლობა ღმერთს, აქამდე ყველაფერი კარგად მიდის და იმედი გამიჩნდა, რომ ამ სეზონში შარშანდელზე მეტს გავიტან. „ანჟიში“ მხოლოდ 13 გოლი გავიტანე, მაგრამ მახაჩყალაში ხომ, ფაქტობრივად, მხოლოდ მეორე წრე ვითამაშე. ნიჟნი ნოვგოროდში მეტი დრო მექნება. „ვოლგაში“ ხუთ მატჩში ორი გავიტანე, მაგრამ ფორმაში შევდივარ და მეტი უნდა შევძლო.

**- კიევის „დინამოდან“ მოყოლებული, სხვადასხვა ამპლუაში გათამაშებენ. მახსოვს, უკრაინელებმა რამდენჯერმე საყრდენადაც დაგაყენეს. „ვოლგაში“ რა პოზიციაზე გათამაშებენ?**

- აქ თავდასხმაში მაყენებენ. ჩემი სტილიდან გამომდინარე, ცენტრფორვარდობა არც მინდა. „ვოლგა“ ორი თავდამსხმელით თამაშობს, ცენტრში მაღალ თავდამსხმელს აყენებენ, მე კი მეორე შემტევი ვარ.

**- გულწრფელად გვითხარი, მახაჩყალის გუნდში უფრო უკეთ გრძნობდი თავს თუ ამ მხრივ ნიჟნი ნოვგოროდი სჯობია?**

- აქ უფრო პროფესიული მიდგომაა, ყველაფერი მაღალ დონეზეა, ნიჟნი ნოვგოროდიც ლამაზი ქალაქია და აქ უფრო მომწონს.

**- თემურ ქეცბაიამ ესტონეთთან თავის გამოჩენის შანსი მოგცა, მაგრამ მოგვეჩვენა, რომ გამოფიტული იყავი...**

- ესტონეთთან მატჩამდე „ვოლგას“ შეკრებაზე ვახლდი, მძიმე დატვირთვები გვქონდა და ბუნებრივია, ამ დროისთვის სანაკრებო მატჩისთვის მზად ვერ ვიქნებოდი. ხომ იცით, სამჯერადი ვარჯიშების დროს კუნთები მძიმე მდგომარეობაშია და მსუბუქად ვერ დავრბოდი. ჩემზე უკეთ არავინ იცის, რომ თამაში არ გამომივიდა. თუმცა სეზონი დაიწყო, დატვირთვები აღარ გვაქვს, შეხვედრები გავმართე და ნელ-ნელა თავს კარგად ვგრძნობ.

**- 25 მაისს საქართველოს ნაკრები ავსტრიის ქალაქ ლინცში კამერუნის ნაკრებთან ამხანაგურ მატჩს ჩაატარებს. ხომ არ იცი, გამოძახებული ხარ ამ თამაშზე?**

- ჯერ არავინ დამკავშირებია და ამდენად, მიწვევაზე ლაპარაკი ნაადრევია.

**- როგორც გავიგე, ვინც რუსეთის მოქალაქე არ არის, ყოველთვე ვიზის გაკეთება სჭირდება. შენ ამ პრობლემას როგორ აგვარებ?**

- ვიზის პრობლემა მეც მექმნება. სწორედ ამის გამო, ნიჟნი ნივგოროდში დროულად ვერ ჩავედი და პირველი თამაში გამოვტოვე. თუმცა მოუგვარებელი პრობლემა არ არის და ვფიქრობ, ყველაფერი რიგზე იქნება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**




ოთარ მარცვალაძე და ედიკ საჯაია

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი — პირველი ლიგა

# ტორპედო უმაღლეს ლიგაში

**გუშინდელი** დღე ქუთაისის „ტორპედო 2008“-ის ისტორიაში შევა. პირველად არსებობის ისტორიაში, ამ კლუბმა საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ასპარეზობის უფლება მოიპოვა. დიახ, ორიოდე წლის წინ ჩამოყალიბებული „ტორპედო 2008“ პირველად ითამაშებს უმაღლეს ლიგაში, ძველი „ტორპედო“ კი აღარ არსებობს. ამის მიუხედავად, ქუთაისური გუნდის უძლიერესთა შორის თამაში კვლავინდებურად საინტერესო უნდა იყოს და გუნდს რაც უნდა ერქვას, გულშემატკივართა შორის მაინც კარგად ცნობილ „ტორპედოსთან“ იქნება ასოცირებული.

უმაღლეს ლიგაში გადასვლა ქუთაისელებმა თბილისში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გუნდის დამარცხებით მოიპოვეს. IBSU-მ „ტორპედოს“ საკმაოდ დიდი წინააღმდეგობა გაუწია და მატჩის დასაწყისში დაწინაურდა კიდეც. პირველი ტაიმი თბილისელებმა მოიგეს, იმერლებმა კი შესვენების შემდეგ იძალეს და ჩხარტიშვილისა და ბიბილაშვილის გოლებით გაიმარჯვეს.

ქუთაისელები პირველ ლიგაში სეზონის სტარტიდანვე გალიდერდნენ და მას შემდეგ უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. უმაღლესი ლიგისკენ უდიდესი ნაბიჯი „ტორპედომ“ წინა ტურში, უახლოესი მდევრის, ფოთის „კოლხეთის“ ქუთაისში დამარცხებით გადადგა. ამ მატჩის მოგების შემდეგ ცხადი გახდა, რომ უმაღლესი ლიგის საგზურის გაფორმება დროის ამბავიღა იყო...

ვესაუბრებით „ტორპედოს“ ერთ-ერთ მწვრთნელ სოსო ბზიკაძეს...

**- პირველ რიგში, უმაღლეს ლიგაში გადასვლას გილოცავთ.**

- დიდი მადლობა. ეს პატივი ჩვენმა გუნდმა თავდაუზოგავი შრომით დაიმსახურა. ძალიან ბედნიერები ვართ, ჩვენმა მონდომებამ ნაყოფი რომ გამოიღო და ქუთაისს დიდი ფეხბურთი რომ დაუბრუნდება. მჯერა, „ტორპედო“ თავს არც უმაღლეს ლიგაში შეირცხვენს.

**- „ტორპედოს“ სულ რამდენი მთავარი მწვრთნელი ჰყავს?**

- სამი. მე, გია გიგატაძე და გიორგი სუხიაშვილი. სამივეს მთავარი მწვრთნელის სტატუსი გვაქვს, მაგრამ ხშირად გია გიგატაძის, რიგორც ყველაზე გამოცდილის, აზრს ვანიჭებთ ხოლმე გადამწყვეტ მნიშვნელობას. მე და სუხიაშვილი გუნდში შარშანდელი აპრილის შემდეგ ვართ, გიგატაძე კი ოდნავ გვიან შემოგვიერთდა. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და ჩვენი მოსვლის შემდეგ, „ტორპედო“ გაცილებით შედეგიანად ათამაშდა. წინა სეზონში ეტაპობრივად ვპროგრესირებდით და პირველი ლიგის გათამაშება მეოთხე ადგილზე ჩავამთავრეთ, ახლა კი პირველ ლიგას დამაჯერებლად ვლიდერობთ და უმაღლესი ლიგის საგზურიც დამსახურებულად მოვიპოვეთ. გვინდა, პირველი ლიგა პირველ ადგილზე დავასრულოთ და ამისთვის ორი გამარჯვებაღა გვაკლია.

**- რის ხარჯზე შეძლო „ტორპედომ“ პირველ ლიგაში ასე დამაჯერებლად გალიდერება?**

- ერთი კონკრეტული ფაქტორის დასახელება გამიჭირდება. ალბათ, მეტოქეებს მეტ-ნაკლებად ყველა კომპონენტში ვჯობდით. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ კონკურენტებს ჩვენზე უარესი შემადგენლობა ჰყავთ. მოგეხსენებათ, „ტორპედო“ მთლიანად ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული. გუნდის საშუალო ასაკი 23 წელია. აქცენტს ადგილობრივ ფეხბურთელებზე ვაკეთებთ. სხვა ქალაქებიდან მხოლოდ ოთხი მოთამაშე გვყავს და ოთხივეს უმაღლეს ლიგაში აქვს გამოცდილება მიღებული. ესენი არიან მეკარე მიგინეიშვილი, ფარულავა, ქარქუსაშვილი, ხანიშვილი და ვაშაკიძე. აქვე ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებსაც გადავუხდი მადლობას. ისინი გუნდის წარმატებაში დიდ როლს თამაშობენ. არავის ეგონოს, რომ პირველი ლიგა სუსტი ტურნირია. პირიქით, აქ ყველა გუნდი დიდი შემართებით იბრძვის და თითოეული ქულის მოპოვება ძალიან ძნელია. ამას თუნდაც IBSU-სთან ჩატარებული შეხვედრა მოწმობს.

**- კლუბის ინფრასტრუქტურა როგორ მდგომარეობაშია?**

- როგორც იცით, „ტორპედოს“ საკუთარი ბაზა აქვს, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. გვაქვს საკმაოდ ნორმალური სავარჯიშო პირობები, სტადიონზე გაზონიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ერთი სიტყვით, პირველი ლიგის კვალობაზე ნორმალურ ვითარებაში ვართ.

**- უმაღლესი ლიგის პირობების დაკმაყოფილებას თუ შეძლებთ?**

- დიდი იმედი გვაქვს, რომ შევძლებთ. არის იმის პერსპექტივა, რომ ზაფხულში მძლავრი სპონსორი შევიძინოთ და ამის წყალობით უმაღლეს ლიგაში ღირსეულად ვიასპარეზოთ. კარგად გვესმის, რომ ამჟამინდელი შესაძლებლობებითა და კონტინგენტით უმაღლეს ლიგაში წარმატებული თამაში ძალიან გაგვიჭირდება. იმისთვის, რომ იქ ღირსეულად გამოვიდეთ, დაახლოებით ათი ძლიერი ფეხბურთელის დამატება დაგვჭირდება.

**- კლუბის ფინანსური მდგომარეობა ამჟამად როგორია?**

- ნორმალური. გუნდის მომზადებისა და ხელფას-პრემიების გაცემის პრობლემა არ არსებობს. „ტორპედოს“ მაქსიმალურად უდგას მხარში რეგიონის მმართველობა და ქალაქის ხელმძღვანელობა.

**- ამჟამინდელ სამწვრთნელო საქმეულს კლუბში რა პერსპექტივა აქვს?**

- კონტრაქტი სამივეს სეზონის დასრულებისთანავე გვეწურება და თუ კლუბის ხელმძღვანელობამ ჩვენთან თანამშრომლობის გაგრძელება ისურვა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდებით.

**- ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე სარეკონსტრუქციო სამუშაოები როდის დასრულდება?**

- რეკონსტრუქციის პირველი ეტაპი 26 მაისს მორჩება. ამ დროისთვის ტრიბუნები და გასახდელები მოეწყობა, მეორე ეტაპზე კი მოედნის საფარი შეიცვლება და სტადიონის ინფრასტრუქტურა ბოლომდე მოწესრიგდება.

**- „ტორპედოს“ ფარმკლუბში რა ვითარებაა?**

- ჩვენი დუბლშემადგენლობა რეგიონულ ლიგაში საკმაო წარმატებით ასპარეზობს. გვყავს არაერთი ნიჭიერი და პერსპექტიული ახალგაზრდა, რომლებიც უახლოეს მომავალში მთავარ გუნდსაც დიდ სამსახურს გაუწევენ. ბავშვთა ფეხბურთში კი სამწუხაროდ, ძალიან რთული მდგომარეობაა. პრობლემა ბევრია, მთავარი გასაჭირი კი მოედნების კატასტროფული სიმცირეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**


სოსო ბზიკაძე

ლეგიონერი

# სახეშეცვლილი აკინო



**სეზონის** დასრულებამდე ერთი თვეღა დარჩა, მაგრამ ფაქტობრივად, თითქმის ყველაფერი უკვე გარკვეულია. მაგალითად „ოლიმპის“ ჩემპიონობა მხოლოდ დროის საქმეა, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს „დინამო“ და „ზესტაფონი“ გაითამაშებენ, ევროტურნირებზე მოასპარეზე მეოთხე ქართული გუნდიც უკვე ცნობილია („ვიტ ჯორჯია“); ანალოგიური სიტუაციაა ცხრილის ქვედა ნაწილშიც: სპორტული პრინციპებით თუ ვიხელმძღვანელებთ, „ლოკომოტივის“ და განსაკუთრებით, „გაგრას“ ბედი გარკვეულია; ანუ, დებულების თანახმად, ამ ორივე გუნდმა მომავალი სეზონი პირველ ლიგაში უნდა დაიწყოს. თუმცა, ადრეც ვთქვით და კვლავაც გავიმეორებთ: დიდი შანსია, რომ სეზონის დასრულების შემდეგ უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა გაიზარდოს და „ლოკომოტივსა“ და „გაგრასაც“ უძლიერესთა შორის დარჩენის არცთუ ურიგო პერსპექტივაც გაუჩნდებათ...

ამას გარდა ფაქტობრივად, გარკვეულია ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელისა და აგრეთვე, საუკეთესო ბომბარდირის ვინაობაც; თანაც, ყველაფერი ეს ხდება ჩემპიონატის დასრულებამდე ხუთი ტურით ადრე! ხვდებით, ალბათ, რომ **ანდერსონ აკინოზეა** ლაპარაკი - რუსთავის „ოლიმპის“ ბრაზილიელი ლეგიონერი საუკეთესო ბომბარდირთა დავაში უახლოეს კონკურენტს (**ნიკოლოზ გელაშვილს**) 11 ბურთით უსწრებს; ჰოდა, მართლაც ძნელი წარმოსადგენია, რომ ბოლო ხუთ ტურში ამხელა უპირატესობა გაიფლანგოს, მით უმეტეს, „ზესტაფონის“ კალენდარსაც თუ გავითვალისწინებთ - აკინოს გადასასწრებად, გელაშვილმა „დინამოსთან“, „ვიტ ჯორჯიასთან“ „ოლიმპთან“, „სპარტაკთან“ და „ბაიასთან“ შეხვედრებში 12 გოლი უნდა გაიტანოს; ამასთან, აკინოც... უქმად უნდა იყოს! მოვლენების მსგავსი განვითარება ფანტასტიკის სფეროს ნამდვილად არ განეკუთვნება, მაგრამ რეალობასთან რომ შორს არის, ალბათ, ყველა დაგვეთანხმება. საუკეთესო ბომბარდირობის გარდა აკინოს ასევე, ფაქტობრივად, განაღდებული აქვს კიდევ ერთი პერსონალური აღიარება - ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობა!

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე ფეხბურთელთაგან „ლელოს“ ტრადიციულ „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“ ყველაზე მეტჯერ (თოთხმეტჯერ) სწორედ აკინოა დასახელებული; ამას გარდა, ასევე ყველაზე მეტჯერ (სამჯერ) მივიჩნიეთ „თვის ფეხბურთელად“, თუმცა ამ ბოლო დროს აკინოს ორი სერიოზული კონკურენტიც გამოუჩნდა: თანაგუნდელი **დავით იმედაშვილი** და „დინამოს“ კაპიტანი **გურამ კაშია**. მოდი, ჯერ ის ვთქვათ, რომ იმედაშვილი ცხრაჯერ მოხვდა „ტურის სიმბოლურ ნაკრებში“, კაშია - ათჯერ; ამას გარდა, ორივე ეს მოთამაშე „თვის ფეხბურთელადაც“ (იმედაშვილი - ერთხელ, კაშია - ორჯერ) უკვე გვყავდა დასახელებული, თანაც აპრილისა და მაისის ნომინანტები ხომ ჯერ არ გამოგვივლენია? მოკლედ, აკინოს ვარსკვლავს ნელ-ნელა სიკაშკაშე მოაკლა და ყოველივე ეს განსაკუთრებით აპრილში ჩატარებულ შეხვედრებში გამოჩნდა. თავად განსაჯეთ: ამ თვეში აკინომ მეტოქის კარში მხოლოდ ერთი გოლის გატანა მოახერხა, ისიც აპრილის დასაწყისში (ზუგდიდში, „ბაიასთან“). თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ბომბარდირთა დავაში სანერვიულო ნამდვილად არაფერი უნდა ჰქონდეს. თანაც, მეორე ეტაპის დაწყებიდან, განსაკუთრებით კი ბოლო შეხვედრებში, აკინოს ამპლუაც შეიცვალა - ადრე, ხან გამოკვეთილ ცენტრფორვარდად თამაშობდა, ხანაც ოდნავ უკან დახეულ თავდამსხმელად. მეორე ეტაპის დასაწყისში „ოლიმპში“ **რეზო ჯიქია** და **სანდრო იაშვილი** მოვიდნენ და გუნდის მთავარი მწვრთნელი თემურ მახარაძე გამოკვეთილ ცენტრფორვარდად ამ ორი ახალწვეულიდან ერთ-ერთს აყენებს ხოლმე.

აი, აკინო კი, უმეტეს შემთხვევაში, 4-3-2-1 განლაგების დროს მარცხენა ინსაიდად გვევლინება და შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ რამდენჯერმე „მოგვეჩვენა“, რომ ჩემპიონატის მართლაც ნომერ პირველ ფეხბურთელს (ჯერჯერობით, ასეა) ამ პოზიციაზე ასპარეზობა... დიდად არ სიამოვნებს! კვლავაც შესაძლოა, ვცდებით, მაგრამ ასევე რამდენჯერმე „მოგვეჩვენა“, რომ აკინო მატჩის დროს უკმაყოფილებას გამოთქვამდა თანაგუნდელების გამო - აქაოდა, ხელსაყრელ პოზიციაზე მყოფს, პასებს არ მაძლევენო! საერთოდაც და ეს არა მხოლოდ ჩვენი სუბიექტური აზრია: აკინო - პირველ ეტაპზე და აკინო - მეორე ეტაპზე, ფაქტობრივად, ორი... განსხვავებული ფეხბურთელია! ეგ კი არა, ისეთი შთაბეჭდილებაც გვრჩება, კონკრეტულ შეხვედრაში საკუთარი შესაძლებლობების მხოლოდ ნახევარს ავლენს; თუმცა, მეორე მხრივ, არც გაემტყუნება: ბრაზილიელი იმას თუ ამჩნევს, ოფლდაუღვრელად, ორთაბრძოლებში შეუსვლელად და აუჩქარებლად დაძლიოს მეტოქეთა წინააღმდეგობა, თავი რაღაზე უნდა „გაიგიჟოს“? ჰო, თითქოს ცეცხლი ჩაუქრაო თვალებში, ისე უემოციოდ ასპარეზობს ამ ბოლო დროს. არადა, მართლაც ერთი სიამოვნება იყო იმის ნახვა, ბურთს რომ მოიგდებდა და „ოლიმპის“ შეტევას წამოიწყებდა ხოლმე - დახვეწილ და ეფექტურ დრიბლინგს ან ზუსტი და არანაკლებ ეფექტური პასი უნდა მიეყოლებინა, ანაც ასევე ზუსტი კარში დარტყმა. ეგ კი არა, „სტანდარტულების“ შესასრულებლადაც ახლა, რაღაც „უხალისოდ“ მიეშურება ხოლმე, არადა, ქართული გუნდების რამდენმა მეკარემ გამოსცადა საკუთარ თავზე, თუ რას ნიშნავს აკინოს მიერ შესრულებული საჯარიმოები თუ კუთხურები...

...თუ არ ვცდებით, წინა თვეში იყო (როცა აკინო აპრილის საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნიეთ), საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში მართლაც გამორჩეული ლეგიონერები (**ხაპოვი, ფრიდრიკასი, ბალტუშნიკასი, პოროშინი, ოვონო, კესანი, დე პორასი, ტიაგო, ვიეირა**) გავიხსენეთ. ისიც აღვნიშნეთ, რომ აკინო სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნება-თქო და დავძინეთ, „ოლიმპის“ ბრაზილიელ შემტევს იმის შანსიც ეძლევა, საქართველოს ჩემპიონატების ყველა დროის საუკეთესო ლეგიონერიც გახდესო! უფრო ადრე კი სხვა ასპექტზე გავამახვილეთ ყურადღება: აკინოს ასეთი შთამბეჭდავი თამაში გულშემატკივარს გულგრილს ნამდვილად ვერ ტოვებს და უფრო მეტიც - სიამოვნებას ანიჭებს-თქო. თანაც, რაც მთავარია, იმ ვირტუოზული ფინტებით, დახვეწილი პასებით თუ ეფექტური გოლებით თვითონაც სიამოვნებას ღებულობდა - ყოველ შემთხვევაში, პირველ ეტაპზე რაც აკინოს მონაწილეობით თამაშები ვნახეთ, ბრაზილიელს სახიდან ღიმილი არ შორდებოდა. ახლა კი, აღარც ღიმილი ჩანს და, თითქოს, თამაშის ხალისიც დაკარგული აქვს, - ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება...

...“ოლიმპი“-“გაგრას“ მატჩის დამთავრებას ხუთიოდე წუთი უკლდა, მასპინძელთა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ მესამე ცვლილება რომ განიზრახა. რუსთაველები დამაჯერებლად (3:0) იგებდნენ შეხვედრას და „ჩვეულებრივს“, ტაქტიკურ შეცვლას ჰგავდა: მოედანზე ცენტრალური მცველი **ნოდარ მაჭავარიანი** უნდა შემოსულიყო, ვინც... ანდერსონ აკინოს ცვლიდა. ჰოდა, უნდა გენახათ აკინოს გამომეტყველება, როცა დაინახა, რომ სწორედ მას ცვლიდნენ! მერე, აუჩქარებელი ნაბიჯით მოედნიდან ისე გავიდა, შეცვლაზე შემოსული თანაგუნდელისათვისაც არ ჩამოურთმევია ხელი, არც მწვრთნელებისკენ გაუხედავს და სათადარიგოთა სკამის ნაცვლად, დემონსტრაციულად... გასახდელისკენ გაეშურა! ჰო, ნამდვილად ულამაზო სცენა იყო - რაც უნდა გამორჩეული ფეხბურთელი იყო, თანაგუნდელების, მწვრთნელების და საერთოდ, გულშემატკივრების პატივისცემა ყველას მოეთხოვება...

...დაახლოებით ერთი თვეა, თითქმის ყველა მატჩში აკინო მხოლოდ... „ნახევარი ძალით“ თამაშობს; რა თქმა უნდა, აქაურობას ალღო კარგად აუღო და მიხვდა, რომ ძალების მინიმალური დაზოგვითაც შესაძლებელია წარმატების მიღწევა. მაგრამ, მოდი, ისიც ვთქვათ: ზაფხულში, „ოლიმპს“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაცო მატჩები რომ ექნება, თამაშს მაშინაც ასე „სანახევროდ“ აპირებს?..

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

# შესაძლოა, თურქული ბიზნესი დაინტერესდეს?

## პრეზიდენტის ფიქრები, შავი ზღვა და აფრები

**გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ საქართველოში იმყოფებოდა საფეხბურთო აგენტი ჰასან ალი ქარაჰასანოღლუ, რომელიც აქ ადგილობრივმა პარტნიორებმა და აჰმედ დემირმა მოიწვიეს. დემირი ახალგაზრდა კაცია. ის პირველი ლიგის კლუბ IBSU-ს (შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის) პრეზიდენტი და უნივერსიტეტის სპორტული ფაკულტეტის დეკანი გახლავთ. არადა, ყველაფერი... სამი ბურთით დაიწყო. ასე ჩამოყალიბდა IBSU, რომლის მთავარი მწვრთნელი გოჩა ჟორჟოლიანია. ჩვენ კი აჰმედ დემირის პატარა ინტერვიუს გთავაზობთ...**

**- ბატონო დემირ, რა მიზნით ჩამოაყალიბეთ კლუბი?**

- ჩვენ საქართველოში ვსაქმიანობთ და აქედან გამომდინარე, მსურდა კლუბის ჩამოყალიბება. აქ ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელია, რომელთა ნაყვანა და ძლიერ კლუბებში მოწყობა სავსებით შესაძლებელია. თურქეთში ბევრი საინტერესო ვარიანტია. ზოგიერთს თავის გამოჩენა სუპერლიგაშიც შეუძლია, ზოგიც პირველი ლიგიდან დაიწყებს... მაგალითად, ხიზანიშვილის ნაყვანა „გალათასარაის" სურდა, მაგრამ ტრანსფერი ჩაიშალა. თურქეთში რომ ველაპარაკები კლუბებსა და მენეჯერებს, იცით, რას მეკითხებიან? არველაძეებისა და ნემსაძის დონის მოთამაშეები თუ გეგულებაო? თქვენი იმედი გვაქვსო. არადა, ასეთი ფეხბურთელების მოძებნა რთულია, მით უფრო, საქართველოს ჩემპიონატში. IBSU-ს ჩამოყალიბების მიზანი სწორედ ასეთი ტალანტების მოძიებაა. დღეს „დინამოსა" და „ვიტ ჯორჯიას" ფინანსურად კონკურენციას ვერ გავუწევთ, მაგრამ მოთამაშეებს პერსპექტივითა და კავშირებით დავაინტერესებთ. ფეხბურთელებს დიდ სარბიელზე გასვლის სტიმული და პერსპექტივის შეგრძნება სჭირდებათ. ამას გარდა, საქართველო ჩვენი მეგობარი ქვეყანაა. გვინდა, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა თურქეთში დავპატიჟოთ და საკმაოდ საინტერესო პროექტი შევთავაზოთ...

**- რა პროექტზეა ლაპარაკი?**

- ჯერ კიდევ ბევრი რამ დასაზუსტებელია და დაკონკრეტებას მოვერიდები. ზოგადად გეტყვით, რომ ეს თურქეთისა და ქართული ფეხბურთის დაახლოების გეგმაა. მერე ვიტყვი, რომ ქართულ ფეხბურთში ჩემი კვალი დავტოვე. როცა თანამშრომლობის დეტალები საბოლოოდ დაზუსტდება, მერე ყველაფერს გაიგებთ.

**- როგორია IBSU-ს ფინანსური მდგომარეობა?**

- მთავარია არა ფული, არამედ საქმის სწორად და გულიანად გაკეთება. „გალათასარაიმ" უეფას თასი რომ მოიგო, ფული არ ჰქონდა - ბანკების 35-მილიონდოლარიანი დავალიანება დაუგროვდა და ფეხბურთელების ხელფასს დროულად ვერ უხდიდა. ამის მიუხედავად, მოთამაშეები მოედანზე თავს იკლავდნენ. მცველმა ბიულენტ ქორქმაზმა „არსენალთან" ფინალში მოტეხილი ხელით ითამაშა. კარგ დღეში არც ჰაჯი იყო, კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი უჩიოდა ტრავმას, მაგრამ მაინც მოვიგეთ. ასეთი სულისკვეთების გუნდის ჩამოყალიბება თუ შევძელით, ბევრად მდიდარ კლუბებს ვაჯობებთ. სხვათა შორის, როცა კლუბი ჩამოვაყალიბეთ, გაგიკვირდებათ და, სულ სამი ბურთი გვქონდა, ორმოებიან მოედანზე ვვარჯიშობდით. ამის მიუხედავად, დარწმუნებული ვიყავი, რომ საქმეს ავაწყობდით და ასეც მოხდა. მაშინ ვერც წარმოვიდგენდი, რომ პირველ ლიგაში გუნდი მეყოლებოდა.

**- ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ მხოლოდ ენთუზიაზმით და უფულოდ საქმე ვერ გაკეთდება...**

- სპონსორებს ვეძებთ და ბიზნესმენებისთვის საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა შეთავაზებამაც დაგვაინტერესა. სხვათა შორის, შეიძლება, თურქული კომპანია ჩამოვიყვანოთ...

**- თქვენი აზრით, თურქული კომპანია ქართული ფეხბურთით დაინტერესდება?!**

- თუკი საინტერესო პირობებს შესთავაზებენ, რატომაც არა?! სპონსორი ისე არ გამოჩნდება, შენ უნდა შესთავაზო საინტერესო წინადადება და გადადგმული ნაბიჯიც აჩვენო. გარკვეული თანხის იმედი ტრანსფერებიდანაც გვაქვს. ჩვენი ნაბიჯი რამდენიმე მოთამაშის გაშვებაც იქნება. დაინახავენ, რომ საინტერესო ბავშვები გვყავს და მერე უფრო დაინტერესდებიან.

**მერაბ მამულაშვილი**

გერმანელი ჟურნალისტის ჩანაწერები

# კობიაშვილი ჰანოვერში ან ლევერკუზენში ითამაშებსო...

## რა მიზნით იყო საქართველოში გინესის რეკორდსმენი

**გასულ უქმეებზე რუსთავში გერმანელი ჟურნალისტი შტეფან შლაი იმყოფებოდა. ჰერ შლაისთან ერთად ვადევნებდი თვალს რუსთავის „ოლიმპისა" და „გაგრას" მატჩს. თამაშის შემდეგ შლაი „ლელოს" რედაქციაში მოვიპატიჟე, მერე ვივახშმეთ და გერმანელმა ღამით დატოვა თბილისი, ბათუმის გავლით ტრაბზონს გაემგზავრა, იქიდან კი დიუსელდორფში გადაფრინდა. ჩვენი ურთიერთობის 8 საათის განმავლობაში შტეფან შლაის, რომელმაც მშობლიურის გარდა, ინგლისურიც იცის, ენა და კალამი არ გაუჩერებია. განუწყვეტლივ მეკითხებოდა ქართული ფეხბურთის, მოთამაშეების, ნაკრების, ჩვენი ქვეყნის... შესახებ. პასუხებს ისმენდა და უბის წიგნაკში ინიშნავდა იმ მასშტაბური მასალისთვის, რომელსაც სამშობლოში ჩასვლისას მოამზადებდა და გამოაქვეყნებდა.**

### რეკორდსმენი და ჟურნალისტი

...როგორც სტუმარმა მითხრა, მოგზაურობამ და ფეხბურთის სიყვარულმა გახადა პოპულარული, მეტიც, გინესის რეკორდების წიგნშიც დაუმკვიდრა ადგილი. საკმარისია უცხოურ საძიებო ვებგვერდებზე მისი სახელი და გვარი Stephan Schlei დაწეროთ და იოლად მოძებნით ინფორმაციას, რომ ის გინესის რეკორდების წიგნში 1972 წელს იმიტომ მოხვდა, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მოგზაურობით 1 მილიონი კმ დაფარა (იხილეთ search.com/-reference/Hitchhiking). გასული წლის მონაცემებით, **შტეფან შლაის** 1 325 ათასი კმ აქვს დაფარული (იხ. fckuressaare.ee/?module=news&id=728).

შტეფან შლაი დიუსელდორფის სიახლოვეს, პატარა ქალაქ რატინგენშია დაბადებული და ახლაც იქ ცხოვრობს. ის სხვა მხრივაცაა გამორჩეული, შარშანდელი მონაცემებით 2109 საფეხბურთო მატჩი აქვს ნანახი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. მას ორი უსაყვარლესი გუნდი ჰყავს, „ლივერპული" და დიუსელდორფის „ფორტუნა". 1 208 კლუბის მატჩს დაესწრო და 836 სტადიონზეა ნამყოფი (იხ. bernd.wechner.info/Hitchhiking/Suite101/Article/?54).

ამ გუნდებისა და სტადიონების რიცხვს „ვიტ ჯორჯია", თბილისის „დინამო","ოლიმპი", „გაგრა" და „ფოლადის" არენაც შეემატა. შლაი საქართველოში თურქეთიდან გვეწვია, ჯერ აზერბაიჯანსა და სომხეთს სტუმრობდა, მერე კი საქართველოდან დაბრუნდა სამშობლოში. მისი სტუმრობის მიზანი ორი იყო - პირველი, ნანახი მატჩების, გუნდებისა და სტადიონების, ზემოთ ჩამოთვლილი მაჩვენებლის გაზრდა და მეორე - სტატიის მომზადება.

### ოლიმპი ყველას სჯობს

როგორც ალვნიშნე, შტეფან შლაიმ უამრავი კითხვა დამისვა და უბის წიგნაკშიც ბევრი რამ ჩაიწერა. საინტერესოა, რას დაწერს ჩვენს ქვეყანაზე, ფეხბურთზე, მოთამაშეებზე... ეს ჩვენი მკითხველისთვისაც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. ყველაზე საინტერესო ამბებს, გემრიელი ლუკმისა არ იყოს, ბოლოსთვის შემოვინახავ...

*„საქართველოში ადრე არასდროს ვყოფილვარ. გერმანიაში ბევრი ქართველია და თქვენს ქვეყანაში ჩამოსვლამდე, თანამემამულეებმა სამშობლოში მითხრეს, ქართველები თბილი, კეთილი და სტუმართმოყვარე ხალხია, მდიდარი სამზარეულო აქვთ მსუყე კერძებით, ჩვენსავით უყვართ ლუდი და გართობა, მაგრამ მათი მოლხენა უფრო ხანგრძლივია, შეუძლიათ სუფრასთან ღამე გაათენონ და პუნქტუალობაში მოიკოჭლებენ"* - ეს გერმანელის სიტყვებია. გამომშვიდობებამდე შლაიმ მითხრა, რომ ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში თითქმის დარწმუნდა, მაგრამ საქართველოში იმდენი სითბო და მხარდაჭერა ნახა, რომ არასდროს დაავიწყდება, დაწერს და მეგობრებსაც უამბობს.

*„ვერ ვიტყვი, რომ სრული წარმოდგენა მაქვს*



*თქვენს პირველობაზე. თუმცა სომხეთსა და აზერბაიჯანს დონითა და კლასით ნამდვილად ჯობიხართ. ბუნებრივად მიჩნდება კითხვა, რატომ არიან ქართველი ფეხბურთელები სომხურ და აზერბაიჯანულ კლუბებში? ალბათ ფინანსების გამო... მაშინ სხვას გკითხავთ, რატომ არ დებენ ინვესტორები ფულს ქართულ ფეხბურთში?"*, - ესეც შლაის სიტყვებია. მისი თქმით, „ოლიმპისა" და „გაგრას" მატჩი „ვიტ ჯორჯია"-"დინამოს" თამაშზე უკეთესი სანახაობა იყო. გერმანელს ძალზე მოეწონა რუსთაველთა გუნდი და აღნიშნა, რომ ამ გუნდის ჩემპიონობას წინ ვერაფერი დაუდგება. სჯობს სხვა გუნდები მომდევნო სეზონისთვის მოემზადონ.

ჰერ შლაის „დინამოდან" **ჯორჯ აკირემი, გიორგი თექთურმანიძე** და **გურამ კაშია** მოეწონა, „ვიტ ჯორჯიიდან" **ირაკლი კლიმიაშვილი,** „ოლიმპიდან" **დავით იმედაშვილი, სანდრო იაშვილი, დენის დობროვოლსკი, თემურ ღონღაძე** და **გია კვარაცხელია**. აღნიშნა, რომ ბრაზილიელ **აკინოს** დიდი პოტენციალი აქვს და მეტი შეუძლია. არ ვიცი, საიდან იცნობდა, მაგრამ ფაქტია, შტეფან შლეი **გიორგი ხიდეშელს** გამოელაპარაკა - კარგი ფეხბურთელი შეუძლია გახდეს, თანაც გერმანული იცისო, ხუმრობით დასძინა. „გაგრადან" მეკარე **რევაზ თევდორაძე**, უკრაინელი ნახევარმცველი **ნიკოლაი ნაკონეჩნი** და აფრიკელი თავდამსხმელი **ოვონიკოკო**. გერმანელმა სტუმარმა იცოდა, რომ მოქმედი ჩემპიონი „ვიტ ჯორჯიაა", ვიტელთა „მარიბორთან" მატჩიც ჰქონდა ნანახი და განაცხადა, ჯორჯიელებმა „მარიბორთან" უკეთ ითამაშეს, ვიდრე თბილისის „დინამოსთანო".

### ...მინახავს ლეგენდარული ოქროს დინამო

*„საქართველოს ნაკრებზე ბევრი არაფერი ვიცი. ერთი თუ ორი მატჩი მაქვს ნანახი, ისიც ადრე, კლაუს ტოპმიოლერის მწვრთნელობისას. არ ვიცი, ადრე როგორ თამაშობდა თქვენი ეროვნული, მაგრამ ტოპმიოლერის გუნდი სჯობდა ექტორ კუპერის კრებულს.*

*თქვენი ნაკრებიდან ყველაზე კარგად ლევან კობიაშვილისა და ალექსანდრე იაშვილის თამაშს ვიცნობ. მინახავს კახა კალაძის, ზურაბ ხიზანიშვილის, მათე ღვინიანიძის მატჩები... დიდებული ფეხბურთელები გყავდათ, გიორგი ქინქლაძე, შოთა არველაძე, გიორგი ნემსაძე, კახა ცხადაძე... თუმცა უფრო დიდებული, შეიძლება ითქვას ლეგენდარული გუნდი გყავდათ გასულ საუკუნეში, 70-80-იან წლებში.*

*...დიუსელდორფის სტადიონი ჩემთვის მშობლიური არენაა. 1981 წელს თასების თასის ფინალსაც დავესწარი... მახსოვს მაშინდელი „დინამო". სასტარტო 11-ეულიდან 2-3 გვარი შეიძლება ვერ გითხრათ, თორემ ყველა ვიცი გაბელია, ჩივაძე, დარასელია, სულაქველიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია... გუცაევის გოლი მახსოვს. დარასელიას მიერ გატანილი ბურთი, რიკარდო ლატანცის საფინალო სასტვენი და ტრიბუნაზე მყოფი ქართველების უზომო სიხარული ახლაც თვალწინ მიდგას... არც იმას დავმალავ, რომ ფინალში იენელებს ვგულშემატკივრობდი, მაგრამ „დინამომ" დაჩრდილა „კარლ ცაისი" და დამსახურებულად მოიგო... ჰო მართლა, ის კაცი ვინაა და სადაა, მსაჯს ბურთი ხელიდან რომ გამოსტაცა და გაიქცა?*

*ჩივაძე ლეგენდარული კაპიტანი იყო. მას კაპიტნობა მოედანზე თამაშის დროსაც ეტყობოდა და მის მზერაშიც იმავეს ამოიკითხავდით. შენგელია უბადლო მეგოლე იყო. ემოციური და მყვირალა დამამახსოვრდა მეკარე გაბელია. ყიფიანი ისე თამაშობდა, რომ ბურთს ეფერებოდა. გუცაევი ფლანგის აგრესორი იყო მეტოქისთვის, სულაქველიძეც მახსოვს და გამარჯვების გოლის ავტორი დარასელიაც"* - შტეფან შლაიმ ეს სიტყვები ემოციებითა და გრძნობით წარმოთქვა და უცვლელად გადმოვეცით. მხოლოდ იმას დავძენთ, რომ მას დინამოელთა ყველა ჩამოთვლილი გვარი არ ახსოვდა და ზოგი სათამაშო ამპლუით გაიხსენა.

### კობის ჰანოვერი ან ლევერკუზენი წაიყვანსო...

*„კობიაშვილი ბუნდესლიგაში ერთ-ერთი გამორჩეული ფიგურაა. „ჰერტა" უკვე გავარდნილია ბუნდესლიგიდან, მაგრამ კობი არ დაიკარგება. გადაჭრით ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგაში უკლუბოდ ნამდვილად არ დარჩება და მას ლიგის შეცვლა არ მოუწევს. კოლეგებისგან ვიცი, რომ ჯერ კიდევ ზამთარში უნდოდა მირკო სლომკას „ჰანოვერში" მისი წაყვანა. სხვა გუნდებზეც იყო საუბარი, მაგრამ „ჰერტამ" ყველას დაასწრო. თუ „ჰანოვერი" ბუნდესლიგაში დარჩა, კობიაშვილის გადაბირებისთვის ისევ გაირჯება. ისიც მსმენია, რომ კობის მიმართ იუპ ჰაინკესსაც აქვს ინტერესი. სწორედ ჰაინკესმა მიიწვია თავის დროზე კობიაშვილი „შალკეში". მას მოსწონს ქართველი ფეხბურთელი. სეზონის ბოლოს ბუნდესლიგაში არაერთი ტრანსფერი განხორციელდება და თუ „ლევერკუზენი" მარცხენა მცველის ან ნახევარმცველის დამატების საჭიროების წინაშე აღმოჩნდა, მაშინ ჰაინკესის სიაში კობიაშვილი ერთ-ერთი მონინავე იქნება"*, - ესეც შტეფან შლაის ნათქვამია. ზაფხულამდე რამდენიმე კვირა დარჩა და ვნახოთ, გამართლდება თუ არა ეს სიტყვები.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული ფეხბურთი

## საქართველოს ჩემპიონატები

### თბილისის ჩემპიონატი. U 19

**XXI ტური**

ოლიმპი-თს აკადემია 91 4:3
35 სკოლა 1-ივერია/მაუდი 3:0
ვეფხვები-35 მეტეხი 3:5
აკადემია 92-გურჯაანი 4:1
სასკო-ავაზა 4:2
რეფერი-იმედი 3:0
ოლიმპიკი-შევარდენი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 35 სკოლა 1 | 21 | 17 | 3 | 1 | 63-24 | 54 |
| 2. თს აკადემია 91 | 20 | 17 | 2 | 1 | 56-15 | 53 |
| 3. ავაზა | 21 | 16 | 1 | 4 | 59-20 | 49 |
| 4. სასკო | 21 | 15 | 0 | 6 | 77-30 | 45 |
| 5. ივერია/მაუდი | 21 | 12 | 2 | 7 | 42-27 | 38 |
| 6. ოლიმპი | 20 | 8 | 3 | 9 | 36-45 | 27 |
| 7. თს აკადემია 92 | 20 | 7 | 5 | 8 | 37-35 | 26 |
| 8. ალაზანი 2007 | 21 | 7 | 2 | 12 | 24-41 | 23 |
| 9. ვეფხვები | 21 | 6 | 3 | 12 | 35-47 | 21 |
| 10. ოლიმპიკი | 18 | 5 | 6 | 7 | 31-37 | 21 |
| 11. შევარდ1906 | 20 | 6 | 2 | 12 | 30-42 | 20 |
| 12. 35 მეტეხი | 20 | 4 | 3 | 13 | 36-61 | 15 |
| 13. რეფერი | 19 | 2 | 3 | 14 | 32-84 | 9 |
| 14. იმედი | 21 | 2 | 1 | 18 | 14-64 | 7 |

### ელიტლიგა 1993

**I ჯგუფი. XVII ტური**

35 სკოლა 1-თბილისი 2:3
მთ. გლობუსი-აკადემია 1 1:2
ავაზა-ნ/დინამო 2:0
ვიტ ჯორჯია-დინამოს აკად 0:0
შევარდენი-ბორჯომი 0:3
ოლიმპიკი 1-ოლიმპი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამოს აკად | 17 | 14 | 2 | 1 | 59-8 | 44 |
| 2. ვიტ ჯორჯია | 17 | 11 | 4 | 2 | 40-15 | 37 |
| 3. ავაზა | 18 | 11 | 2 | 5 | 44-26 | 35 |
| 4. თს აკადემია 1 | 17 | 9 | 5 | 3 | 31-15 | 32 |
| 5. ბორჯომი | 16 | 8 | 3 | 5 | 31-28 | 27 |
| 6. ოლიმპიკი 1 | 16 | 7 | 6 | 3 | 37-23 | 27 |
| 7. თბილისი | 18 | 7 | 1 | 10 | 28-46 | 22 |
| 8. მთ. გლობუსი | 17 | 6 | 4 | 7 | 31-27 | 22 |
| 9. 35 სკოლა 1 | 17 | 4 | 4 | 9 | 26-37 | 16 |
| 10. ნ/დინამო | 17 | 4 | 1 | 12 | 24-43 | 13 |
| 11. ოლიმპი | 16 | 3 | 4 | 9 | 16-26 | 13 |
| 12. შევარდენი | 18 | 0 | 0 | 18 | 5-78 | 0 |

### ელიტლიგა 1993

**II ჯგუფი. XVII ტური**

აკადემია 2-ძიზიყი 2-1
ლიდერი 2009-35 მეტეხი 3-0
35 სკოლა 2-იმედი 5-3
საბურთალო-კახეთი 0-3
მერანი-ვეფხვები 3-2
ამერი-ოლიმპიკი 2 1-2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მერანი | 16 | 14 | 1 | 1 | 51-16 | 43 |
| 2. ვეფხვები | 16 | 10 | 1 | 5 | 37-18 | 31 |
| 3. ლიდერი 2009 | 17 | 10 | 1 | 6 | 39-29 | 31 |
| 4. ოლიმპიკი 2 | 17 | 9 | 3 | 5 | 29-25 | 30 |
| 5. ამერი | 17 | 9 | 2 | 6 | 37-28 | 29 |
| 6. საბურთალო | 18 | 9 | 1 | 8 | 45-29 | 28 |
| 7. 35 სკოლა | 16 | 8 | 2 | 6 | 32-32 | 26 |
| 8. კახეთი | 17 | 7 | 1 | 9 | 25-38 | 22 |
| 9. ძიზიყი | 17 | 6 | 3 | 8 | 21-35 | 21 |
| 10. თს აკადემია 2 | 17 | 5 | 6 | 6 | 26-23 | 21 |
| 11. იმედი | 18 | 3 | 2 | 13 | 18-40 | 11 |
| 12. 35 მეტეხი | 18 | 0 | 1 | 17 | 9-56 | 1 |

### ელიტლიგა 1994

**XIX ტური**

ლოკომოტივი-ახმეტა 3:0
ამერი-აკადემია 94 1:3
ნ/დინამო-ლიდერი 2009 2:0
35 სკოლა-დერბი 2:1
მთ. გლობუსი-მერანი 0:4
ოლიმპიკი-თბილისი გადაიდო
შევარდენი-ოლიმპი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემ. 94 | 19 | 13 | 2 | 4 | 45-18 | 41 |
| 2. ოლიმპი | 18 | 12 | 2 | 4 | 39-19 | 38 |
| 3. ნ. დინამო | 18 | 11 | 4 | 3 | 48-17 | 37 |
| 4. დერბი | 19 | 10 | 3 | 6 | 49-22 | 33 |
| 5. ლოკომოტივი | 16 | 10 | 2 | 4 | 34-16 | 32 |
| 6. ამერი | 18 | 9 | 2 | 7 | 32-24 | 29 |
| 7. 35 სკოლა | 19 | 9 | 2 | 8 | 37-36 | 29 |
| 8. მერანი | 18 | 9 | 2 | 7 | 36-38 | 29 |
| 9. ოლიმპიკი | 16 | 9 | 0 | 7 | 28-21 | 27 |
| 10. შევარდენი | 17 | 5 | 3 | 9 | 25-39 | 18 |
| 11. თბილისი | 19 | 4 | 4 | 11 | 34-47 | 16 |
| 12. ერთობა | 18 | 3 | 4 | 11 | 24-49 | 13 |
| 13. ლიდერი 2009 | 18 | 4 | 0 | 14 | 16-51 | 12 |
| 14. მთ. გლობუსი | 19 | 3 | 0 | 16 | 13-63 | 9 |

### ელიტლიგა 1995

**XXII ტური**

ნ/დინამო-ჰერეთი 6:0
საბურთალო-აკადემია 95 1:3
ავაზა-გორი 96 0:2
დერბი-ვეფხვები 1:5
შევარდენი-იმედი 1:2
მთ. გლობუსი-დინამოს აკად 0:5
ოლიმპიკი-35 სკოლა გადაიდო

*ოლიმპი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. თს აკადემია 95 | 21 | 17 | 2 | 2 | 53-12 | 53 |
| 2. ნ/დინამო | 19 | 16 | 3 | 0 | 87-18 | 51 |
| 3. ოლიმპი | 20 | 15 | 2 | 3 | 73-28 | 47 |
| 4. ავაზა | 19 | 14 | 3 | 2 | 64-20 | 45 |
| 5. ვეფხვები | 21 | 11 | 6 | 4 | 39-21 | 39 |
| 6. გორი96 | 19 | 10 | 3 | 6 | 45-22 | 33 |
| 7. ჰერეთი | 20 | 9 | 4 | 7 | 37-36 | 31 |
| 8. დინამოს აკად | 21 | 8 | 4 | 9 | 47-25 | 28 |
| 9. შევარდენი | 19 | 8 | 1 | 10 | 38-46 | 25 |
| 10. იმედი | 20 | 6 | 2 | 12 | 24-53 | 20 |
| 11. 35 სკოლა | 20 | 5 | 4 | 11 | 37-62 | 19 |
| 12. მთ. გლობუსი | 20 | 3 | 5 | 12 | 23-59 | 14 |
| 13. დერბი | 21 | 3 | 1 | 17 | 21-82 | 10 |
| 14. ოლიმპიკი | 20 | 2 | 3 | 15 | 21-63 | 9 |
| 15. საბურთალო | 20 | 0 | 3 | 17 | 18-80 | 3 |

### ელიტლიგა 1996

**I ჯგუფი. XVIII ტური**

35 სკოლა 1-საბურთალო 1 8:0
ოლიმპი 1-ნ/დინამო 2:0
ოლიმპი-შევარდენი 1:0
თბილისი-აკადემია 96 2:1
დერბი-ავაზა 3:0
ოლიმპიკი-კახეთი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. 35 სკოლა 1 | 15 | 12 | 0 | 3 | 55-13 | 36 |
| 2. თს აკადემია 96 | 17 | 11 | 3 | 3 | 40-18 | 36 |
| 3. ოლიმპი | 17 | 11 | 2 | 4 | 38-17 | 35 |
| 4. თბილისი | 18 | 10 | 1 | 7 | 48-31 | 31 |
| 5. ოლიმპი1 | 17 | 9 | 3 | 5 | 36-23 | 30 |
| 6. ოლიმპიკი | 16 | 8 | 4 | 4 | 27-21 | 28 |
| 7. შევარდენი | 18 | 5 | 7 | 6 | 20-18 | 22 |
| 8. ავაზა | 18 | 5 | 1 | 12 | 30-53 | 16 |
| 9. კახეთი | 16 | 4 | 4 | 8 | 21-45 | 16 |
| 10. საბურთალო 1 | 18 | 3 | 5 | 10 | 15-45 | 14 |
| 11. ნ/დინამო | 18 | 3 | 4 | 11 | 21-30 | 13 |
| 12. დერბი | 18 | 3 | 4 | 11 | 22-59 | 13 |

### ელიტლიგა 1996

**II ჯგუფი. XVIII ტური**

იმედი-საბურთალო 2 2:2
ვეფხვები-35 სკოლა 2 2:1
ამერი-აკადემია 1 0:0
მცხ/მუხრანი-აკადემია 2 2:0
ოლიმპი2-გარეჯი 5:0
მთ. გლობუსი-მიმინო94 გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იმედი | 18 | 14 | 2 | 2 | 48-12 | 44 |
| 2. ვეფხვები | 18 | 14 | 0 | 4 | 46-19 | 42 |
| 3. მიმინო 94 | 17 | 13 | 2 | 2 | 41-7 | 41 |
| 4. ამერი | 18 | 11 | 3 | 4 | 36-13 | 36 |
| 5. თს აკადემია 1 | 18 | 9 | 6 | 3 | 37-16 | 33 |
| 6. მცხ/მუხრანი | 18 | 9 | 2 | 7 | 37-33 | 29 |
| 7. საბურთალო 2 | 18 | 6 | 2 | 10 | 37-46 | 20 |
| 8. 35 სკოლა 2 | 18 | 5 | 3 | 10 | 27-33 | 18 |
| 9. თს აკადემია 2 | 18 | 4 | 3 | 11 | 21-44 | 15 |
| 10. მთ. გლობუსი | 16 | 3 | 3 | 10 | 21-39 | 12 |
| 11. ოლიმპი 2 | 18 | 3 | 3 | 12 | 15-36 | 12 |
| 12. გარეჯი | 17 | 0 | 1 | 16 | 4-72 | 1 |

### ელიტლიგა 1997

**XXI ტური**

ვეფხვები-მცხეთა 3:1
პრაიდი-ჩემპიონი 1:1
მიმინო 94-ლოკომოტივი 0:4
ნ/დინამო-საბურთალო 1 5:0
იმედი-საბურთალო 2 3:0
თბილისი 2-მერანი 0:2
თბილისი 1-ოლიმპი 1:2
გორი-ავაზა გადაიდო
35 სკოლა-კახეთი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ. დინამო | 21 | 16 | 3 | 2 | 89-19 | 51 |
| 2. მერანი | 21 | 13 | 5 | 3 | 50-27 | 44 |
| 3. ოლიმპი | 20 | 13 | 4 | 3 | 46-16 | 43 |
| 4. გორი | 20 | 12 | 5 | 3 | 53-24 | 41 |
| 5. საბურთალო1 | 21 | 13 | 1 | 7 | 51-34 | 40 |
| 6. 35 სკოლა | 18 | 12 | 3 | 3 | 44-20 | 39 |
| 7. ჩემპიონი | 21 | 12 | 3 | 6 | 49-35 | 39 |
| 8. ლოკომოტივი | 20 | 11 | 3 | 6 | 55-23 | 36 |
| 9. ვეფხვები | 21 | 10 | 5 | 6 | 41-28 | 35 |
| 10. იმედი | 21 | 10 | 2 | 9 | 49-36 | 32 |
| 11. ავაზა | 20 | 9 | 3 | 8 | 44-36 | 30 |
| 12. პრაიდი. | 21 | 7 | 4 | 10 | 27-41 | 25 |
| 13. მიმინო94 | 21 | 6 | 1 | 14 | 30-51 | 19 |
| 14. თბილისი2 | 21 | 6 | 0 | 15 | 24-48 | 18 |
| 15. მცხეთა | 20 | 4 | 5 | 11 | 22-38 | 17 |
| 16. თბილისი1 | 21 | 3 | 2 | 16 | 25-59 | 11 |
| 17. საბურთ2 | 21 | 1 | 1 | 19 | 17-109 | 4 |
| 18. კახეთი | 19 | 1 | 0 | 18 | 9-81 | 3 |

### ელიტლიგა 1998

**XXI ტური**

მორკინალი-ოლიმპი 0:5
საბურთალო-35 სკოლა 1 0:3
ავაზა-ჩემპიონი 1:1
შევარდენი-იმედი 3:0
35 სკოლა 2-აკადემია 98 5:0
ოლიმპიკი-აკადემია 2 გადაიდო

*მერანი ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 19 | 15 | 3 | 1 | 58-12 | 48 |
| 2. საბურთალო | 20 | 14 | 3 | 3 | 94-40 | 45 |
| 3. 35 სკოლა 1 | 19 | 12 | 6 | 1 | 57-31 | 42 |
| 4. შევარდენი | 20 | 12 | 5 | 3 | 56-31 | 41 |
| 5. მერანი | 19 | 11 | 2 | 6 | 51-34 | 35 |
| 6. ავაზა | 19 | 9 | 4 | 6 | 55-37 | 31 |
| 7. მორკინალი | 18 | 8 | 2 | 8 | 44-52 | 26 |
| 8. თს აკადემია 98 | 20 | 5 | 4 | 11 | 30-34 | 19 |
| 9. ჩემპიონი | 19 | 4 | 6 | 9 | 23-49 | 18 |
| 10. 35 სკოლა 2 | 18 | 4 | 5 | 9 | 32-43 | 17 |
| 11. თს აკადემია 2 | 18 | 4 | 2 | 12 | 23-51 | 14 |
| 12. ოლიმპიკი | 15 | 1 | 2 | 12 | 11-43 | 5 |
| 13. იმედი | 18 | 0 | 0 | 18 | 7-84 | 0 |

### ელიტლიგა 1999

**XXI ტური**

შავნაბადა-ავაზა 0:3
ირაო 2-ჩემპიონი 1:4
ირაო 1-შევარდენი 2:0
ოლიმპი 1-აკადემია 2 3:0
ოლიმპი 2-მორკინალი 2:3
35 სკოლა-მთ. გლობუსი 5:2
თბილისი 1-ნ/დინამო 1:6
თბილისი 2-საბურთალო 2:3
აკადემია 99-ოლიმპიკი გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ნ/დინამო | 21 | 20 | 0 | 1 | 105-19 | 60 |
| 2. შევარდენი | 21 | 16 | 2 | 3 | 86-38 | 50 |
| 3. ირაო 1 | 20 | 15 | 1 | 4 | 66-31 | 46 |
| 4. თბილისი 1 | 21 | 14 | 3 | 4 | 96-44 | 45 |
| 5. ავაზა | 21 | 14 | 2 | 5 | 55-24 | 44 |
| 6. აკადემია 99 | 20 | 11 | 4 | 5 | 45-29 | 37 |
| 7. მორკინალი | 21 | 10 | 6 | 5 | 59-54 | 36 |
| 8. ჩემპიონი | 21 | 10 | 3 | 8 | 56-44 | 33 |
| 9. საბურთალო | 21 | 9 | 5 | 7 | 72-53 | 32 |
| 10. 35 სკოლა | 21 | 8 | 6 | 7 | 47-50 | 30 |
| 11. თბილისი 2 | 20 | 7 | 5 | 8 | 50-55 | 26 |
| 12. ოლიმპი 1 | 21 | 7 | 2 | 12 | 68-75 | 23 |
| 13. მთ. გლობუსი | 20 | 5 | 3 | 12 | 43-69 | 18 |
| 14. შავნაბადა | 21 | 3 | 5 | 13 | 20-57 | 14 |
| 15. ოლიმპი 2 | 21 | 3 | 3 | 15 | 39-114 | 12 |
| 16. ირაო 2 | 20 | 3 | 2 | 15 | 25-74 | 11 |
| 17. ოლიმპიკი | 18 | 1 | 3 | 14 | 12-55 | 6 |
| 18. თს აკადემია 2 | 21 | 0 | 3 | 18 | 12-71 | 3 |

### ელიტლიგა 2000

**XV ტური**

გაგრა-ირაო 7:1
შევარდენი-35 სკოლა 1 0:3
35 სკოლა 2-ჩემპიონი 0:8
ავაზა-გორი გადაიდო
მიმინო 94-ტგ 2000 გადაიდო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩემპიონი | 15 | 13 | 1 | 1 | 54-14 | 40 |
| 2. 35 სკოლა 1 | 15 | 9 | 3 | 3 | 45-26 | 30 |
| 3. ტგ 2000 | 14 | 9 | 2 | 3 | 49-26 | 29 |
| 4. ირაო | 14 | 9 | 2 | 3 | 43-33 | 29 |
| 5. ავაზა | 13 | 7 | 2 | 4 | 28-13 | 23 |
| 6. გაგრა | 15 | 6 | 1 | 8 | 40-39 | 19 |
| 7. გორი | 13 | 5 | 1 | 7 | 26-30 | 16 |
| 8. მიმინო 94 | 12 | 1 | 4 | 7 | 21-30 | 7 |
| 9. შევარდენი | 12 | 0 | 2 | 10 | 9-36 | 2 |
| 10. 35 სკოლა 2 | 15 | 0 | 2 | 13 | 9-77 | 2 |

### ქაბუკთა ლიგა

**1992–93. XXI ტური**

ზესტაფონი-გაგრა 1:1
ლოკომოტივი-ოლიმპი 0:1
სპარტაკი-სიონი 3:2
დინამო-სამტრედია 11:0
ვიტ ჯორჯია-ბაია 3:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 21 | 18 | 2 | 1 | 106-23 | 56 |
| 2. ბაია | 21 | 17 | 2 | 2 | 59-26 | 53 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 21 | 11 | 3 | 7 | 37-29 | 36 |
| 4. გაგრა | 21 | 10 | 2 | 9 | 39-37 | 32 |
| 5. ზესტაფონი | 21 | 9 | 2 | 10 | 31-55 | 29 |
| 6. ოლიმპი | 21 | 8 | 5 | 8 | 49-49 | 29 |
| 7. ლოკომოტივი | 21 | 7 | 4 | 10 | 29-31 | 25 |
| 8. სამტრედია | 21 | 6 | 5 | 10 | 34-46 | 23 |
| 9. სიონი | 21 | 3 | 2 | 16 | 23-63 | 11 |
| 10. სპარტაკი | 21 | 2 | 1 | 18 | 9-57 | 7 |

**1994–95. XXI ტური**

ზესტაფონი-გაგრა 1:3
ლოკომოტივი-ოლიმპი 1:0
სპარტაკი-სიონი 1:1
დინამო-სამტრედია 4:1
ვიტ ჯორჯია-ბაია 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპი | 21 | 15 | 4 | 2 | 54-12 | 49 |
| 2. ბაია | 21 | 14 | 3 | 4 | 57-22 | 45 |
| 3. დინამო | 21 | 13 | 4 | 4 | 39-21 | 43 |
| 4. ლოკომოტივი | 21 | 12 | 5 | 4 | 34-12 | 41 |
| 5. სიონი | 21 | 9 | 4 | 8 | 25-30 | 31 |
| 6. სპარტაკი | 21 | 7 | 3 | 11 | 22-37 | 24 |
| 7. სამტრედია | 21 | 7 | 1 | 13 | 21-34 | 22 |
| 8. ვიტ ჯორჯია | 21 | 5 | 6 | 10 | 20-31 | 21 |
| 9. გაგრა | 21 | 3 | 4 | 14 | 16-46 | 13 |
| 10. ზესტაფონი | 21 | 1 | 4 | 16 | 10-53 | 7 |

### პირველი ლიგა

**XXV ტური**

მერცხალი-ჩიხურა 0:3
IBSU-ტორპედო 2008 1:2
კოლხეთი (ფ)-ნორჩი დინამ. 1:0
35-ე საფ. სკოლა-გურია 1:2
ბათუმი-ჭიათურა 1:1
მეშახტე-მერანი 1:3
მესხეთი-ჰერეთი 3:0

*კოლხეთი (ხ) ისვენებს*

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტორპედო 2008 | 24 | 19 | 3 | 2 | 61-12 | 60 |
| 2. კოლხეთი (ფ) | 23 | 16 | 3 | 4 | 53-20 | 51 |
| 3. ბათუმი | 24 | 13 | 7 | 4 | 35-13 | 46 |
| 4. გურია | 23 | 14 | 3 | 6 | 42-25 | 45 |
| 5. ჩიხურა | 23 | 12 | 6 | 6 | 36-24 | 42 |
| 6. მარტვილი | 23 | 12 | 2 | 9 | 38-31 | 38 |
| 7. ნ/დინამოელი | 23 | 9 | 5 | 9 | 34-43 | 32 |
| 8. IBSU | 23 | 7 | 7 | 9 | 36-30 | 28 |
| 9. კოლხეთი (ხ) | 23 | 8 | 2 | 13 | 30-42 | 26 |
| 10. მერცხალი | 23 | 7 | 4 | 12 | 23-33 | 25 |
| 11. ჭიათურა | 23 | 7 | 2 | 14 | 28-49 | 23 |
| 14. მესხეთი | 24 | 7 | 3 | 14 | 23-36 | 21 |
| 12. მეშახტე | 24 | 6 | 3 | 15 | 30-62 | 21 |
| 13. ჰერეთი | 23 | 5 | 4 | 14 | 21-49 | 19 |
| 15. 35-ე ს.სკოლა | 23 | 4 | 4 | 15 | 23-44 | 16 |

### II ლიგა. აღმოსავლეთი

**XVIII ტური**

თიანეთი-ავაზა 3:4
ლიდერი 2009-ალგეთი 2:4
სპარტაკი 2-ზოოვეტი 1:1
აბული-35სკოლა 2 1:1
ივერია-დუშეთი 2:2
გვარდია-გორი 0:3

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გორი | 18 | 11 | 3 | 4 | 48-21 | 36 |
| 2. სპარტაკი 2 | 18 | 10 | 6 | 2 | 33-20 | 36 |
| 3. 35 სკოლა 2 | 18 | 10 | 5 | 3 | 36-22 | 35 |
| 4. ზოოვეტი | 18 | 10 | 3 | 5 | 31-18 | 33 |
| 5. ავაზა | 17 | 9 | 4 | 4 | 37-17 | 31 |
| 6. დუშეთი | 18 | 9 | 2 | 7 | 34-29 | 29 |
| 7. თიანეთი | 18 | 8 | 3 | 7 | 37-37 | 27 |
| 8. გვარდია | 18 | 6 | 1 | 11 | 20-34 | 19 |
| 9. ალგეთი | 18 | 5 | 4 | 9 | 33-39 | 19 |
| 10. ლიდერი 2009 | 18 | 4 | 4 | 10 | 22-35 | 16 |
| 11. ივერია | 18 | 3 | 5 | 10 | 19-37 | 14 |
| 12. აბული | 17 | 0 | 4 | 13 | 12-53 | 4 |

### მეორე ლიგა. დასავლეთი

**XVI ტური. 18 მარტი**

საირმე-ადელი 0:0
ბახმარო-ჩხერიმელა 3:0
ტორპედო 2-სქური 1:3
დინამო (ქ)-სულორი 0:0
ჩიხურა 2-გურია 2 2:0
იმერეთი-ქ. ტორპედო 3:0
ბათუმი 2-მარგვეთი 3:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ადელი | 21 | 16 | 3 | 2 | 45-17 | 51 |
| 2. იმერეთი | 21 | 12 | 4 | 5 | 47-20 | 40 |
| 3. სამგურალი | 20 | 11 | 5 | 4 | 38-19 | 38 |
| 4. სქური | 21 | 11 | 3 | 7 | 29-20 | 36 |
| 5. ჩხერიმელა | 21 | 10 | 4 | 7 | 29-30 | 34 |
| 6. ტორპდო 2008 2 | 20 | 9 | 6 | 5 | 24-14 | 33 |
| 7. ჩიხურა 2 | 21 | 9 | 3 | 9 | 28-29 | 30 |
| 8. ბახმარო | 20 | 8 | 3 | 9 | 26-33 | 27 |
| 9. მარგვეთი | 20 | 6 | 7 | 7 | 21-31 | 25 |
| 10. ბათუმი 2 | 21 | 7 | 4 | 10 | 26-26 | 25 |
| 11. გურია 2 | 20 | 7 | 3 | 10 | 28-35 | 24 |
| 12. სულორი | 21 | 5 | 5 | 11 | 29-37 | 20 |
| 13. საირმე | 20 | 5 | 5 | 10 | 23-40 | 20 |
| 14. დინამო (ქ) | 21 | 5 | 3 | 13 | 12-33 | 18 |
| 15. ქ. ტორპედო* | 20 | 2 | 4 | 14 | 17-49 | 10 |

*ქ. ტორპედო მოხსნილია გათამაშებიდან*

## ლეგიონი

# არშემდგარი დუელი და დაკარგული ლიდერობა

„ქალბატონებო და ბატონებო, პირველი ადგილი!" - ვკითხულობთ **ზურაბ მენთეშაშვილის** „ჰაპოელის" ოფიციალურ ვებსაიტზე. დიახ, მთელი სეზონის განმავლობაში დამაჯერებელი ლიდერობა **ლადო დვალიშვილის** „მაქაბის" წყალში ჩაეყარა, ჰაიფას „კირიატ ელიეზელზე" ქართველი ფორვარდის გუნდმა უშუალო მეტოქესთან 0:1 დათმო და პირველი ადგილიც გადაულოცა.

ქართული დუელი რომ არ შედგებოდა, ეს წინასწარ ვიცოდით, მენთეშაშვილმა ლატვიის მერე პირველი წითელი ბარათი წინა ტურში მიიღო. ლადომ კი ითამაშა, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად და 64-ე წუთზე ქართველი ბომბარდირი (32 თამაში, 15 გოლი) შეცვალეს. დვალიშვილს 22-ე წუთზე ისეთი აშკარა საგოლე მომენტი ჰქონია, რომ „მაქაბის" ოფიციალურ საიტზე დაიწერა, მხოლოდ ღმერთმა უწყის, გოლი როგორ ვერ გავიდა „ჰაპოელის" კარშიო. 32-ე ტურის შემდეგ „ჰაპოელს" და „მაქაბის" 42-42 ქულა აქვთ, მაგრამ გოლთა უკეთესი ბალანსის წყალობით წინ მენთეშაშვილის გუნდია. ისრაელის ლიგატ ჰაალის დასრულებამდე სამი ტურილა დარჩა.

გუშინ აზერბაიჯანის თასის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა. **კახა ცხადაძის** „ინტერი" „ბაქის" ესტუმრა და 1:0 გაიმარჯვა. პირველ ტაიმში **გიორგი ლომაიამ** ბრაზილიელი **ჟაბას** სახიფათო საჯარიმო დარტყმა მოიგერია. მეორე ნახევარი კი „ინტერმა" **ასიფ მამედოვის** გოლით მოიგო. ლომაიამ, **კახაბერ მჟავანაძემ** და **გიორგი ნავალოვსკიმ** შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო **დავით ოდიკაძე** 82-ე წუთზე შეცვალეს. **ნუგზარ კვირტიას** „ოლიმპიკი" შინ დაუზავდა (1:1) „ხაზარს". ქართველმა გამთამაშებელმა 90 წუთი ითამაშა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ფუტსალი

ამხანაგური მატჩი

# ფრანგებს აქ მაინც ვჯობნით

27 აპრილი. თბილისი. შსს აკადემია

**საქართ. U 21–საფრ. U 21 4:2**

0:1 ნეჯარი (2), 1:1 ტიკურიშვილი (11), 1:2 ბუტი (16), 2:2, ჭანუყვაძე (18), 3:2 ჭანუყვაძე (38), 4:2 მარგველაშვილი (40)

საქართველო: კეფაშვილი, ჭანუყვაძე, წინწკალაძე, ნამორაძე, მაისაია, მარგველაშვილი, სებისკვერაძე, ბარბაქაძე, სიგუნავა, ტიკურიშვილი, გოგიშვილი

მწვრთნელი: ზაალ ჩიტალაძე

საფრანგეთი: ალიმი, ბოდო, ბელაბდლი, ბუტი, დებიები, ჟირო, მაარიფი, მიშელი, მოჰამედი, ნაიმი, ნედჟარი, სუნგუ, ზუბირი, დიატა

მწვრთნელი: პატრიკ პიონი

მსაჯები: შოთა ქუხილავა, არსენ ნონიკაშვილი, ვასილ ელისაბედაშვილი

დიდ ფეხბურთზე რა გითხრათ და, ფუტსალში კი საქართველოს დადებითი ბალანსი აქვს ფრანგებთან ურთიერთშეხვედრებში. თუმცა ისიც ვთქვათ, რომ ფრანგული ფუტსალი ჩამორჩება ფრანგულ დიდ ფეხბურთს.

აქამდე ჩატარებულ 5 მატჩში 2 ქართველებს ჰქონდათ მოგებული, 2 ფრანგებს და ერთი შეხვედრაც ფრედ დასრულდა. ფრანგებმა ორივეჯერ თავის სამშობლოში მოგვიგეს, საქართველოში ჩვენ ერთხელ მოვიგეთ და ერთხელაც ფრედ ვითამაშეთ, კიდევ ერთი მოგება კი ნეიტრალურ მოედანზე გვქონდა მოპოვებული.

აი, ასეთი შედეგებით მოვედით იმ მატჩამდე, რომელიც 27 აპრილს თბილისში, პოლიციის აკადემიის სპორტულ დარბაზში გაიმართა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გამარჯვებით დასრულდა.

ქართველთა მწვრთნელებმა - **ზაალ ჩიტალაძემ** და **პეტრე თაბუკაშვილმა**, ნაკრებში „ალგოს", „ქარიშხალას", თსუ-ს და ქუთაისის „ჯუნგლების" მოთამაშეები გამოიძახეს. პირველივე წამებზე **ლაშა სიგუნავა** ფრანგ მეკარესთან პირისპირ გავიდა, მაგრამ ვერ აჯობა და უკვე საპასუხო იერიშისას საქართველოს ნაკრებმა გოლი გაუშვა. იმ ეპიზოდში ჩვენს მეკარე **დავით კეფაშვილს** კარი დატოვებული ჰქონდა და ფრანგთა კაპიტან **ამინ ნეჯარის** გატანა არ გასჭირვებია. გამთანაბრებელი გოლი ალგოელმა **გიორგი ტიკურიშვილმა** შეაგდო, მაგრამ ფრანგებმა მეორეც გაგვიტანეს - 1:2.

ამის მერე ქართველთა კაპიტანმა, ქარიშხალელმა **შოთა ჭანუყვაძემ** გაიტანა და პირველი ტაიმიც ასე დასრულდა. თუმცა იქამდე იყო ეპიზოდი, როცა ფრანგებს სხვაობის ორ ბურთამდე გაზრდა შეეძლოთ - ქართველებმა მეექვსე ჯარიმა მიიღეს, ფუტსალის წესებით კი ტაიმში მეექვსე და ყოველი მომდევნო ჯარიმა 10-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით ისჯება. მეტოქეს ურიგოდ არ დაურტყამს, მაგრამ კეფაშვილმა იყოჩაღა. აქვე ვთქვათ, რომ ამ შეხვედრაში მან კიდევ რამდენიმე რთული ბურთი აილო...

მეორე ტაიმში ჩვენების უპირატესობა უფრო გამოიკვეთა და ეს ქუთაისელი **ცოტნე მარგველაშვილისა** და იმავე ჭანუყვაძის გოლებში იასახა - 4:2. ფრანგები სამშობლოში ხვალ დილას დაბრუნდებიან, დღეს საღამოს კი რევანშის აღებას ეცდებიან - 18 საათზე ამავე დარბაზში საქართველოსა და საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებთა მეორე მატჩია.

**გიორგი დარჯანია**

ჩემპიონთა ლიგა 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი

# ივიცა ოლიჩის ცხოვრების მატჩი

22 მაისს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაიმართება. ერთი ფინალისტის ვინაობა უკვე ცნობილია - მიუნხენის „ბაიერნმა" დამსახურებულად გაიკვალა გზა ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის დასკვნითი მატჩისკენ, მას შემდეგ, რაც მეორედაც მოუგო ფრანგულ „ლიონს", ამჯერად, უფრო დამაჯერებელი ანგარიშით - 3:0. მატჩის გმირად იქცა გერმანული გუნდის ხორვატი ფორვარდი **ივიცა ოლიჩი**, რომელმაც ჰეთ-თრიკს გამოკრა ხელი...

გუშინ „ლიონი" საკუთარ თავს არ ჰგავდა. ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ ამ გუნდს ლიგის ნახევარფინალში გასვლა შეეძლო, არადა, ფრანგებმა მიუნხენში დიდი ბრძოლა გადაიხადეს და რომ არა **არიენ რობენის** გმირობა, ალბათ, ფრესაც მიაღწევდნენ. აი, შინ კი **კლოდ პუელის** შეგირდებმა **ლუის ვან გაალის** გუნდს აბსოლუტურად ვერაფერი დაუპირისპირეს.

ჩემპიონთა თასის ოთხგზის მფლობელები სრულ უპირატესობას მატჩის პირველიდან ბოლო წუთამდე ფლობდნენ. „ლიონი" ყველა ხერხით ცდილობდა „ბაიერნის" შეჩერებას. უკვე მე-2 წუთზე **თომას მიულერს** ანგარიშის გახსნის დიდებული შანსი ჰქონდა - ოლიჩმა **კრისს** მოჰპარა ბურთი და საჯარიმოს ცენტრში გადააწოდა მიულერს, რომლის დარტყმა ოდნავ არაზუსტი აღმოჩნდა. იგივე მიულერი მალე რობენმაც გაიყვანა დასარტყმელ პოზიციაზე. ამჯერად, კუთხე მახვილი იყო და ბურთი კვლავ ასცდა კარს. ლიონელთა ფორვარდ **ლისანდრო ლოპესამდე** კი ბურთი თითქმის არ აღწევდა, რაც დიდწილად ბრწყინვალედ მოთამაშე **მარკ ვან ბომელის** დამსახურება იყო...

26-ე წუთზე გოლიც გავიდა - მიულერმა და რობენმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს, რის შემდეგაც ბურთი ოლიჩს მიუვიდა, ეს უკანასკნელი კი დროულად შემოტრიალდა და ახლო მანძილიდან ბრწყინვალედ დაარტყა - 0:1. წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში ეს ოლიჩის მეხუთე გოლი იყო. „ბაიერნმა" მეტად მნიშვნელოვანი ბურთი გაიტანა. „ლიონს" უკვე სამი „მშრალი" გოლი სჭირდებოდა ფინალში გასასვლელად, რაც მის ძალებს აშკარად აღემატებოდა.

„ლიონი" საბოლოოდ გატეხა ბრაზილიელი კრისის გაძევებამ. 59-ე წუთზე, ოლიჩთან ორთაბრძოლაში, მან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და თავისიანები უმცირესობაში დატოვა. უკაპიტნოდ დარჩენილ „ლიონს" ხორვატმა კიდევ ორი გოლი გაუტანა - ჯერ **ჰამით ალთინთოფის** შესანიშნავი პასით, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩა, და მალე მესამედაც დაამწუხრა **უგო ლორისი**, როცა **ფილიპ ლამის** მიერ მარჯვენა ფლანგიდან ჩაწოდებულს დასისხლიანებული თავი დაჰკრა - 0:3.

**კლოდ პუელი (ლიონი):** *„მეტოქე ჩვენზე ძლიერი იყო. შეგვეძლო გათანაბრება და ამის შემდეგ ყველაფერი შეიძლებოდა, მომხდარიყო. მეორე ტაიმში კრისის გაძევების შემდეგ „ბაიერნმა" მთლიანად დაანესა კონტროლი თამაშზე და ბევრიც გვარბენინა. ბიჭებს მაინც ვერ გავაკრიტიკებ. მათ ბევრი გაიღეს აქამდე მოსაღწევად".*

**ივიცა ოლიჩი (ბაიერნი):** *„ეს იყო ჩემი ცხოვრების მთავარი მატჩი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ ასე იოლად მოვიგებდით. დიდებულად ვითამაშეთ და ფინალში დამსახურებულად გავედით. მეგონა, „მანჩესტერთან" ვითამაშე ცხოვრების მატჩი, მაგრამ ეს შეხვედრა უფრო მნიშვნელოვანი გამოდგა ჩემთვის - ჰეთ-თრიკის შესრულება ასეთ დროს უაღრესად სასიხარულოა, მაგრამ გუნდი, რომ არა, ვერაფერს შევძლებდი".*

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ლიონი-ბაიერნი 0:3 (0:1)**

**ლიონი (4-2-3-1):** ლორისი - რევეიერი, კრისი, ბუმსონგი, სისოხო (46. გომისი) - გონალონსი, მაკუნი - გოვუ, დელგადო (67. პიანიჩი), ბაშტოში - ლოპესი (79. ედერსონი).

**ბაიერნი (4-4-2):** ბუტი - ლამი, ვან ბუიტენი (46. დემიკელისი), ბადშტუბერი, კონტენტო - რობენი (76. კლოზე), შვაინშტაიგერი (78. ალაბა), ვან ბომელი, ჰამით ალთინთოფი - მიულერი, ოლიჩი.

**გოლები:** 0:1 ოლიჩი (26), 0:2 ოლიჩი (67), 0:3 ოლიჩი (78)

**მაყურებელი:** 40 000

**არბიტრი:** მ. ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ლიონი

**პირველი კუთხური:** ლიონი

**პირველი ჯარიმა:** ბაიერნი

**პირველი გაფრთხილება:** ლიონი

| | | |
|---|---|---|
| 7(1) | დარტყმა | 14(5) |
| 16 | ჯარიმა | 7 |
| 2 | კუთხური | 6 |
| 3 | გაფრთხილება | 1 |
| 43% | ბურთის ფლობა | 57% |



ჩემპიონთა ლიგა 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩის წინ





# ბარსა ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთით იმუქრება

## ხერარდ პიკე: ინტერს ჯოჯოხეთს მოვუწყობთო...

**ბარსელონა-ინტერი**

*პირველი მატჩი 1:3*

„ბარსელონამ" „სან სიროზე" 1:3 წააგო. გოლი კი გაიტანა, მაგრამ ორბურთიანი სხვაობით დამარცხდა, რის გამოც, საპასუხო მატჩის წინ, ფავორიტად „ინტერია" შერაცხილი, მაგრამ ცხადია, არავინ ფიქრობს, რომ კატალონიური გრანდი, რომელიც „ინტერთან" მატჩამდე „ქვას ქვაზე არ ტოვებდა", იოლად დანებდება და არ იბრძოლებს უნიკალური შანსისთვის, გახდეს პირველი კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგას ზედიზედ ორჯერ მოიგებს. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბარსელონაში ისეთი საბრძოლო განწყობაა, როგორიც არასდროს ყოფილა. მეტადრე იმიტომ, რომ კატალონიელებმა ერთი კვირის წინანდელ მატჩში თავი დაჩაგრულად იგრძნეს. მათი აზრით, პორტუგალიელი არბიტრი **ოლეგარიო ბენკერენშა** „ინტერს" მიეხმარა. ჩვენი ესპანელი კოლეგები უფრო შორსაც წავიდნენ და დაწერეს, ბენკერენშა მილანელთა თავკაც **ჟოზე მოურინიოს** ძველი მეგობარიაო. ერთი სიტყვით, დღევანდელ მატჩში დიდი ამბებია მოსალოდნელი. აკი, თქვა კიდეც „ბარსას" მცველმა **ხერარდ პიკემ**, „კამპ ნოუზე" „ინტერს" შავ დღეს დავაყრითო.

ბარსელონელები მსაჯს სამი რამის გამო აუმხედრდნენ: ეს იყო **კარლეს პუიოლის** გაფრთხილება, რის გამოც „ბარსას" კაპიტანი დღევანდელი მატჩისთვის დისკვალიფიცირებულია; **დიეგო მილიტოს** გოლი, რომელიც თამაშგარე მდგომარეობიდან გავიდა და არდანიშნული პენალტი (**სნეიდერისა** და **ალვეშის** ორთაბრძოლა „ინტერის" საჯარიმოში).

*„სან სიროზე" მსაჯმა ძალიან დაგვჩაგრა. 90 წუთის განმავლობაში „ინტერს" სძულდა ფეხბურთი და ლამის ჩვენც შეგვაზიზღა! შესაბამისად, საპასუხო მატჩისთვის ჩვენ ძალზე მოტივირებულები ვართ. პირდაპირ ვიტყვი: არ მახსოვს, როდის ვიყავით ასე მონდომებულები და არც ის მახსოვს, როდის იყვნენ ჩვენი გულშემატკივრები ასე გაბრაზებულები. შესაბამისად, ზუსტად ვიცი, რომ „კამპ ნოუზე" „ბარსელონა" ყველა დროის საუკეთესო მატჩს ჩაატარებს. „ინტერის" ფეხბურთელები კი ჩვენს არენაზე თავს ძალიან მარტოდ და დაჩაგრულად იგრძნობენ!"* - ამბობს პიკე.

რაკი პუიოლი ვერ ითამაშებს, **პეპ გვარდიოლამ** პიკეს დაცვის ცენტრში ახალი მეწყვილე უნდა „უპოვოს". გვარდიოლას სულ ორი ვარიანტი აქვს: პუიოლის ადგილზე ან **რაფა მარკესი** უნდა ათამაშოს, ანაც **გაბრიელ მილიტო**. ლოგიკურად, გვარდიოლამ არჩევანი მარკესზე უნდა შეაჩეროს, მაგრამ თუ მილიტოს გაამწესებს, მაშინ ძალიან საინტერესო იქნება ძმების, გაბრიელ და დიეგო მილიტოების დუელი. ეს უკანასკნელი ხომ „ინტერის" ფორვარდია და დღეს სალამოსაც აუცილებლად ითამაშებს. დიეგო მილიტო სულაც წინა მატჩის გმირი გახდა. გამოდის, რომ შეიძლება, „კამპ ნოუზე" არგენტინული ოჯახური დუელი ვიხილოთ.

მაგრამ „ბარსელონას" უკანა ხაზზე საუბარი ძალიან გაგვიგრძელდა. დღეს კატალონიელთა მთავარი ამოცანა კი გოლების გატანაა - გვარდიოლას გუნდს მინიმუმ ორბურთიანი სხვაობით მოგება უნდა იმისათვის, რომ მადრიდში წავიდეს. შეტევაში „ბარსას" **ანდრეს ინიესტა** აკლია - ნახევარმცველი, რომელმაც შარშან „ჩელსის" 93-ე წუთზე გადამწყვეტი გოლი გაუტანა, გოლი, რომელმაც „ბარსელონა" ფინალში გაიყვანა. ჯგუფურ ეტაპზე „ბარსელონამ" „ნოუ კამპზე" 2:0 მოიგო და კატალონიელებს ასეთი ანგარიში დღესაც ეყოფათ. აქვე, საინტერესო სტატისტიკაც: „კამპ ნოუზე" ჩატარებული 25 საშინაო მატჩიდან, 16-ში „ბარსამ" ისეთ შედეგს მიაღწია, რომელიც „ინტერთანაც" დააკმაყოფილებს.

„ინტერს" გაუმართლა იმ მხრივ, რომ ფრენები აღდგა და მილანელები ესპანეთში თვითმფრინავით ჩავიდნენ და არა ავტობუსით. შესაბამისად, „ნერაძური" დღევანდელი შეხვედრისთვის სრულყოფილად ემზადებოდა. თუმცა, ჟოზე მოურინიო მაინც ვერ ასცდა პრობლემას: დღეს „ინტერის" გამთამაშებლისა და ლიდერის, **ვესლი სნეიდერის** თამაში კითხვის ნიშნის ქვეშაა. ამ უკანასკნელმა გასულ უქმეებზე ტრავმა მიიღო და ბერგამოს „ატალანტასთან" მატჩში, რომელიც მილანელებმა 3:1 მოიგეს, შესვენებაზე შესაცვლელი გახდა. ითამაშებს თუ არა სნეიდერი, ეს დღეს უნდა გადაწყდეს. სამაგიეროდ, „ინტერს" ნამდვილად ვერ დაეხმარება **დეიან სტანკოვიჩი**, რომელიც დისკვალიფიცირებულია. მოურინიომ „ატალანტასთან" **გორან პანდევი** და **მაიკონი** დაასვენა, რომლებიც დღეს აუცილებლად ითამაშებენ.

*„პირველი თამაში კარგი ანგარიშით მოვიგეთ, მაგრამ იმისათვის, რომ საქმე ბოლომდე მივიყვანოთ და ფინალში ვითამაშოთ, „კამპ ნოუზე" ასპროცენტიანი კონცენტრაციაა საჭირო. ფაქტია, რომ ბარსელონაში კარდინალურად განსხვავებული მატჩი გველის და შესაბამისად, შეცდომების დაშვების უფლება არ გვაქვს,"* - ეს „ინტერის" კაპიტნის, **ხავიერ ძანეტის** სიტყვებია.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, გ. მილიტო, მაქსველი - ჩავი, ბუსკეტსი, კეიტა - მესი, იბრაჰიმოვიჩი, პედრო.

**ინტერი (4-2-3-1):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, სამუელი, ხ. ძანეტი - კამბიასო, მოტა - ეტოო, სნეიდერი, პანდევი - დ. მილიტო.

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანეთი — ლა ლიგა. XXXIV ტური

# ბასკებს ლიგა უნდათ

ნავარულ-ბასკური დერბი ვერ გამოდგა თვალსასეირო. ჩემპიონთა ლიგის ბოლო, მე-4 ადგილისთვის ბრძოლაში ბილბაოს „ატლეტიკს“ კარგი შანსი ჰქონდა „სევილიას“ და „მალიორკას“ მიახლოვებოდა, მაგრამ პამპლონაში 3 ქულის მოპოვება ურთულესი საქმეა, თუნდაც უამბიციოდ დარჩენილ „ოსასუნასთან“ - 0:0. პირველი ტაიმის 30 წუთი ისე მიილია, არც ერთი გოლკიპერი არ ჩართულა თამაშში. პირველად ოსტატობის გამოვლენა „ოსასუნას“ მეკარე **რიკარდოს** მოუხდა, **იესტეს** ჩაწოდებულს თავით **ფერნანდო ლორენტე** გამოეხმაურა, მაგრამ რიკარდომ იყოჩაღა. იესტემ კიდევ ერთხელ ჩააწოდა სახიფათოდ, მაგრამ ბილბაოელთა მცველმა **მიკელ სან ხოსემ** ახლო მანძილიდან ააცილა თავური ნავარელთა კარს. ტაიმის ბოლოს **ხავი მარტინესის** პასით დასარტყამ პოზიციაზე ისევ ლორენტე გავიდა, მაგრამ 38 წლის რიკარდომ ესპანეთის ნაკრების ფორვარდს ამ ერთხელაც აჯობა.

მეორე ტაიმში **კამაჩოს** გუნდი გამოფხიზლდა, მაგრამ ყველაზე სახიფათო მომენტი ისევ სტუმრებმა შექმნეს - **სუსაეტამ** დაახლოებით 12 მეტრიდან გაისროლა, მაგრამ რიკარდომ „ოსასუნას“ ქულა უხსნა.

**ხოსე ანტონიო კამაჩო** (ოსასუნა): *„მატჩი ძალიან დაძაბული იყო, ორივე გუნდი ძლიერია და დათმობა არც ერთს სურდა. ქულით კმაყოფილი ვარ, მეტს ნამდვილად არ ვიმსახურებდით, მაგრამ რეფერის შეეძლო ერთ ეპიზოდში სტუმართა კარში პენალტის დანიშვნა და მცველის გაძევება. ამ შემთხვევაში კი სულ სხვა თამაში იქნებოდა“.*

**ხოაკინ კაპაროსი** (ბილბაო): *„მეორე ტაიმში ძალიან კარგი შანსი გვქონდა თამაშის მოგების. სამწუხაროდ, ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ. ფეხბურთელები ძალიან შემართულნი არიან და ამბობენ, რომ ლიგის საგზურის მოპოვება შეუძლიათ. ჩვენ მართლა შეგვიძლია მეოთხე ადგილი მოვიპოვოთ“.*

**ოსასუნა-ბილბაო 0:0**

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ასპილიკუეტა, როვერსიო, სერხიო, ეჩაიდე (76. ოიერი) - რუპერი (82. ვადოში), პუნიალი - ხუანფრანი, არანდა (66. მასუდი), კამუნიასი - პანდიანი.

**ბილბაო (4-4-2):** ირაისოსი - უსტარიცი, სან ხოსე, ამორებიეტა, კოიკილი - გურპეგი (58. სუსაეტა), იტურასპე, მარტინესი, იესტე (88 გაბილონდო) - ლორენტე (84. მუნიაინი), ტოკერო.

**გაფრთხილება:** 1-1; **კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 16-12; **თამაშგარე:** 5-3; **კარში დარტყმა:** 12-8 (3-5); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 34 | 27 | 6 | 1 | 83-20 | 87 |
| 2. რეალი | 34 | 28 | 2 | 4 | 89-30 | 86 |
| 3. ვალენსია | 34 | 18 | 8 | 8 | 53-37 | 62 |
| 4. მალიორკა | 34 | 16 | 8 | 10 | 53-38 | 56 |
| 5. სევილია | 34 | 16 | 6 | 12 | 52-42 | 54 |
| 6. ვილიარეალი | 34 | 15 | 7 | 12 | 50-46 | 52 |
| 7. ბილბაო | 34 | 14 | 8 | 12 | 45-44 | 50 |
| 8. ხეტაფე | 34 | 15 | 5 | 14 | 52-46 | 50 |
| 9. დეპორტივო | 34 | 12 | 8 | 14 | 33-43 | 44 |
| 10. ატლეტიკო | 34 | 12 | 7 | 15 | 52-53 | 43 |
| 11. ესპანიოლი | 34 | 10 | 11 | 13 | 27-40 | 41 |
| 12. ოსასუნა | 34 | 10 | 9 | 15 | 30-39 | 39 |
| 13. ალმერია | 34 | 9 | 11 | 14 | 34-46 | 38 |
| 14. სპორტინგი | 34 | 9 | 10 | 15 | 33-46 | 37 |
| 15. რასინგი | 34 | 8 | 12 | 14 | 37-50 | 36 |
| 16. სარაგოსა | 34 | 8 | 10 | 16 | 39-58 | 34 |
| 17. მალაგა | 34 | 7 | 13 | 14 | 38-43 | 34 |
| 18. ვალიადოლიდი | 34 | 6 | 14 | 14 | 34-54 | 32 |
| 19. ტენერიფე | 34 | 8 | 8 | 18 | 35-66 | 32 |
| 20. ხერესი | 34 | 6 | 9 | 19 | 31-59 | 27 |



ხოაკინ კაპაროსი ლიგას უმიზნებს

ვეტერანი


ბოლო გოლი რეალში?

# ბოლო მატჩი რეალში?

## ყველაფერი რაულზეა დამოკიდებული

„სარაგოსასთან“ მატჩის მეორე ტაიმში „რეალის“ ცოცხალმა ლეგენდა **რაულ გონსალეს ბლანკომ** გოლი გაიტანა თუ არა შესაცვლელი გახდა, მან კოჭი დაიზიანა და შესაცვლელი გახდა. თავიდან ეგონათ, რომ რაულის ტრავმა არ იყო სერიოზული და მას ერთ კვირაში ვიხილავდით მოედანზე, მაგრამ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, რომ „ელ კაპიტანის“ ტრავმა სერიოზულია და ის მთელ სეზონს გამოტოვებს. არადა, ახლა ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ სეზონის შემდეგ რაული კლუბს დატოვებს და სხვაგან წავა. რა გამოდის, „სარაგოსასთან“ მატჩი, რომელშიც გატანილი გოლით რაულმა **ალფრედო დი სტეფანოს** გაასწორო პრიმერას ყველა დროის ბომბარდირთა დავაში და მესამე ადგილზე გადავიდა, რაულისთვის „რეალის“ რიგებში უკანასკნელი ყოფილა. ისე, მართლაც სიმბოლური იქნება, თუკი რაული გუნდს ასე დაემშვიდობა, მან ხომ ბოლო შეხებით გოლი გაიტანა, თანაც 16 წლის წინათ დებიუტი „რეალის“ რიგებში სწორედ „სარაგოსასთან“ საგარეო მატჩში ჰქონდა...

რაული კონტრაქტით კიდევ ერთი წლით ეკუთვნის „სამეფო კლუბს“, თუმცა მან ამ სეზონში სასტარტოში ადგილი დაკარგა და მოედანზე გამოსვლა იშვიათად უწევს. ესპანეთში ლაპარაკობენ, რომ რაული ან ინგლისურ კლუბში გადავა ან მლს-ში, კერძოდ კი „ნიუ იორკ რედ ბულზში“. როგორც გუშინ „მარკამ“ გაარკვია, საბოლოო გადაწყვეტილებას რაულის მომავალი კარიერის შესახებ მიიღებს არა კლუბის ხელმძღვანელობა, არამედ თავად ლეგენდარული ფეხბურთელი. „მარკას“ კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა უთხრა, რომ რაულს 2011 წლის 30 ივნისამდე (როცა კონტრაქტის ვადა გასდის) კაციშვილი ირიბადაც კი არ გადაუკრავს კლუბში, რომ დროა მან სხვაგან ითამაშოს. თავად რაული აცხადებს, რომ მას სურს ფეხბურთის თამაში, თუმცა არ აკონკრეტებს ნიშნავს თუ არა ეს ფრაზა კლუბიდან წასვლის განცხადებას, რადგან **რონალდოსა** და **ბენზემას** მოსვლის შემდეგ მას სათამაშო დრო მკვეთრად შეუმცირდა და ეს ტენდენცია კიდევ უფრო გამძაფრდება მომავალ სეზონში.

ამბები

## პუიოლი ტეილორში იცვლება?

„ბარსელონამ“ და „ნიუკასლ იუნაიტედმა“ ზაფხულში შესაძლოა ასეთი გარიგება განახორციელონ - კატალონიაში სათამაშოდ ინგლისელი მცველი **სტივენ ტეილორი** გადავა, ხოლო „ნისლიანი ალბიონის“ გზას „ბლაუგრანას“ კაპიტანი **კარლეს პუიოლი** გაუყვება. 24 წლის ჯორდის სეზონის დასაწყისში თანაგუნდელ ფორვარდ **ენდი კეროლთან** ჩხუბი მოუვიდა, რის შემდეგაც თვალი წასვლაზე უჭირავს. ტეილორს ახლა მუხლის ტრავმა აწუხებს და, შესაძლოა, ამ სეზონში ველარც ითამაშოს. „სპორტი“ იუწყება, რომ ხოსეპ გვარდიოლა დაინტერესებულია ტეილორის შეძენით, მის სანაცვლოდ კი უკვე ასაკოვანი პუიოლის დათმობაც კი შეუძლია. კარლესს „ბარსელონასთან“ კონტრაქტი 2013 წელს უსრულდება. ტეილორის შეძენა პრემიერლიგის კლუბებს - „ევერტონს“, „ბირმინგემს“ და „ასტონ ვილასაც“ სურთ.

## დელ ორნო დააკლდათ

პრიმერაში დარჩენისთვის მებრძოლ „ვალიადოლიდს“ ქვა ალმართში მიეწია - ბასკი მცველი **ასიერ დელ ორნო** დაიმტვრა და ის გუნდს გადამწყვეტ თამაშებში დააკლდება. დელ ორნომ ტრავმა „სპორტინგთან“ სტუმრად 2:0 მოგებულ მატჩში მიიღო. ახლა „ვალიადოლიდის“ თავკაც **ხავიერ კლემენტეს** ბასკი თანამემამულის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა. სხვათა შორის, დელ ორნომ მატჩი მანამდე გააგრძელა, სანამ მსაჯისგან წითელი ბარათი არ მიიღო უხეშობისთვის. „ხეტაფესთან“ მატჩს ის ისედაც ტოვებდა, თუმცა საეჭვოა დელ ორნო ლეონელებს დარჩენილ სამ შეხვედრაშიც დაეხმაროს.


გუტი

## გუტი დუბაის გზაზე

„რეალის“ გამოცდილი ნახევარმცველი **გუტი** სეზონის ბოლოს დუბაიში გადავა სათამაშოდ. ესპანური მედიის ცნობით, გუტიმ ყველაფერი შეათანხმა უკვე, როგორც ახლანდელ ისე მომავალ კლუბთან. 33 წლის ფეხბურთელმა ჯერ კიდევ მარტში განაცხადა, რომ კლუბის გამოცვლას აპირებს, ოღონდ ევროპაში თამაშს არ გეგმავს. მოგეხსენებათ, მან, როგორც გუნდის კაპიტანმა **რაულმა**, ახალწვეულთა მოსვლის შემდეგ „სამეფო კლუბის“ სასტარტოში ადგილი დაკარგა. დუბაის ერთ-ერთ კლუბთან (ეს კლუბი ჯერ არ სახელდება) მაღალი კლასის ესპანელმა პლეიმეიქერმა ორწლიანი კონტრაქტი შეათანხმა. „რეალში“ გატარებულ წლებში გუტიმ ჩემპიონთა თასი სამჯერ მოიგო, 5-ჯერ კი პრიმერას გამარჯვებული გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

სერია A

# იუვენტუსი არ ნებდება

„იუვენტუსს“ სწორედ მაშინ დაეწყო კრიზისი, როცა **ვინჩენცო იაკუინტამ** მძიმე ტრავმა მიიღო და რამდენიმე თვით ლაზარეთში გადაინაცვლა. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ მხოლოდ იაკუინტას არყოფნამ ჩააგდო ტურინული გრანდი ასეთ მძიმე დღეში, მაგრამ დანაკლისი რომ მეტად სერიოზული გამოდგა, ესეც ფაქტია. ვინჩენცო რამდენიმე კვირაა, რაც მოედანს დაუბრუნდა, ფორმა აკრიფა და გასულ უქმეებზე „ბარის“ დამარცხებაში ლომის წილი დაიდო. „იუვენტუსმა“ 3:0 გაიმარჯვა, დუბლით კი სწორედ იაკუინტა გამოირჩა. ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ სეზონის დასრულებისთანავე ტურინულ გრანდში რევოლუციური ცვლილებები მოხდება. ლაპარაკია **რაფაელ ბენიტესის** მისვლაზე, რომელმაც ტურინში **ფერნანდო ტორესი** და **ხავიერ მასკერანო** უნდა გაიყოლოს.

სულ უფრო ხშირად იწერება **ედინ ჯეკოს** ტრანსფერზეც, რომელსაც თურმე „მილანზე“ მეტად, „იუვე“ ესიმპატიურება. იაკვანტაზე კი იმად დავიწყეთ საუბარი, რომ „გაძეტა დელო სპორტის“ ინფორმაციით, ერთ-ერთი მათგანი, რომელსაც არაფერი ემუქრება და ხელშეუხებელია, სწორედ ვინჩენცო გახლავთ. ჟურნალისტებთან ამ თემაზე თავად ფეხბურთელმა ისაუბრა:

*„სამწუხაროდ, მიმდინარე სეზონში ძალიან ბევრი გამიცდა და ძნელბედობის ჟამს, გუნდის დახმარება ვერაფრით შევძელი. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო კლუბის მესვეურებს, რომლებიც ყველანაირად გვერდში დამიდგნენ და მხარდაჭერა გამომიცხადეს. მქონდა მათთან საუბარი და ვიცი, რომ ჩემთან ახალი ხელშეკრულების გაფორმება სურთ. საწინააღმდეგო არც მე მაქვს რამე, რადგან „იუვეს“ დარ გუნდში თამაში, ჩემთვის დიდი პატივია“.*

იაკუინტამ ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების შანსებზეც ისაუბრა და შემდეგი განაცხადა: *„ურთულეს მდგომარეობაში ვართ, თუმცა იმედები ბოლომდე არ გადამიწურავს. „ბარისთან“ შესანიშნავად ვითამაშეთ და მეტოქე ყველა კომპონენტში დავჯაბნეთ. საკუთარი თამაშითაც კმაყოფილი ვარ, ვგრძნობ, რომ შევდივარ ფორმაში და დარჩენილ შეხვედრებს კიდევ უკეთესად ჩავატარებ. ჩვენი მიზანია, ბოლო სამ ტურში ცხრა ქულა ავიღოთ, შემდეგ კი შევხედავთ ცხრილს და ვინ იცის, იქნებ მეოთხე ადგილზეც ამოვიჩნდეთ“.*

აქვე აღვნიშნოთ, რომ კიდევ უფრო ოპტიმისტური განცხადება გააკეთა **დიეგომ**. მისი თქმით, კონკურენტები აუცილებლად დაკარგავენ ქულებს და ამისთვის ტურინელები მზად უნდა იყვნენ. ბრაზილიელმა დასძინა - „ბარისთან“ გამარჯვება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესი იყო და მჯერა, დარჩენილ შეხვედრებში ქულათა მაქსიმუმს ავიღებთ. ასე რომ, „იუვე“ არ ნებდება და რა შედეგს გამოიღებს ასეთი უტეხი ხასიათი, განწყობა და პოზიცია, ამას დრო გვიჩვენებს.


ვინჩენცო იაკუინტამ იუვენტუსს სიცოცხლე შემატა

**ლაშა წიკლაური**

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაიერნი



ლუკა ტონი ვან გაალთან დაბრუნებას არ აპირებს

# ლუკა ტონი: ვან გაალთან ჩემი მტერი დაბრუნდეს!

## ლუკას იმედი აქვს, რომ მიუნხენელები რომში დატოვებენ

როგორც იცით, **ლუკა ტონი** „რომაში" განათხოვრების წესით თამაშობს, ისე კი, მიუნხენის „ბაიერნის" საკუთრებაა. დასრულდება თუ არა მიმდინარე სეზონი, იტალიელი თავდამსხმელი მიუნხენში უნდა დაბრუნდეს, რადგან „რომასთან" საარენდო ხელშეკრულების ვადა ეწურება. მაგრამ ტონის არ სურს „ბაიერნში" დაბრუნება მანამდე, სანამ რეკორდმაისტერს **ლუის ვან გაალი** წვრთნის! რაკი მიუნხენში ვან გაალის გათავისუფლებას არ აპირებენ, ლუკას იმედი აქვს, რომ „რომაში" დარჩება.

*„ბაიერნი" ძალიან მიყვარს. მიუნხენში ყველასთან იდეალური ურთიერთობა მაქვს - ხელმძღვანელებთან, თანაგუნდელებთან და მით უმეტეს ქომაგებთან, რომლებიც ძალიან მაფასებენ. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ვერაფერი გავუგე და ზუსტად ვიცი, რომ ვერც ვერასდროს გავუგებ, ლუის ვან გაალია. სანამ „ბაიერნს" ეს კაცი წვრთნის, მიუნხენში დაბრუნებას გამოვრიცხავ. ვიცი, რომ ვან გაალი „ბაიერნს" გაისადაც გაწვრთნის, რადგან რეკორდმაისტერი შესანიშნავ სეზონს ატარებს. შესაბამისად, იმედი მაქვს, რომ რომში დარჩენის უფლება მექნება,"* - განუცხადა 32 წლის ტონიმ „კიკერს".

ტონი „რომაში" იანვრიდან თამაშობს. ლუკამ იტალიურ კლუბს იმის გამო მიაშურა, რომ ვან გაალი სათადარიგოთა სკამს ახეხინებდა - ტონის ლუისთან თავიდანვე გაუფუჭდა ურთიერთობა. თავდამსხმელი და მწვრთნელი პრესის ფურცლებიდან ერთმანეთს ხშირად უტევდნენ. ტონი სეზონის დასაწყისში ტრავმირებული იყო და გამოჯანმრთელების შემდეგ ვან გაალი მას არ ათამაშებდა.

*„დამთავრდება თუ არა სეზონი, მიუნხენში ჩავალ და კლუბის ხელმძღვანელებს დაველაპარაკები. „ბაიერნის" შეფებთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს. მათ გამიგეს და „რომაში" გამანათხოვრეს, რის გამოც დიდად ვემადლიერები,"* - აცხადებს იტალიელი, რომელმაც იანვრის მერე, „რომას" შემადგენლობაში 13 მატჩში 5 გოლის გატანა შეძლო. ლუკას შენარჩუნება „ჯალოროსისაც" სურს.

**გოტფრიდ ლენცი**




ბუნდესლიგა

# საგიჟეთი ვერცხლის სინისთვის

## ფელიქს მაგათი: ბაიერნი ორივე თამაშს ვერ მოიგებს!

არავინ რომ არ ელოდა, მიუნხენის „ბაიერნმა" იმ დროს აურია და მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან", რომელსაც ამ სეზონში არაფერი აინტერესებს გარდა იმისა, რომ ისტორიული მეტოქისთვის ნერვები მოეშალა, მხოლოდ ფრეს დასჯერდა. შესაბამისად, კითხვა, თუ ვინ ალმართავს 8 მაისს გერმანიის ჩემპიონობისთვის განკუთვნილ „ვერცხლის სინს" ისევ უპასუხოდ დარჩა.

ფაქტია, რომ „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** სინი ცალი ხელით უკვე უპყრია, მაგრამ შაბათის შემდეგ, სინს მინიმუმ ოთხი თითით ეხება „შალკეს" დამრიგებელი **ფელიქს მაგათიც** და ჩვენ ვიცით, რომ დარჩენილ ორ ტურში ნამდვილი საგიჟეთი გველოდება!

32 ტურის შემდეგ „ბაიერნს" და „შალკეს" ქულების თანაბარი რაოდენობა აქვთ და რეკორდმაისტერი **ლევან ყენიას** გუნდს მხოლოდ ბურთების უკეთესი შეფარდებით სჯობნის. თუმცა, აქ „ბაიერნს" იმდენად დიდი უპირატესობა აქვს, რომ ნურავინ იფიქრებს, „შალკემ" მისი ალმოფხვრა შეძლოს: +13. მოკლედ, გელზენკირხენული კლუბის ერთადერთი შანსი ის არის, რომ ბავარიულმა გრანდმა დარჩენილი ორიდან რომელიმე თამაში ვერ მოიგოს, ხოლო „შალკემ" კი ექვსი ქულა მოიპოვოს. მაგათი დარწმუნებულია, რომ „ბაიერნი" ორივე თამაშის მოგებას ვერ შეძლებს და თავის შეგირდებს მოუწოდებს, თუ ჩვენ ექვს ქულას ავიღებთ, დამიჯერეთ, ჩემპიონები გავხდებითო. სიტყვა ჩემპიონობა კი, „შალკესთვის" იმდენად „წმინდა" და მიუწვდომელია, რომ მთელი გელზენკირხენი ოცნებებშია!

არადა, „ბაიერნს" ლოგიკურად უფრო მარტივი მატჩები ელის, ვიდრე „შალკეს", რადგან მიუნხენელები ჯერ „ბოხუმს" მასპინძლობენ, ბოლოს ბერლინში ჩადიან, „შალკე" კი „ვერდერს" მასპინძლობს და მერე მაინცში ჩადის. კვირას, ტელეკომპანია ZDF-ის პირდაპირ ეთერში მიწვეულმა მაგათმა ყოველგვარი „მაგრამისა" და „თუს" გარეშე თქვა, ჩვენ გერმანიის ჩემპიონები გავხდებითო და ამით მიუნხენური კლუბი უმძიმესი წნეხის ქვეშ მოაქცია. მაგათი ფიქრობს, რომ „ბაიერნს" „ლიონთან" საპასუხო მატჩიც დააკარგვინებს კონცენტრაციას. *„მწვრთნელმა და პრეზიდენტმა რაც უნდათ თქვან, მე ვიცი, რომ მთელი „ბაიერნი" ჩემპიონთა ლიგაზე ფიქრობს და რეკორდმაისტერი ბუნდესლიგაში ორივე თამაშს ნალდად ვერ მოიგებს. „ბაიერნი" კიდევ ერთხელ წაიფორხილებს, ჩვენ კი მზად ვართ, ჩემპიონები გავხდეთ. როგორც წესი, მიუნხენურ კლუბს სუსტებთან უფრო უჭირს ხოლმე ასეთ დროს სამი ქულის მოპოვება,"* - ამბობს ფელიქსი.


ვის დარჩება ვერცხლის სინი, ლუის ვან გაალს თუ ფელიქს მაგათს?

ლუის ვან გაალი კი სიმშვიდეს ინარჩუნებს: *„რაც მთავარია, ჩვენი ბედი ჩვენს ხელშია. ბურთების უკეთესი შეფარდება ერთქულიან უპირატესობასავითაა. „შალკემ" ჯერ „ვერდერთან" უნდა ითამაშოს, მერე კი მაინცში ჩავიდეს და მე კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს ამ კლუბების წინააღმდეგ თამაში!"* - ჰო, ვან გაალის „ბაიერნმა" „ვერდერთან" მხოლოდ 1:1 ითამაშა, მაინცში კი 1:2 დამარცხდა.

გერმანული ფეხბურთის ცოცხალ ლეგენდასა და „ბაიერნის" საპატიო პრეზიდენტ **ფრანც ბეკენბაუერს** კი სულაც არ მიაჩნია, რომ „ბაიერნმა" მიონხენგლადბახში წაიფორხილა. კაიზერი: *„ისეთი არაფერი მომხდარა, რადგან „გლადბახს" ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს. მთავარია, დარჩენილ ორ ტურში ფეხი აღარ დაგვიცდეს და მე მგონია, რომ აღარ დაგვიცდება. გუნდი, რომელიც გავარდნის კანდიდატ „ბოხუმს" ვერ მოუგებს და ზედ თითქმის გავარდნილ „ჰერტასაც" ვერ მიაყოლებს, გერმანიის ჩემპიონობას არც იმსახურებს!"* - „ბოხუმის" რა გითხრათ, მაგრამ თუ „ჰერტას" გადარჩენის შანსი ბოლო ტურამდე შერჩა, ფაქტია, რომ მთელი ბერლინი და საფეხბურთო გერმანიის უდიდესი ნაწილი „ბაიერნის" წინააღმდეგ გაერთიანდება!

ისტორიას გადავხედოთ: ბუნდესლიგამ დღემდე სულ 46 სეზონი მოილია და აქედან, ჩემპიონის ვინაობა ბოლო ტურში 23 სეზონში გაირკვა. 46 სეზონიდან მხოლოდ ხუთში მოხდა ისე, რომ ამა თუ იმ გუნდმა ლიდერობა ბოლო ტურში დაკარგა. ერთად გადავხედოთ, ბუნდესლიგის ბოლო ტურებში მომხდარ დიდ ამბებს:

2001 წელს „შალკე" უკვე გერმანიის ჩემპიონობას ზეიმობდა, როცა „ბაიერნისა" და „ჰამბურგის" მატჩის 95-ე წუთზე **პატრიკ ანდერსონმა** გაიტანა გოლი, რომლითაც მიუნხენელებმა ანგარიში გაათანაბრეს (1:1) და ჩემპიონები გახდნენ.

2000 წელს, ბოლო ტურის წინ, სატურნირო ცხრილს „ლევერკუზენი" ლიდერობდა, მაგრამ 34-ე ტურში „ფარმაცევტები" „უნტერჰახინგთან" 0:2 დამარცხდნენ. „ბაიერნმა" კი ბრემენის „ვერდერი" დაამარცხა (3:1) და ჩემპიონი გახდა.

1992 წელს, ლიდერი „აინტრახტი" ბოლო ტურში როსტოკში დაეცა (1:2 „ჰანზასთან") და არა მარტო პირველი ადგილი დაკარგა, არამედ მესამე ადგილზე გავიდა. ჩემპიონი კი „შტუტგარტი" გახდა.

1986 წელს „ბაიერნმა" „ვერდერი" ჩამოაგდო ტახტიდან.

1971 წელს კი, **გიუნტერ ნეტცერისა** და **იუპ ჰაინკესის** (დუბლი) გოლებით, მიონხენგლადბახის „ბორუსიამ" ფრანკფურტში მოიგო და 34-ე ტურში გადაასწრო ფრანც ბეკენბაუერის „ბაიერნს", რომელიც დუისბურგში 0:2 დამარცხდა.

**გოტფრიდ ლენცი**

კონფლიქტი

# სტოკში ერთმანეთს ურტყამენ

კვირას „სტემფორდ ბრიჯზე" საოცარი რამ მოხდა. არა, იმას არ ვგულისხმობთ, „ჩელსიმ" „სტოკ სიტის" 7:0 რომ მოუგო, იმის თქმა გვინდა, რომ „სტოკის" ფეხბურთელებმა, ნახევარმცველმა **გლენ უილანმა** და მცველმა **აბდულა ფაიემ** ერთმანეთს მუშტები უთავაზეს. ცნობისათვის: ეს **ტონი პულისის** გუნდში, ამ სეზონში უკვე მეორე შემთხვევაა - დეკემბერში, თუ გახსოვთ, **ჯეიმს ბიტისთან** თავად მწვრთნელს მოუვიდა ჩხუბი.

მოთამაშეებმა, რომლებიც, სხვათა შორის, სტოკელთა გუნდისთვის საკვანძონი არიან, შესვენებისას იჩხუბეს - იმ დროისთვის ანგარიშს ჯერ კიდევ შეეხედებოდა, 3:0 იყო. ხელის გაქნევას, რასაკვირველია, წინ სიტყვიერი შეურაცხყოფა უძღოდა. მიზეზი კი ის გახლავთ, რომ ირლანდიელ უილანს ჯერ კიდევ მოთელვისას და მერე, შეხვედრის პირველ წუთებში, არ მოეწონა პრემიერლიგის ლიდერთან ფაიეს უგულო თამაში. კაპიტანი თითქოსდა წაგებას შეგუებული იყო, ხოლო, როდესაც მე-9 წუთზე კუნთის გაჭიმვის (თუ ვითომ გაჭიმვის) გამო ის შეცვალეს კიდეც, უილანი კინაღამ გაგიჟდა. ირლანდიელმა შესვენებამდე მოითმინა და გასახდელში მიუვარდა ბრგე თანაგუნდელს.


აბდულა ფაიე და გლენ უილანი

„სტოკიდან" გამოსულ ხმათა თანახმად, დატაკებულთა გაშველებას თანაგუნდელების ფიზიკური ჩარევა დასჭირდა. პულისი და მისი ასისტენტები გაოცებულები უყურებდნენ მომხდარს.

**ილია ბაბუნაშვილი**

იან რაიტის სვეტი

# ...ნეტავ, ჩვენებმა წააგონ

**გთავაზობთ, „არსენალის“ ყოფილი ვარსკვლავის და დღეს საგაზეთო მესვეტის იან რაიტის ბოლო მიმოხილვას, რომელშიც ის პრემიერლიგის პირველობის დასრულებამდე ორი ტურით ადრე შექმნილ მდგომარეობაზე ლაპარაკობს...**

*„ამ სეზონში რაღაც მოიშალა. ადრე, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და „ჩელსისთვის“ ექვსი-შვიდი წაგება მეტისმეტი იქნებოდა, ახლა კი, როგორც ხედავთ, ტიტულის მოგება ორივეს შეუძლია. მგონი ყველა დამეთანხმება, რომ სხვათაგან ერთი თავით გამორჩეული გუნდი არც ერთი იყო და არც მეორე, ასე რომ, ბრძოლა, სავარაუდოდ, ბოლო დღემდე გაგრძელდება. თუმცა, მაინც შეიძლება გაჩნდეს კითხვა, ვინ უფრო იმსახურებს ჩემპიონობას, „მანჩესტერ იუნაიტედი“ თუ „ჩელსი“? ამ კითხვაზე მე ასეთ პასუხს გავცემდი: მიმდინარე ჩემპიონატში „იუნაიტედს“ მაინცდამაინც ძლიერად არ უთამაშია, ხოლო, როდესაც უეინ რუნიც აკლდებოდა, ის კიდევ უფრო სუსტად გამოდიოდა. ვიმეორებ, ამ სეზონში სულ ერთი-ორი მატჩი ვნახე, როდესაც „იუნაიტედმა“ ისე ითამაშა, რომ ალტაცებისგან სკამის კიდეზე ვიჯექი.*

*ახლა, რაც შეეხება „ჩელსის“: მართალია, ამ გუნდმა „ასტონ ვილას“, „სანდერლენდსა“ და ახლა უკვე „სტოკსაც“ შვიდი გოლი გაუტანა, გამაოგნებელი არც ის ყოფილა, თუმცა „იუნაიტედზე“ ძლიერი იყო და სეზონის გამოწვევებსაც უფრო გაართვა თავი. ხალხი „ჩელსის“ ფეხბურთელებს ტრიბუნიდან პენსიონერებს და სხვა ამგვარ, გასალიზიანებელ სიტყვებს ეძახის, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, არასწორია. მეტსაც გეტყვით, სისულელე გახლავთ. ის, რომ ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე „ჩელსი“ ცხრილში ერთი ქულით ლიდერობს, სწორედ მისი ფეხბურთელების გამოცდილების დამსახურებაა. კი, ბატონო, სიამოვნებით ვნახავდი „სტემფორდ ბრიჯზე“ კიდევ ერთი-ორ ამაღელვებელ ფეხბურთელს. დიახ, „ჩელსის“ 30 წელს გადაცილებული მოთამაშეებისთვის ამ სეზონში ტიტულის მოპოვება ალთქმასავით არის. მერე რა, რომ მათ მიკელ ესიენი აკლიათ და ჯონ ტერი ვერ ჰყავთ საუკეთესო ფორმაში. ეს ორი ფეხბურთელი მთელი სეზონის განმავლობაში ხან მოედანზეა, ხან კი ტრიბუნიდან ადევნებს თანაგუნდელების თამაშს თვალს და, რასაკვირველია, მათ გარეშე „ჩელსი“ ის „ჩელსი“ ვერ არის, მაგრამ დანარჩენ ფეხბურთელებს გამარჯვების წყურვილი იმდენად ახრჩობთ, რომ როგორც ხედავთ, პირველზე არიან და არ ეტყობათ, პოზიციის დათმობას რომ აპირებდნენ. მერედა, გუნდი მობილიზებულია და მწვრთნელ კარლო ანჩელოტის მითითებებს ზედმიწევნით ასრულებს. ვფიქრობ, რამდენიმე შეუფერებელი წაგების მიუხედავად, „ჩელსის“ დღევანდელ ლიდერობაში ღვაწლი სწორედ ანჩელოტის მიუძღვის.*

*ახლა გუნდს ლივერპულში უწევს სტუმრობა და ეს თამაში, რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე იქნება. მართალი გითხრათ, ერთი-ორი მერსისაიდელისგან გავიგე, რომ მათ უჯობთ „ლივერპულმა“ წააგოს, ვიდრე ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახდეს, მაგრამ რაფა ბენიტესს თავის წილ კარგი შედეგები სჭირდება.*

*ხოლო რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელ ადგილებს, ვფიქრობ, მესამე ალალია „არსენალზე“, რომელიც მთელი სეზონი მშვენივრად თამაშობდა, ხოლო მეოთხეს „ტოტენჰემ ჰოთსპური“ იმსახურებს.*

*სიტყვამ „სფურზი“ მოიტანა. ეს გუნდი მეოთხე ადგილისთვის „მანჩესტერ სიტის“ ეჯიბრება, მაგრამ თუ გავიხსენებთ, რა ფული დახარჯა ფეხბურთელების ყიდვაზე ერთმა და მეორემ, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ჰარი რედნაპის გუნდი უფრო იმსახურებს წარმატებას. „ტოტენჰემს“ ორი ისეთი მცველი ჰყავს, რომლებსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ვნახავდი სიამოვნებით. მაიკლ დოუსონსა და ლედლი კინგზე მოგახსენებთ. „სიტიმ“ კი ბოლო ორ სეზონში მართლაც გვარიანი თანხა დახარჯა. ამის მიუხედავად, ვფიქრობ, მისთვის ამ სეზონში ევროლიგაზე გამსვლელი ადგილი უფრო მისაღებია.*

*კიდევ ერთი გუნდი, რომლისგანაც მეტს ველოდი „ასტონ ვილაა“, თუმცა, ვფიქრობ, ბირმინგემულ გუნდს თუკი რამდენიმე ფეხბურთელი დაემატება, მომავალ სეზონში გაცილებით მეტს მოახერხებს. დიდ ქებას იმსახურებს ამავე ქალაქის მეორე გუნდი „ბირმინგემ სიტი“ და მისი მწვრთნელი ალექს მაკლიშიც. ამ გუნდს კვირას „ვილა პარკზე“ არ გაუმართლა. როჯერ ჯონსონი და ლაიამ რიჯუელი შეუდარებელნი იყვნენ. ვფიქრობ, უფრო მეტ ქებასა და ყურადღებას იმსახურებს ბარი ფერგიუსონიც. ისევე, როგორც „ასტონ ვილას“, თუკი „ბირმინგემსაც“ დაემატება რამდენიმე ფეხბურთელი, გაისად ისიც შეძლებს ევროშეჯიბრებაში, კერძოდ კი ევროთასზე გამსვლელი ადგილის დაკავებას“.*

**ილია ბაბუნაშვილი**




იან რაიტი მიიჩნევს, რომ ამ სეზონში ჩელსი ყველას სჯობს



ეროვნული ბიბლიოთეკა



ამბები

## შტუტგარტმა ჰარნიკი იყიდა

**მარტინ ჰარნიკი** კარიერას „შტუტგარტში" გააგრძელებს - ეს ინფორმაცია გერმანულმა პრესამ გუშინ გაავრცელა. ფორვარდი ამ სეზონში ბრემენის „ვერდერიდან" დიუსელდორფის „ფორტუნაშია" განათხოვრებული და ამ დღეებში შვაბურ კლუბთან კონტრაქტს გააფორმებს. ჰარნიკის გადაბირება „ლევერკუზენს", „გლადბახს" და „ჰოფენჰაიმსაც" სურდათ. „შტუტგარტი" „ვერდერს" 300000 ევროს გადაუხდის, რაც ასეთი თავდამსხმელისთვის ძალიან მცირე თანხაა, მაგრამ ბრემენელებს სხვა გზა არ ჰქონდათ, რადგან ავსტრიელი გოლეადორის კონტრაქტში სწორედ ეს თანხა იყო მითითებული. ჰარნიკმა მიმდინარე სეზონში „ფორტუნას" რიგებში (მეორე ბუნდესლიგა) 28 მატჩი ჩაატარა და 12 გოლი გაიტანა. ავსტრიის ნაკრების 22 წლის თავდამსხმელს „ვერდერთან" კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებდა.

გოტფრიდ **ლენცი**

## მაინცის მცველი ინტერში?

იტალიური გაზეთი „ლა სტამპა" წერს, რომ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი მილანის „ინტერი" „მაინცისა" და გერმანიის 19-წლამდელთა ნაკრების მცველით, **შტეფან ბელით** დაინტერესდა. როგორც ჩვენი იტალიელი კოლეგები იუწყებიან, „ნერაძური" მზადაა, ბელის სანაცვლოდ 1.5 მილიონი ევრო გადაიხადოს. ბელი 2009 წელს „მაინცის" ბავშვთა გუნდთან ერთად გერმანიის ჩემპიონი გახდა, პროფესიონალებთან ერთად კი მხოლოდ ამხანაგურ მატჩებში მონაწილეობს.

გოტფრიდ **ლენცი**

## დორტმუნდი: ბენდერმა სეზონი დაასრულა

დორტმუნდის „ბორუსიას" საყრდენმა ნახევარმცველმა **სვენ ბენდერმა** შაბათს, „ნიურნბერგთან" მატჩში, რომელიც „ბორუსიამ" 3:2 მოიგო, უმძიმესი ტრავმა მიიღო. ორშაბათს კი გაირკვა, რომ 21 წლის ბენდერს მყესები გაუწყდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის სეზონი დასრულებულია და ის **იურგენ კლოპის** გუნდს დარჩენილ მატჩებში (ვოლფსბურგთან და ფრაიბურგთან) ველარ დაეხმარება. ბენდერმა, რომლის ტყუპისცალი ლარსი „ლევერკუზენის" ღირსებას იცავს, მიმდინარე სეზონში ბუნდესლიგაში 19 მატჩი ჩაატარა და „დორტმუნდის" ძირითადი შემადგენლობის წევრია. სვენ ბენდერს **ტამაშ ჰაინალი** შეცვლის.

გოტფრიდ **ლენცი**

## კაჩარი: ბერლინიდან ჰამბურგში?

თითქმის გადაწყვეტილია, რომ 35 წლის ბრაზილიელი საყრდენი ნახევარმცველი **ზე რობერტო** ზაფხულში „ჰამბურგს" დატოვებს და აშშ-ში წავა, სადაც ნიუ იორკის „რედ ბულის" ღირსებას დაიცავს. შესაბამისად, „ჰამბურგის" ხელმძღვანელები ბრაზილიელის შემცვლელს ეძებენ და მიაგნეს კიდეც - ბერლინში. მეორე ბუნდესლიგაში დასაქვეითებლად განწირულ „ჰერტას" 23 წლის **გოიკო კაჩარი** ჰყავს, რომელსაც უდიდეს მომავალს უწინასწარმეტყველებენ და ფაქტია, რომ ეს უკანასკნელი მეორე ბუნდესლიგაში თამაშს არ მოისურვებს - მით უმეტეს, რომ მთხოვნელებიც არ აკლია. „კიკერის" ცნობით, კვირას „ჰამბურგის" სკაუტები კაჩარს ბერლინში შეხვდნენ. „ჰერტა" კაჩარის სანაცვლოდ 8 მილიონ ევროს ითხოვს.

გოტფრიდ **ლენცი**

ტრანსფერი

# მეტცელდერი შალკეში მიდის!

### რეალმა კრისტოფი უფასოდ დათმო, გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი გელზენკირხენში ყველაფერს თავიდან დაიწყებს

**გაინალდა** თუ არა „შალკეს" ჩემპიონთა ლიგაში ასპარეზობა, გელზენკირხენული კლუბის მთავარმა მწვრთნელმა **ფელიქს მაგათმა** მაშინვე პირველი ხმაურიანი ტრანსფერი სრულყო: გერმანიის ნაკრების ყოფილი მცველი **კრისტოფ მეტცელდერი** სეზონის დასრულებისთანავე მადრიდის „რეალიდან" „შალკეში" გადავა და **ლევან ყენიას** თანაგუნდელი გახდება. მაგათი გუშინწინ ბერლინში იმყოფებოდა, სადაც 29 წლის მეტცელდერს და მის აგენტს შეხვდა. „კიკერის" ინფორმაციით, 2002 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი, რომელსაც გერმანიის ნაკრებში 47 მატჩი აქვს ჩატარებული, „შალკესთან" სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. „რეალმა", სადაც გერმანელმა სამი წელი გაატარა, მეტცე უფასოდ დათმო!

ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, კრისტოფს გერმანიის ჯერ კიდევ მოქმედი ჩემპიონი, „ვოლფსბურგიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ ფეხბურთელმა უპირატესობა „შალკეს" მიანიჭა, რადგან ჯერ ერთი, ჩემპიონთა ლიგაში თამაში უნდა და ესეც რომ არ იყოს, გელზენკირხენში უფრო დიდ პერსპექტივას ხედავს.

საინტერესოა ისიც, რომ მადრიდში გადასვლამდე, კრისტოფ მეტცელდერი „შალკეს" მოსისხლე მტერ დორტმუნდის „ბორუსიაში" თამაშობდა. BVB-ში მან 2000-დან 2007 წლამდე ითამაშა და ბუნდესლიგაში სულ 126 მატჩი ჩაატარა (2 გოლი). თუმცა, მეტცელდერს „შალკეშიც" კარგად იცნობენ, რადგან 1995/96 წლების სეზონში სწორედ გელზენკირხენული კლუბის ბავშვთა გუნდში ასპარეზობდა.

„რეალში" მეტცელდერზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ ისევე, როგორც სხვა არაერთი ვარსკვლავის შემთხვევაში მომხდარა, მადრიდულ გრანდში ვერც გერმანელმა მცველმა გამოიჩინა თავი. 2007 წლიდან დღემდე, კრისტოფმა „სამეფო გუნდის" მაისური პრიმერა დივიზიონში სულ 23-ჯერ მოირგო. ევროტურნირებზე კი მეტცელდერს სულ 26 მატჩი აქვს ჩატარებული. აქედან, 22-ჯერ „ბორუსიას" ღირსებას იცავდა, 4-ჯერ კი „რეალისას". ჩემპიონთა ლიგაში მეტცელდერის უკანასკნელი თამაში 2008 წლის 10 დეკემბრით თარიღდება - „რეალი"-"ზენიტი" 3:0.

კრისტოფის კარიერის ყველაზე დიდ მიღწევად 2002 წელს გერმანიის ჩემპიონობა („დორტმუნდთან" ერთად) მიიჩნევა. 2008 წელს მეტცელდერი ესპანეთის ჩემპიონი გახდა, მაგრამ იმ სეზონში მადრიდულ კლუბში ძალიან იშვიათად ათამაშებდნენ. გერმანიის ნაკრებში კი, 2002 წელს მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი გახდა, 2006 წელს კი მესამე ადგილი დაიკავა.


კრისტოფ მეტცელდერი კარიერას შალკეში გააგრძელებს

რაში სჭირდება ფელიქს მაგათს მეტცელდერი? „დესპოტი ფელიქსი" 34 წლის **მარსელო ბორდონის** შემცვლელს ეძებს, რომელსაც „შალკესთან" კონტრაქტი გაისად უმთავრდება და ალბათ კარიერას დაასრულებს. გარდა ამისა, ფელიქსს 22 წლის **ბენედიქტ ჰიოვედესის** შემცვლელიც საძებარი ჰყავს, რადგან ამ უკანასკნელზე უდიდესი მოთხოვნაა. რაც მთავარია, მაგათმა მეტცელდერი ხელში უფასოდ ჩაიგდო. „შალკეს" მწვრთნელს სჯერა, რომ კრისტოფი მის ხელში „მკვდრეთით აღდგება". ფელიქსმა ტრანსფერი გუშინ დაადასტურა.

*„ძალიან მიხარია, რომ კრისტოფმა „შალკეში" გადმოსვლა გადაწყვიტა,* - განაცხადა მაგათმა გუშინ ნაშუადღევს, - *მეტცელდერი დიდი ფეხბურთელი და ნამდვილი ლიდერია. არა მგონია, რომ ჩვენმა გულშემატკივრებმა ის ცუდად მიიღონ მხოლოდ იმიტომ, რომ ყოფილი დორტმუნდელია. ვფიქრობ, მეტცელდერი „შალკედან" გერმანიის ნაკრებში დაბრუნდება!"*

გოტფრიდ **ლენცი**



**ბრუნო ლაბადიას** გათავისუფლებიდან ზუსტად ერთ დღეში, „ჰამბურგის" შეფი **ბერნდ ჰოფმანი იურგენ კლინსმანს** შეხვდა, რასაც მაშინვე დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გერმანელი ჟურნალისტების ცნობით, დიდი შანსია, რომ „ჰამბურგის" მთავარ მწვრთნელად სწორედ კლინსი დაინიშნოს.

მოსალოდნელი დანიშვნა

# კლინსმანი ჰამბურგში?

### სხვა კანდიდატები: ლიოვი, დაუმი, რაიკაარდი

ეს გახლდათ ჰოფმანის მეორე შეხვედრა კლინსმანთან. პირველი შეხვედრა კი წინა კვირაში, „ფულჰემთან" მატჩამდე შედგა. „ჰამბურგის" შეფმა და კლინსიმ ერთ-ერთ რესტორანში ივახშმეს. ჰოფმანი არაფერს ადასტურებს, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ კლინსმანი „ჰამბურგის" მწვრთნელის პოსტზე ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ჩაითვალოს. იურგენის დანიშვნა ჰამბურგელებს ერთი წლის წინაც სურდათ, მაგრამ მაშინ 45 წლის კლინსმანი „ბაიერნიდან" ახალი გათავისუფლებული იყო და მუშაობის დაწყებას არ ჩქარობდა. საინტერესო ის არის, რომ 2005 წელს, როცა კლინსმანი გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, იურგენმა ბუნდესგუნდში **ურს ზიგენტჰალერი** მიიყვანა და შეფსკაუტად დანიშნა. დღეს ზიგენტჰალერი „ჰამბურგის" სპორტული დირექტორია. გერმანული გამოცემები მარჩიელობენ: იქნებ ჰოფმანს კლინსისგან მხოლოდ რჩევების მიღება სურდა? ან იქნებ, კლინსიმ და ჰოფმანმა სულაც **იოახიმ ლიოვზე** ისაუბრეს, რომელიც, სავარაუდოდ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ გერმანიის ნაკრებს დატოვებს?

„კიკერის" ინფორმაციით, „ჰამბურგში" დანიშვნის ერთ-ერთი კანდიდატია **კრისტოფ დაუმიც**. „ფენერბაჰჩეს" თავკაცმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ბუნდესლიგაში დაბრუნება უნდა. „ბილდს" საიდუმლო ფავორიტად **ბერნდ შუსტერი** მიაჩნია. საუბარია **ფრანკ რაიკაარდის** კანდიდატურაზეც.

გოტფრიდ **ლენცი**


შეი გივენი ცოლთან ერთად

მანჩესტერ სიტი

# დაუბრუნეთ გაქირავებული გამქირავებელს!

„მანჩესტერ სიტიმ" მეტად უცნაური რამ განიზრახა: „ბირმინგემში" გაქირავებული გოლკიპერის **ჯო ჰარტის** უკან დაბრუნებას ითხოვს. საქმე ის გახლავთ, რომ ისტლენდელებს სასწრაფოდ სჭირდებათ მაღალი კლასის მეკარე, რადგან მათმა ირლანდიელმა კარის მცველმა **შეი გივენმა** მხარი იტკინა და, ამიერიდან, ოთხი თვე მკურნალობას მოუნდება, რაც იმას ნიშნავს, რომ „ასტონ ვილასთან", „ტოტენჰემთან" და „ვესტ ჰემთან" დარჩენილ უმნიშვნელოვანეს შეხვედრებში „სიტი" „კარმოშიშვლებული" რჩება - გივენის მთავარი დუბლიორი **სტიუარტ ტეილორი** მუხლის ოპერაციის შემდეგ მხოლოდ და მხოლოდ გუშინ შეუდგა ვარჯიშს. ახლა, ერთადერთი იმედი პრემიერლიგის შეფებზეა, რომელთაც შეუძლიათ უპრეცედენტო რამ გააკეთონ - გაქირავებული კაცი დამქირავებელს გამოსტაცონ და გამქირავებელს დაუბრუნონ.

ჰარტი, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩინებულ ფორმაშია, სეზონს საუცხოოდ ატარებს და მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ინგლისელი ფანებს გულში იმედს უსახავს. ჰოდა, ამიტომაც იქნება გასაკვირი, „სიტის" განზრახვას მისი დარჩენილი მოწინაალმდეგეების, „ასტონ ვილასა" და „ტოტენჰემის" მწვრთნელები, **მარტინ ონილი** და **ჰარი რედნაპი** მშვიდად რომ შეხვდნენ. ონილმა, მაგალითად, სულ ახლახან გამოსცადა, თუ რა ძნელია ჰარტის კარში გოლის გატანა - კვირას, „ვილა პარკზე" „ბირმინგემის" დამარცხებას საეჭვო პენალტი დასჭირდა - და ახლა, შაბათს, მეტოქის კარში კიდევ ჰარტი რომ დახვდეს, ნამდვილად აღშფოთდება. რედნაპს კი თავისი გუნდი შემდეგ ოთხშაბათს მიჰყავს მანჩესტერში და მთელი ინგლისი დარწმუნებულია, რომ ეს მეოთხე ადგილის ბედის გადამწყვეტი თამაში იქნება.

ახლა, ამას ყველაფერს თავი დავანებოთ და ის ვიკითხოთ, რატომ უნდა უნდოდეს თავად „ბირმინგემს" ქირაობის კონტრაქტის დარღვევა თუ გადაკეთება და თავისი ჩინებული გოლკიპერის დროზე ადრე გაშვება? თან, ხსენებულ კონტრაქტში არსად წერია, რომ ქირაობის ვადის შეცვლა და ჰარტის „სიტიში" დროზე ადრე დაბრუნება შესაძლებელია. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ისტლენდელებს ჰქონდეთ, „ბირმინგემის" კეთილი ნება და სატურნირო მდგომარეობაა - მეცხრე ადგილზე ზევით ისინი მაინც ვერ ავლენ. და კიდევ, „სიტის" შემადგენლობაში, მაღალი ადგილებისთვის ბრძოლა, სამ მნიშვნელოვან შეხვედრაში მონაწილეობა, საკუთრივ ჰარტისთვის შეიძლება იყოს ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ სასარგებლო.

თუმცა, ცხრილი და დარჩენილ შეხვედრათა კალენდარი იმ ვარიანტის გათვალისწინებასაც ითხოვს, რომლის მიხედვითაც ბირმინგემელებს შესაძლოა საქმე ცუდად წაუვიდეთ და „სანდერლენდი", „ბლექბერნი", „სტოკ სიტი" და „ფულჰემი" წამოეწიონ. მეცხრე და მეცამეტე ადგილებს შორის კი განსხვავება მთელი 2,8 მილიონი ფუნტია.

დავუბრუნდეთ მეკარის გამოცვლის თემას. შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ვინაიდან ინგლისში სატრანსფერო სეზონი დახურულია, „სიტის" ახალი მეკარის აყვანის უფლება უბრალოდ არ აქვს, მაგრამ ეს ასე არ არის. წესის თანახმად, თუ კლუბი სეზონის განმავლობაში ორ გოლკიპერს კარგავს, მას შეუძლია ახალი იქირაოს. ზემოთ ვახსენეთ, რომ გივენი დაშავდა, ტეილორმა კი მხოლოდ და მხოლოდ გუშინ დაიწყო ვარჯიში მუხლის ოპერაციის შემდეგ, მაგრამ დახეთ ოინს: დაიწყო! ანუ ტეილორი გამოჯანმრთელდა. და კიდევ, ხომ არსებობს ფარერის კუნძულების ნაკრების გოლკიპერი **გუნარ ნილსენიც?** ისიც ხომ ისტლენდელთა ოფიციალურ განაცხადშია? განა სწორედ მან არ შეცვალა გივენი, როდესაც ირლანდიელი დაშავდა?

მაგრამ, როგორც ჩანს, **რობერტო მანჩინი** ნილსენს ვერ ენდობა და თუ ჰარტის დაბრუნების საქმე არ გამოუვიდა, „სანდერლენდისთვის" უნგრელი **მარტონ ფულოპის** გამორთმევას შეეცდება. კიდევ, არის გლაზგოს „სელტიკისგან" **არტურ ბორუცის** წამოყვანის ვარიანტიც.

ილია **ბაბუნაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

ევროპის ჩემპიონატის შემდეგ

# გახსოვდეთ: ფინალი სულ სხვაა!

გუშინ, დილით თბილისის აეროპორტში ბლომად ხალხი შეიკრიბა ქართველი ძიუდოისტების დასახვედრად, რომლებიც ვენიდან ევროპის გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებულის ტიტულით ბრუნდებოდნენ. ნათესავების, ძიუდოისტების, ფედერაციის, სპორტის დეპარტამენტისა და ოლიმპიური კომიტეტის ხელმძღვანელთა გარდა, იქ რიგითი ქომაგებიც იყვნენ. აეროპორტში ნაკრების ყოფილი თავკაცი **შოთა ხაბარელი** და იმდროინდელი გუნდის სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელი **გურამ რატიშვილიც** მივიდნენ.

გუშინვე თბილისში ჩეხური ტეპლიცედან მომავალი ჭაბუკთა ნაკრებიც დაბრუნდა, რომელმაც იქ ევროპის თასზე წარმატებით იჭიდავა. ორივე რეისი დაახლოებით ერთად შესრულდა და გარკვეული სიმბოლური დატვირთვაც შეიძინა, როცა ორივე გუნდი - დღევანდელი და მომავალი ნაკრებები ერთად გამოვიდნენ მომლოდინეებთან. ასევე სიმბოლურად მეჩვენა, რომ ჩემპიონთა თასი ერთად ეჭირათ **ლევან ნიკლაურს** (81) და **ვალერი ლიპარტელიანს** (90) - ეროვნული ნაკრების ხვალინდელ იმედებს, მომავალი თაობის იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც წარმატებით შეცვალეს წინამორბედები. ამასთან, მათ გუნდურში სამ-სამი შეხვედრა მოიგეს და ლომის წილი დაიდეს ნაკრების გამარჯვებაში. თუმცა აქ მძიმეწონოსანი **ლაშა გუჯეჯიანიც** აუცილებლად უნდა აღინიშნოს - მესამე ბრძოლაში კი დამარცხდა, მაგრამ წინა შეხვედრები მან მოგვაგებინა.



მარცხნიდან: ვალერი ლიპარტელიანი, ლევან ნიკლაური და ზაზა კედელაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

გამოსვლისთანავე ბიჭებმა ერთობლივი კომენტარები გააკეთეს. ნიკლაურმა აღნიშნა, რომ არაფერია იმაზე დიდი სიხარული, როცა შენს ქვეყანას მთელი ევროპის თვალწინ ადიდებ. ვალერი ლიპარტელიანმა წარმატება მთელ საქართველოს მიულოცა და დასძინა, გუნდმა ყველაფერი გააკეთა ამ გამარჯვების მოსაპოვებლად და ვეცდებით, მომავალში კიდევ უფრო მეტს მივაღწიოთო. **ზაზა კედელაშვილმა** დაამატა, რომ გამარჯვება არასდროს არაა იოლი, მაგრამ გუნდში ისეთი სულისკვეთება იყო, ჩემპიონები უნდა გავმხდარიყავით. ნაკრებში ერთსულოვნებაა და ეს შედეგიც ამან მოიტანაო.

ამ პირველი კომენტარების შემდეგ ნიკლაურსა და ლიპარტელიანს ცალცალკეც გავესაუბრეთ და გუნდურთან ერთად პირად პირველობაში გამოსვლის შეფასებაც ვთხოვეთ.

ნიკლაური: ფრანგ ჟანინთან აქამდე არ მეჭიდავა, პირველად შევხვდი პირად პირველობაში. მანამდე ორი შეხვედრა იოლად მოვიგე და ამიტომაც ფრანგი სათანადოდ არ შევაფასე, რისთვისაც დავისაჯე. გუნდურში უკვე ბოლომდე განვეწყვე საბრძოლველად და კიდეც დავამარცხე. პირადშიც რომ ასე მეჭიდავა, იქაც მოვუგებდი.

ჩემს გამოსვლას მთლიანობაში თუ შევაფასებ, ძალიან დამწყდა გული, რომ მედლის ასპროცენტიანი შანსი გავუშვი ხელიდან - შეხვედრის დამთავრებამდე 40 წამით ადრე დასანანი ქულა დავკარგე, ასეთი გდება ძალზე იშვიათად კეთდება. მომზადებული კარგად ვიყავი. შეიძლება ითქვას - მაქსიმალურად. გუნდურშიც სამივე შეხვედრაში მოსაგებად ვიყავი განწყობილი და ვერ ვიტყვი, რომ ის სამი გამარჯვება მოულოდნელია. ძალიან კი მწყდება გული, უმედლოდ რომ დავრჩი, მაგრამ ამ ჩემპიონატმა საკუთარი ძალების რწმენაც შემმატა და გპირდებით, მსოფლიოს პირველობიდან მედლით დავბრუნდები.

რაც შეეხება იმ ჟესტს, გუნდურში ჟანინთან გამარჯვების შემდეგ ვიპლოჟისკენ მიბრუნებულმა რომ ვაჩვენე, ეს არ იყო პუტინისადმი მიმართული. უბრალოდ, ის შეხვედრა ქართული ილეთით მოვიგე და ამას გავუსვი ხაზი, მაგრამ, ეტყობა, მსაჯმაც პროვოკაციად მიიჩნია და დაწყნარდიო, მითხრა.

ლიპარტელიანი: ჩემს გამოსვლას დადებითად ნამდვილად ვერ შევაფასებ. ალბათ, ჩემგან ყველა ოქროს მედალს ელოდება და მეც ამისთვის ვიყავი წასული. სამწუხაროდ, მაქვს მცირე ხარვეზები, რამაც ხელი შემიშალა გამარჯვებაში. უპირველესად, კიდევ მეტი შრომაა საჭირო, მეტი მობილიზება ფინალისთვის. უკვე მეორე ფინალი წავაგე და მეორედ ვმალავ ამ ვერცხლის მედალს, მაგრამ შევეცდები, მომავალში აუცილებლად მოვიპოვო ოქრო. გუნდურის მოგებით არავინ ვკმაყოფილდებით და მსოფლიოს ჩემპიონატის, ოლიმპიადისთვის ყველანი მოვუმატებთ.

ფინალში ცოტა ზედმეტად თავდაჯერებული გავედი შვედ მარკუს ნიმანთან. სამწუხაროდ, ასეთი შეცდომა მეორედ დავუშვი. ალბათ, მეტოქე უფრო მეტად უნდა შევაფასო. მასთან ადრე მომიგია, ბელარუსი ანდრეი კაზუსიონაკიც, ვისთანაც შარშანდელი ფინალი წავაგე, ასევე დამარცხებული მყავდა. ვფიქრობ, მოტივაციასა და განწყობასთან ერთად არანაკლებ მნიშვნელოვანია მოწინააღმდეგის სათანადოდ შეფასება.

გუნდურმა პირველობამ განწყობა არა მარტო მე, არამედ ყველას გამოგვიკეთა. ახლა მსოფლიოს პირველობები გველოდება - სექტემბერში — პირადი, ოქტომბერში - გუნდური და ვეცდებით, იქ კიდევ უფრო უკეთესად გამოვიდეთ. პუტინის ფაქტორი მხოლოდ იმ გავლენას ახდენდა, რომ ჩვენ ოქროს მედლების მოპოვებას გვავალებდა. სამწუხაროდ, ეს პირადში ვერ შევძელი, როცა პუტინი დარბაზში ზედ ჩემი ფინალური ორთაბრძოლისას შემოვიდა. ვერ ვიტყვი, რომ ეს სპეციალურად გააკეთა, მე უფრო დამთხვევა მგონია. თუმცა მთავარი მაინც ისაა, რომ ვერ განვეწყვე სათანადოდ და მეტოქე ვერ შევაფასე. ამ ნაგებას მხოლოდ საკუთარ თავს ვაბრალებ.

სპორტსმენების შემდეგ ნაკრების თავკაც **ამირან ტოტიკაშვილს** გავესაუბრეთ, რომელმაც ვენაში დანახულ ხარვეზებზე შესაშური გულახდილობით ილაპარაკა, რასაც მივესალმებით - პრობლემებზე ღიად ლაპარაკი მომავალ წარმატებათა საწინდარია.

**- ჯერ გუნდურ პირველობაზე ვთქვათ. როგორ შეაფასებთ ჩვენი გუნდის გამარჯვებას?**

- ძალიან ძლიერი ტურნირი იყო, რადგან პირადი და გუნდური ერთად ტარდებოდა. იყვნენ ნაკრებები, რომლებმაც ლიდერები პირადში დაასვენეს და გუნდურში გამოიყვანეს.

გუნდურში სულ 13 ნაკრები გამოდიოდა, ტურნირი კი მძიმე ბრძოლებით დავიწყეთ - მოლდოვასთანაც და პოლონეთთანაც თავიდან 0:2-ს ვაგებდით, მაგრამ 3:2 მოვიგეთ. ფინალში საფრანგეთის ნაკრებიც ასეთივე ანგარიშით დავამარცხეთ. მათ ძლიერი გუნდი ჰყავთ და ასეთ ტურნირებში მონაწილეობის დიდი გამოცდილებაც აქვთ. ვერ აღვწერ ბიჭების შემართებას, განწყობას, მოტივაციას ფინალის წინ. მათ ყველაფერი გააკეთეს მოსაგებად, ისეთ განწყობაზე იყვნენ, ნებისმიერს დაამარცხებდნენ. ერთსულოვნებას მართლაც ბევრის გაკეთება შეუძლია და მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო გუნდს ამისთვის. გამოვარჩევ ლევან ნიკლაურს, რომელმაც კრიტიკულ სიტუაციებში მართლაც დიდი სტიმული მისცა ბიჭებს.

**- ასეთ კრიტიკულ სიტუაციაში ორჯერ აღმოჩნდით - მოლდოვასთან და პოლონეთთან. რის ხარჯზე შეძლო გუნდმა მობილიზება?**

- ძალიან ძნელია, როცა თავიდანვე აგებ, მაგრამ სამაგალითო შემართებით და ერთსულოვნებით ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს მოსაგებად.

**- პირადი პირველობის შედეგით კმაყოფილი ხართ?**

- კმაყოფილი არ ვარ და ნამდვილად არ მინდა, ამ გამარჯვებით პირადში ნაჩვენები არასახარბიელო შედეგი გადავფაროთ. თუმცა, რომ არა მსაჯთა არაკეთილსინდისიერი საქციელი, კედელაშვილიც გავიდოდა ფინალში, ხოლო ლომერ ჟორჟოლიანი მთლად იქამდე თუ ვერ მივიდოდა, ბრინჯაოს მაინც მოიპოვებდა. ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ გუნდში მთავარი პრობლემა კვლავაც სუნთქვა და ფიზიკური მომზადებაა, თუმცა ამ მხრივ ცოტა პროგრესი შეინიშნებოდა. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად არც ისე დიდი დრო გვქონდა - ორი შეკრებით ამას ვერ მოაგვარებ. ასევე სამუშაოა ტექნიკაზეც - როცა წონაში ლიდერობასა და გამარჯვებაზე გაქვს პრეტენზია, ტექნიკური არსენალიც სათანადო დონეზე უნდა გქონდეს.

**- ჩვენს გუნდს ფიზმომზადების პრობლემა მუდამ ჰქონდა, მაგრამ ამაზე უკეთეს შედეგს აღწევდნენ. ანუ, გამოსწორება და დახვეწა სხვა კომპონენტებსაც სჭირდება...**

- ფიზიკურ და ტექნიკურ პრობლემებთან ერთად ფსიქოლოგიური მომზადებაც აუცილებლად გასაუმჯობესებელია. როცა პირადში მეტოქესთან ვაზარით და იპონით აგებ, მერე კი მას გუნდურში წმინდად უგებ, აქ უკვე ფსიქოლოგიური ფაქტორია, რაზეც აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ.

**- გუნდურში რა მოხდა ასეთი, ალმავლობით რომ იჭიდავეს - რა შეიცვალა მათში პირადიდან გუნდურამდე?**

- ალბათ, იმანაც იმუშავა, რომ იქ ერთმანეთზეც იყვნენ დამოკიდებულები, მხოლოდ საკუთარ თავზე არ ფიქრობდნენ და ერთმანეთის მხარში დგომა სჭირდებოდათ. მაგალითად, ასუმბანმა პირველი შეხვედრა რომ წააგო, გამოვიდა და ბიჭებს მოუბოდიშა, ვერ დაგეხმარეთო. ასე მგონია, ბიჭებმა მერე უფრო იმიტომ მოინდომეს, რომ ეს მარცხი გადაეფარათ და მისი მდგომარეობაც შეემსუბუქებინათ.

**- დებიუტანტებმა - ასუმბანმა და ქარდავამ გაჩვენეს ის დონე, რასაც მათგან ელოდით?**

- ასუმბანი იმ დონეს ვერც მაჩვენებდა და არც ველოდებოდი, რადგან ბოლო შეკრებაზე ერთი კვირა სიცხე ჰქონდა და ფიზიკურად დასუსტებული იყო. ძალიან გულდასაწყვეტი ფაქტია, მაგრამ თვითონაც ფრთხილად უნდა იყოს - ასეთ მნიშვნელოვან ტურნირზე წასვლის წინ თავსაც უფრო მეტად უნდა გაუფრთხილდეს.

რაც შეეხება ქარდავას, ცხადია, მას ჯერ კიდევ ბევრი მუშაობა სჭირდება, მაგრამ ვენაში მაინც გამაოცა, ასეთი დონის გამოსვლას არ ველოდი. ის სომეხ ევროპის ჩემპიონ არმენ ნაზარიანთან დამარცხდა, მაგრამ, ფაქტობრივად, აჩუქა მოგება.

**- სხვების გამოსვლაზე რას იტყვით?**

- კედელაშვილმა დაამტკიცა, რომ მებრძოლი სპორტსმენია. უბრალოდ, ძნელია, როცა მეტოქის მაგივრად შენ გაფრთხილებენ. მოწინააღმდეგის გარდა, მას მსაჯებთანაც მოუწია ჭიდაობამ, ეს კი ვერ შეძლო.

ნიკლაურმა მართლაც კარგად იჭიდავა, თუმცა ფრანგთან ვერ ვიცანი. მერე შეძლო მობილიზება და ბრინჯაოსთვის ჰოლანდიელ მსოფლიოს ჩემპიონ ხიიომ ელმონტს მთელი შეხვედრა უგებდა, მაგრამ დამთავრებამდე 40 წამით ადრე ჩოქელა კისრულზე შევიდა, თუმცა ფეხი დაუცდა და მაშინ დაკარგა ქულა. ადრე ასეთ გდებაზე ქულას არც აძლევდნენ.

ლიპარტელიანის გამოსვლა ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს - ფინალამდე და ფინალში. ფინალამდე კარგად იჭიდავა, რასაც გადამწყვეტ შეხვედრაზე ვერ ვიტყვი. ფინალამდე მითხრა, მაგ შვედს ორი წლის წინ იოლად მოვუგეო. მე ვარიგებდი და ვეუბნებოდი, ის შეხვედრა დაივიწყე, რადგან ეგ ახლა არაფერს ნიშნავს. ვეუბნებოდი იმასაც, რომ ფინალში ჭიდაობას სულ სხვანაირი განწყობა სჭირდება, რადგან ის პრინციპულად განსხვავდება წინასწარი შეხვედრებისგან. ის ისე იყო განწყობილი, რომ შესვლისთანავე იოლად მოიგებდა, მაგრამ როცა სულ სხვანაირი მეტოქე დახვდა, ვიდრე ელოდა, აირია და შედეგიც სამწუხარო მივიღეთ. გუნდურში კი გამოასწორა ვითარება, მაგრამ პირადშიც შეეძლო მოგება. დარწმუნებული ვარ, მომავალში მას აუცილებლად დაამარცხებს.

ჟორჟოლიანმა ურიგოდ არ იჭიდავა, მაგრამ რატომღაც ებრაელ არიელ ზეევთან იმის ნაცვლად ამას აფრთხილებდნენ. ზეევი ისედაც არ არის ხელწამოსაკრავი მეტოქე, ასაკის მიუხედავად, ევროპაში კვლავაც ერთ-ერთი უძლიერესია. ეს რომ არა, ამ წონაშიც მედლისთვის უნდა გვეჭიდავა.

ვფიქრობ, ხანჯალიაშვილს ფსიქოლოგიური პრობლემები აწუხებს. ამიტომ აქ გუნდურში გუჯეჯიანი დავაყენეთ, მაგრამ მსოფლიოს პირველობამდე ამ წონაში სხვების გამოცდასაც ვფიქრობთ.

**ირაკლი თავაძე**

ჩოგბურთი

## მაკამ პორშე დაასრულა

**მაკა ჩახნაშვილი** (207) გერმანიის ქალაქ შტუტგარტში პრემიერ კატეგორიის WTA-ს ტურნირ „პორშე ტენის გრან პრიზე“ ასპარეზობდა, რომლის საპრიზო ფონდი 700 ათასი დოლარია. მართალია, მაკამ საკვალიფიკაციო ბადის ფინალურ ეტაპზე წააგო, მაგრამ ძირითად ბადეში მაინც გავიდა „იღბლიანი დამარცხებულის“ სტატუსით - **მარტინესს** მარცხენა მუხლის ტრავმის გამო თამაშზე უარის თქმამ მოუწია, მის ნაცვლად ბადეში მაკა ჩასვეს. თითქოს კენჭისყრამაც გაუმართლა ჩვენებურს, მეტოქედ საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული ბულგარელი **ცვეტანა პირონკოვა** (99) შეხვდა, მაგრამ 27 წლის ჩვენებური ორ სეტში დამარცხდა 22 წლის მეტოქესთან - 3:6, 4:6.

ჩვენებური „პორშე ტენის გრან-პრის“ წყვილთა ბადეშიც გამოვიდა გერმანელ **იულია შრუფთან** დუეტში. მათ რუმინელ **ალექსანდრა დულგერუსთან** და უნგრელ **აგნეშ სავაისთან** წააგეს - 4:6, 3:6. მართალია, მაკას 20 სარეიტინგო ქულაზე მეტი არ დაერიცხა, მაგრამ მან გვარიანად შეივსო ჯიბე - 4 580 დოლარით.

## საქართველო ფინეთით იწყებს

დღეიდან ერევანი „ფედერაციის თასის“ ევრო-აფრიკული II ზონის ტურნირს მასპინძლობს, რომელშიც **ლალი ზერეკიძის** კაპიტნობით საქართველოს ნაკრები მონაწილეობს. გუშინ გაიმართა წილისყრა, რომელმაც ჩვენები B ჯგუფში მოახვედრა მასპინძელებთან, ფინელებთან და ნორვეგიელებთან ერთად. პირველ ტურში ჩვენი ქალები ფინელებს დაუპირისპირდებიან, ხოლო სომხები - ნორვეგიელებს. მეორე ტურში ქართველები სომხებს ეთამაშებიან, მესამეში - ნორვეგიელებს. შეგახსენებთ, რომ პირველი ამოცანა ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავებაა, შემდეგ პლეი ოფში ევრო-აფრიკული I ზონის ორი საგზური გათამაშდება - ჯგუფებში პირველ ადგილებზე გასულები მეორეადგილოსნებს შეხვდებიან.

შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები თითქმის უძლიერესი შემადგენლობით ასპარეზობს (გვაკლია მხოლოდ **მაკა ჩახნაშვილი**): **ანა ტატიშვილი** (155), **ოქსანა კალაშნიკოვა** (161), **სოფიო შაფათავა** (337) და **მანანა შაფაქიძე** (418). ფინეთის ნაკრების შემადგენლობა ასეთია: **ემა ლაინე** (427), **პია სუომალაინენი** (534), **ჰეინი სალონენი** და **საანა საარტეინენი**. ფინელებს გუნდში ორი ურეიტინგო ჩოგბურთელი ჰყავთ. ცხადია, საქართველო ფავორიტია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

კრივი

## სეხნიაშვილი უკვე მერვედფინალშია

ბაქოში მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი გრძელდება, სადაც შვიდი ქართველიდან ბრძოლას ოთხი შემორჩა. „ლელოს“ მკითხველმა უკვე იცის, რომ პირველი ეტაპი დაძლია 69 კილოგრამ წონით კატეგორიაში მოასპარეზე **ნიკოლოზ სეხნიაშვილმა**, ხოლო **ალეკო ჭადაშვილი** (57 კგ) ჩემპიონატს უკვე გამოეთიშა.

გუშინ დამარცხდნენ **ლევან კაჟაშვილი** (60 კგ) და **ზაზა სტურკი** (81 კგ). პირველმა ხორვატ **იოსიპ გრბავაცთან** დაძაბულ ბრძოლაში 6:7 წააგო, მეორეს კი თურქმა **ბურაქ აქსინმა** ნოკაუტით სძლია.

რაც შეეხება სასიამოვნო ამბებს: მეთექვსმეტედფინალში გავიდა 51 კილოგრამში მოასპარეზე **ავთანდილ ჭუბაბრია**, რომელმაც იაპონელი **სადაიორი აოკი** დამაჯერებლად, 10:5 დაამარცხა. მისი შემდეგი მეტოქე თურქმენი **ზარიპ ჯუმაევი** იქნება. 64 კილოგრამში კი **ზურაბ მექერიშვილმა** ირლანდიელი **კირონ ფორდი** დაამარცხა. ბრძოლა 3:3 დასრულდა, მაგრამ რაკი ბოლო რაუნდი ქართველმა მოიგო, შემდეგ სტადიაზეც იგი გავიდა. მეთექვსმეტედფინალში მექერიშვილი შოტლანდიელ **ჰიუ გრეის** დაუპირისპირდება.

მერვედფინალშია ნიკოლოზ სეხნიაშვილი (69 კგ), რომელმაც ლატვიელი **ნიკიტა ვერსოკისი** 7:0 გაანადგურა. შეგახსენებთ, მანამდე მან ინდოელ **კიშონ ტაპას** 5:2 მოუგო. მერვედფინალში სეხნიაშვილი გერმანელ **დენის რადოვანს** შეებრძოლება.

მსოფლიოს ჩემპიონატში დღეს ჩაერთვება **გიორგი გოგატიშვილი** (48 კგ), რომელიც მეთექვსმეტედფინალში ჩრდილოკორეელ **სონ კვანგ სონგს** შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# თსუ სსაუ-ზე უკეთესია



| 27 აპრილი. თბილისი | |
|---|---|
| სპორტის სასახლე | |
| აგრარული-თსუ | 67:82 |

18:25, 11:23, 19:15, 19:19

აგრარული: გულისაბედაშვილი (24 წთ, 3ქ, 3პ), ნივნივაძე (30 წთ, 13ქ, 5პ), მარხვაშვილი (37 წთ, 17ქ), დიდია (16 წთ, 6ქ, 5ფ), მათიაშვილი (21 წთ, 12ქ, 7მ, 3ჩ), ჩაჩიბაია (19 წთ, 4ქ, 5მ), ნინიაშვილი (22 წთ, 6ქ, 5მ), გ. ბარბაქაძე (11 წთ, 2ქ)

თსუ: გაფრინდაშვილი (38 წთ, 7ქ, 9პ, 7მ), ფანჩულიძე (16წთ, 13ქ, 4პ), ხეცურიანი (33 წთ, 12ქ), კეიდია (23 წთ, 7ქ, 5მ), დ. ბარბაქაძე (35 წთ, 18ქ, 7მ, 4პ, 4ჩ), მინაშვილი (20 წთ, 17ქ), კოხრეიძე (19 წთ, 2ქ, 9მ), ლოსაბერიძე (11 წთ, 6ქ, 6მ), ხიზანიშვილი (2 წთ), კუჭავა (2 წთ)

მსაჯები: მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი, ზ. მაჩალაძე; კომისარი: რ. ხომერიკი

**სერიას იგებს თსუ - 2:0**

რეგულარულ ჩემპიონატში თსუ-სა და „აგრარულის" პაექრობაში ფრე დაფიქსირდა - 1:1. სატურნირო ცხრილში მეორე ადგილი სსაუ-მ დაიკავა, თუმცა ნახევარფინალებმა დაგვანახვა, რომ სადღეისოდ თსუ აგრარებზე უკეთესია - **ნუგზარ ჭეიშვილის** შეგირდებმა სსაუ-ს მეორე მატჩიც მოუგეს და 2:0 დაწინაურდნენ. სერია სამ მოგებამდეა და ამ გუნდების მესამე შეხვედრა 29 აპრილს გაიმართება.

როგორც ვივარაუდეთ, პირველი მატჩის შემდეგ აგრარული უნივერსიტეტის ქომაგთა რაოდენობა გასამმაგდა. თუ პირველ შემთხვევაში გულშემატკივართა დუელი თსუ-ს ფანებმა მოიგეს, გუშინ „აგრარულს" უფრო მეტი ქომაგი ჰყავდა... თუმცა, სსაუ-ს ვერც გულშემატკივრებმა უშველეს. **მიხეილ კობეშავიძის** შეგირდებმა იცოდნენ, რომ მეორე მატჩში მოგება ბევრს ნიშნავდა, ხოლო ნაგების შემთხვევაში თსუ 2:0 დაწინაურდებოდა და აგრარებს ფინალში გასასვლელად ზედიზედ სამი მატჩის მოგება დასჭირდებოდათ. შეიძლება ამ ფაქტორმა ახალგაზრდა სსაუ-ელების ფსიქოლოგიაზე უარყოფითად იმოქმედა. მათ პირველ ტაიმში ჩვეული თამაში ვერ იპოვეს, მეტიც, იმის ნაცვლად, რომ საკუთარი პლუსების წყალობით მეტოქისთვის თავისი ნება ეკარნახათ, თავად მოექცნენ თსუ-ელთა მარწუხებში. ეს სტატისტიკამაც დაადასტურა: საწყის 20 წუთში „აგრარებს" 2 ორქულიანი (12-დან) ჰქონდათ ჩაგდებული, თსუ-ელებს 20 ორიანის (30-დან) რეალიზება მოესწროთ.

სსაუ-თსუ-ს პირველი მატჩის მიმოხილვისას საქართველოს ნაკრების შვედეთთან მატჩი გავიხსენეთ. აგრარების მიერ პირველ ტაიმში ჩაგდებულმა ორმა ორქულიანმა საქართველოს ეროვნული ნაკრების ავსტრიაში (2006 წელს)

სუპერლიგა. ნახევარფინალი

ჩატარებული პირველი ნახევარი მოგვაგონა: **გორდონ ჰერბერტის** გუნდის ანგარიშზე პირველ ტაიმში მაშინაც 2 ჩაგდებული ორქულიანი იყო. ავსტრიაში მეორე ტაიმში თამაში საკუთარ თავზე **ზაზა ფაჩულიამ** აიღო და ქართველებმა 68:63 იმარჯვეს.

აგრარულის რიგებშიც ორი კარგი მეფარეა, **რევაზ ათანელიშვილი** და **რიჩარდ მათიაშვილი**, მაგრამ გუშინ სსაუ-ელები სამქულიანებს უფრო ხშირად ისროდნენ, ვიდრე ორიანებს. იმასაც გეტყვით, რომ თსუ-მ საბოლოოდ მოხსნებში 41:34 იმარჯვა. ეს არა მხოლოდ მეფარეების, არამედ მთლიანად გუნდის დამსახურებაა. როგორც ზემოთ ვთქვით, გუნდები მატჩს ფსიქოლოგიური თვალსაზრისით სხვადასხვა მდგომარეობაში შეხვდნენ. ამ მხრივ თსუ-ს სერიოზული უპირატესობა აღმოაჩნდა (ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა ტრიბუნებიდან). თსუ-ს საბრძოლო განწყობაზე ერთი ფაქტიც მეტყველებს: შეხვედრაში ყველაზე მეტი ბურთი ტანდაბალმა გამთამაშებელმა **შალვა კოხრეიძემ** მოხსნა - 9.

არაფერი გვითქვამს მატჩის ქრონოლოგიაზე. რადგან შეხვედრა ტელევიზიით არ გადაუციათ (არა გვგონია, გუშინ, 14 საათზე სადმე ამაზე საინტერესო სანახაობა ყოფილიყო გასაშუქებელი), ორიოდე სიტყვით მატჩის მსვლელობაზე შევჩერდეთ.

პირველივე მეოთხედში თსუ 20:9 დაწინაურდა. მეორე პერიოდში კი ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა ისეთი გაქცევა მოაწყვეს, რომლის შემდეგ სხვაობამ 24 ქულას უწია. თსუ-ს 15:0 სპურტი **მიხეილ ფანჩულიძის** ორი ზუსტი ორქულიანით დაგვირგვინდა - 44:20. მალე მიშამ კოჭი ამოიტრიალა და თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო, თუმცა თსუ-ელებმა მის გარეშეც მოახერხეს მიღწეული უპირატესობის შენარჩუნება.

ბოლოს გამარჯვებულთა თავკაც ნუგზარ ჭეიშვილს მოვუსმინოთ:

- თუნდაც 20-ქულიანი სხვაობით გამარჯვება არ ნიშნავს, რომ მატჩს დაძაბულობა აკლდა. ნახევარფინალები ყოველთვის დაძაბულია და უბრძოლველად არავინ არაფერს თმობს. მოხარული ვარ, რომ ჩემმა გუნდმა პირველი, შეხვედრის მსგავსად, დაცვაში ბრწყინვალედ ითამაშა და მეორედაც მოიგო. ახლა მესამე ორთაბრძოლისთვის მოვემზადებით.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# პირველა...

## ინციდენტი რუსთავში

როგორც წესი, მატჩის მიმოხილვა ოქმით იწყება. გუშინდელი ამბების თხრობას ბოლოდან ვაპირებთ და შეხვედრის ოქმიც ამიტომ მოექცა ქვემოთ.

„ენერჯი"-შსს-ს შეხვედრის დასრულებიდან 10-15 წუთის შემდეგ დარბაზიდან გამოსული გულშემატკივარი ხმამაღლა იძახდა - რუსთავი ჩემპიონია! იგი პოლიციელებმა საპატრულო მანქანაში ჩასვეს და... გუშინ, თამაშის შემდეგ კიდევ რამდენიმე ქომაგი გაუყენეს მის გზას, რამაც კალათბურთელები ძალიან შეაწუხა.

რუსთაველების დაკავების მიზეზი მატჩისას მათი მოედანზე გადასვლა იყო. თუმცა, ისიც უნდა დავძინოთ, რომ რამდენიმე მათგანი სარბიელზე მეგობრის გამოსაყვანად შევიდა.

გუშინვე შევიტყვეთ, რომ დაკავებულები გაათავისუფლეს.

■ ■ ■

მატჩის ბოლო ხუთ წუთში ორივე გუნდის კალათბურთელებს ერთი საფიქრალი ჰქონდათ - რაც შეიძლება მალე „ამოელო ხმა" საფინალო სირენას, რადგან შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. მასპინძლებმა 83:63 გაიმარჯვეს.

შეხვედრაში გადამწყვეტი აღმოჩნდა რუსთაველთა შორეული ტყორცნები. მესამე პერიოდი ახალი დაწყებული იყო, როცა **ანატოლი ბოისამ** ორი სამქულიანი ზუსტად ისროლა. მისგან ესტაფეტა ამერიკელმა ახალწვეულმა **დომონიკ ტილფორდმა** აიღო: სამქულიანებს შორის ორიანი მოაქცია და 25-ე წუთისთვის სხვაობა 15 ქულამდე გაიზარდა (52:37). ტყუპი **ბერიშვილებისა** და **ნიკოლაძის** აქტიურობის წყალობით შსს-ს ჩამორჩენა 10 ქულამდე დავიდა, თუმცა ამის შემდეგ **გიორგი პირველაშვილმა** შორეული ტყორცნებით იფეთქა - 62:41...

სხვათა შორის, ტილფორდთან ერთად პირველაშვილი მატჩის გმირადაც შეიძლება ვაღიაროთ. პირველ პერიოდში შსს 22:10 რომ დაწინაურდა, მწვრთნელმა **მიხეილ ბერუაშვილმა** მოედანზე გიორგი პირველაშვილი შეიყვანა. მანაც იმედი არ გაუცრუა და ზუსტი თამაშით ანგარიშში სხვაობის შემცირება განაპირობა.

ვიდრე ოქმს შემოგთავაზებდეთ, გეტყვით, რომ სერიაში „ენერჯი" დაწინაურდა - 2:0. მომდევნო დაპირისპირება 29 აპრილს თბილისის სპორტის სასახლეშია.

| 27 აპრილი. რუსთავი | |
|---|---|
| ქიმიკოსების დარბაზი | |
| ენერჯი-შსს | 83:63 |

17:24, 19:7, 29:15, 18:17

ენერჯი: ჩიტაშვილი (8 წთ), ტულუში (29 წთ, 10ქ, 3პ), ბოისა (24 წთ, 8ქ, 5მ), ბაბიაშვილი (15 წთ, 9ქ, 5მ), ტუჯანი (30 წთ, 10ქ, 4ჩ), ტილფორდი (28 წთ, 17ქ, 3პ), ცეკვავა (13 წთ, 3ქ), დვალიშვილი (10 წთ, 7ქ), არწივიძე (8 წთ, 3ქ), ჭოჭუა (11 წთ), პირველაშვილი (20 წთ, 16ქ, 6მ), ხმელიძე (4 წთ)

შსს: ი. ბერიშვილი (30 წთ, 9ქ, 3პ) ნიკოლაძე (30 წთ, 15ქ, 5მ), ლაფანაშვილი (26 წთ, 7ქ), მარკოიშვილი (25 წთ, 8ქ, 6მ), ათუაშვილი (20 წთ, 4ქ, 6მ), დ. ბერიშვილი (26 წთ, 10ქ, 6პ), კორკოტაძე (7 წთ, 2ქ), შერმადინი (6 წთ), სუხიშვილი (15 წთ, 2ქ), მიქაბერიძე (4 წთ, 2ქ), ყველაშვილი (4 წთ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, მ. კუპატაძე, დ. ბერეკაშვილი

კომისარი: მ. რატიშვილი

**სერიას იგებს ენერჯი - 2:0**

**ვაჟა სიმონიშვილი**

ქართველი NBA-ში

# ფრე!

**ზაზა ფაჩულიამ** და „ატლანტა ჰოქსმა" მილუოკიში „ბაქსთან" მეორედ წააგეს (104:111), რის შემდეგაც სერიაში ანგარიში გათანაბრდა - 2:2. თუ პირველ მილუოკურ მატჩში „ატლანტას" გამარჯვების იმედი საწყის პერიოდში გადაეწურა, ამჯერად მეტნაკლებად თანაბარი თამაში გამოვიდა. მესამე თორმეტწუთეულის ბოლომდე მილუოკელები გაქცევას ცდილობდნენ, მაგრამ სტუმრები ორნიშნა რიცხვით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ. მეოთხე რაუნდში „ხარირმებმა" **კარლოს დელფინოს** ზუსტი თამაშის წყალობით 12-ქულიან ფორას მიაღწიეს და დიდი მცდელობის მიუხედავად, „ქორებმა" თამაშის შემოტრიალება ველარ მოახერხეს.

პირველი პერიოდის ბოლოს მეორე პერსონალური შენიშვნა მიიღო „ატლანტას" სასტარტო ცენტრმა **ელ ჰორფორდმა** და მოედანზე მის ნაცვლად ფაჩულია გამოვიდა. ისევე, როგორც სხვა ატლანტელებმა, თამაში სათანადოდ ვერც ქართველმა ააწყო. მან 5-დან მხოლოდ 1 ორქულიანი გამოიყენა და 19 წუთში 2-2 ქულა-მოხსნას დასჯერდა.

საინტერესოა, რომ ორივე გუნდში 20-ქულიან ზღვარს სამ-სამი კალათბურთელი ასცდა. სტუმართაგან: **ჯო ჯონსონი** (29), **ჯამალ კროუფორდი** (21) და **ჯოშ სმიტი** (20); მასპინძელთაგან: **კარლოს დელფინო** (22), **ჯონ სელმონსი** (22) და **ბრენდონ ჯენინგსი** (23).

- დღეს მოედანზე სხვა „ატლანტა" იყო - შეტევა დამაგვირგვინებელ ფაზამდე მიგვყავდა და ვერ ვაგდებდით, იერიში დაწყებული არ გვქონდა, რომ ბურთს ვკარგავდით, მოხსნებშიც ვერ ვიყოჩაღეთ. არ ვიცი, რა გვჭირდა. იმედი მაქვს, მდგომარეობას მეხუთე მატჩში, შინ გამოვასწორებთ, - განაცხადა „ჰოქსის" კაპიტანმა ჯო ჯონსონმა.

სერიის მეხუთე შეხვედრა 28 აპრილს „ატლანტას" „ფილიპს არენაზე" გაიმართება, მეექვსე კი, 30-ში მილუოკიში. შეხსენება არ დაგჭირდებათ, რომ სერია ოთხ მოგებამდეა.

| მილუოკი-ატლანტა | 111:104 |
|---|---|
| ზაზა ფაჩულია: 19 წუთი, 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 დაფარება, 4 ფოლი, 1 შეცდომა | |
| **I პერიოდი** | |
| 02:28 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 09:37 | ფოლი: 1 |
| 09:24 | ორქულიანი: 2ქ (29:30) |
| 08:34 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:18 | შეცდომა: 1 |
| 06:24 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 06:23 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 06:23 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:26 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 01:54 | დაფარება: 1 (ჯენინგსს დაუფარა) |
| **III პერიოდი** | |
| 02:21 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 00:36 | ფოლი: 2 |
| 00:09 | ორქულიანი: არაზუსტი |
| **IV პერიოდი** | |
| 10:04 | ფოლი: 3 |
| 09:55 | ფოლი: 4 |
| 09:55 | ზაზა სმიტმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

ავტოსპორტი



# რეკორდით...

ახალი რეკორდით აღინიშნა რუსთავში, ეროვნულ ავტოდრომზე პროფესიონალთა შორის მიმდინარე წლის სარბოლო სეზონის II ეტაპი წრიულ რბოლაში. საკვალიფიკაციო გარბენისას საუკეთესო შედეგი აჩვენა ვეტერანმა მრბოლმა **ზურაბ ბეჟაშვილმა**, რომელმაც **მევლუდ მელაძის** სარეკორდო მიღწევა გააუმჯობესა.

I ეტაპისგან განსხვავებით, ამჯერად რბოლები (GT კლასი) უხიფათო გამოდგა. ყველაზე დაძაბული ბრძოლა მევლუდ მელაძესა და **არჩილ ბიძინაშვილს** შორის გაიმართა. მევლუდი მეორე გარბენში პირველი კი მიიჭრა ფინიშთან, მაგრამ ბიძინაშვილს საკვალიფიკაციოში მასზე უკეთესი დრო ჰქონდა და გამარჯვებულის ბედიც ამან გადაწყვიტა. ბეჟაშვილი კი მესამე ადგილს დასჯერდა.

მონოკლასში რამდენიმე მრბოლს მანქანა დაუზიანდა, რამაც მოსალოდნელ შედეგებში გარკვეული კორექტივები შეიტანა

**GT კლასი**

1. არჩილ ბიძინაშვილი
2. მევლუდ მელაძე
3. ზურაბ ბეჟაშვილი

**მონო კლასი**

1. ლევან კვინიკაძე
2. დავით ჩხიკვიშვილი
3. ლაშა ნადირაშვილი

ჭადრაკი

# ეფექტური პარტია სასურველი ფინალით

ნალჩიკში მოჭადრაკე ქალთა ფიდეს გრან-პრის გათამაშების სტარტზე, როგორც გაცნობეთ, ქართველმა დიდოსტატმა **ნანა ძაგნიძემ** ყატარელ **ჟუ ჩენთან** ნახევარი ქულა დათმო, გუშინ კი რუს **ბაირა კოვანოვას** დაუპირისპირდა. ჩრდილოელი მეზობელი (2385) რეიტინგითაც ჩამორჩება ჩვენებურს (2479) და თამაშის კლასითაც. ეს მათმა ორთაბრძოლამაც დაადასტურა: ძაგნიძემ დებიუტიდანვე ხელთ იგდო ინიციატივა და შავების მეფის დაშამათებამდე ხელიდან არ გაუშვია უპირატესობა.

ბ. კოვანოვა



ნ. ძაგნიძე

| | | | |
|---|---|---|---|
| 23. მe4 | ეxe4 | 24. ლxe4 | ეc4 |
| 25. ლe3 | ლg4 | 26. კh6 | ეc2+ |
| 27. მd2 | ლc8 | 28. ეe1 | ლf5+ |
| 29. მფg1 | ეc8 | 30. ლe8+ | |

*და შავები დანებდნენ, რადგან ერთი სვლის შემდეგ შამათია:*

30. ... ეxe8 31. ეxe8

გუშინდელი დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: ჟუ ჩენი (ყატარი)-**ლილით მკრტიჩიანი** (სომხეთი) 1:0, **ჟაო სიუ** (ჩინეთი)-**ტატიანა კოსინცევა** (რუსეთი) 0,5:0,5, **ჰოუ იფანი** (ჩინეთი)-**პია კრამლინგი** (შვედეთი) 0,5:0,5, **ბაქჰუიანგ მონგოლთუული** (მონგოლეთი)-**ჰამფი კონერუ** (ინდოეთი) 1:0, **ელინა დანიელიანი** (სომხეთი)-**ბეთულ ილდიზი** (თურქეთი) 0,5:0,5.

II ტურის შეხვედრებიდან, შესაძლოა, სენსაციურად ჩაითვალოს მონგონთუულის გამარჯვება, რადგან კონერუ მსოფლიოს ქალთა რეიტინგში მეორეა და 194 პუნქტით უსწრებს მეტოქეს.

დღეისთვის 1,5-1,5 ქულით ძაგნიძე, ილდიზი, კოსინცევა და ჟუ ჩენი დაწინაურდნენ. კოვანოვას, კონერუს, კრამლინგსა და მონგონთუულს თითო ქულა, ხოლო მკრტიჩიანს, ჰოუ იფანს, ჟაო სიუსა და დანიელიანს ნახევარ-ნახევარი ქულა აქვთ.

III ტურში ითამაშებენ: კოვანოვა-ჟუ ჩენი, კონერუ-ძაგნიძე, ილდიზი-მონგონთუული, კოსინცევა-დანიელიანი, კრამლინგი-ჟაო სიუ, მკრტიჩიანი-ჰოუ იფანი.

**ვაჟა დანელია**

# მედლები და საგზურები გაინაწილეს

9 შესაძლებლიდან 8 ქულა — ასეთია 10-წლიანთა საქართველოს პირველობის გამარჯვებულთა მონაგარი. თუმცა გოგონებში მეორადგილოსანმაც ამდენივე მოაგროვა, მაგრამ უარესი კოეფიციენტით ჩამორჩა კონკურენტს. ბოლო ტურის წინ 7-7 ქულით **ნინო ჯალალონია** და **ნატა ჯიბუტი** მეწინავეობდნენ. გუშინ ორივემ მიაღწია წარმატებას: ნინომ **თამარ ფარჩუკიძე** დაამარცხა, ნატამ კი **სალომე სანიკიძეს** აჯობა. ოქროს მედალი ჯიბუტს ხვდა, ვერცხლისა — ჯალალონიას. 7,5-7,5 ქულით მესამე-მეოთხე ადგილები, შესაბამისად, **ელა სვანიძემ** და **ლილე ქორიძემ** გაიყვეს, რომლებმაც **ელენე კოსტავას** და **გვანცა მარგველაშვილს** მოუგეს.

ვაჟებში 7,5 ქულით ერთპიროვნულად **ირაკლი ახვლედიანი** ლიდერობდა. ბოლო ტურში იგი უახლოეს მეტოქეს **გიორგი ბოტკოველს** დაუზავდა და სხვებისთვის მიუწვდომელი გახდა.

მეწინავეთა დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: **ომარ ზარგინავა-გურამ ჭელიძე** 0:1, **ლუკა ობოლაძე-ცოტნე მამულაიშვილი** 1:0, **დავით ლობჟანიძე-ნიკოლოზ პეტრიაშვილი** 0:1, **თამაზ კიკნაველიძე-ბექა თათულაშვილი** 1:0.

9 ტურის შემდეგ 7,5-7,5 ქულას მოუყარეს თავი ბოტკოველმა, ობოლაძემ და ჭელიძემ. კოეფიციენტით მეორე-მეოთხე ადგილები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით გაინაწილეს.

საქართველოს პირველობა შესარჩევი ტურნირიც იყო. ამდენად, ჩემპიონები — ჯიბუტი და ახვლედიანი მსოფლიოს პირველობაზე გაემგზავრებიან, ხოლო ჯალალონია და ბოტკოველი ევროპელ თანატოლებს ბათუმში დაუხვდებიან.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე 14

# სიმბოლური უხარებოდ და ახალზელანდიელთა ჰეგემონიით


ჯიმი ქოუანი

**უცნაურია,** მაგრამ ზე 14-ის გათამაშების მე-11 ტურის სიმბოლურ ნაკრებში ჩემპიონისა და ამჟამინდელი ლიდერის, პრეტორიის „ბლუ ბულზის" არც ერთი მოთამაშე არ მოხვდა. არადა, „ლურჯმა ხარებმა" აუტსაიდერი „ლაიონზი" დიდი ანგარიშით დაამარცხეს და ერთმანეთზე ლამაზი ექვსი ლელო გაუტანეს. შესაძლოა, მიზეზი სწორედ მეტოქის სისუსტეა. პრეტორიელებს „ლაიონზთან" თუ არა, აბა, ვისთან უნდა ეთამაშათ კარგად?!

ისე გამოვიდა, რომ სიმბოლური ნაკრების უკანა ხაზი მთლიანად ახალზელანდიელი მორაგბეებით დაკომპლექტდა. შერეული მხოლოდ შერკინება გამოვიდა - ორი სამხრეთაფრიკელი, სამი ახალზელანდიელი და ამდენივე ავსტრალიელი.

**15. ტიმ ნანაი-ვილიამსი (ჩიფსი):** ის ნელ-ნელა პროგრესირებს და სპეციალისტების ყურადღების არეში სულ უფრო ხშირად ხვდება. 20 წლის ტიმმა გასულ უქმეებზე დაამტკიცა, რომ უკვე სულ სხვა, მაღალი დონის მორაგბეა. მან ისეთი ფულბეკების კონკურენციას გაუძლო, როგორებიც **ქორი ჯეინი** და **პატრიკ ლემბი** არიან.

**14. ჯო როკოთოკო (ბლუზი):** მე-11 ტურში ცოტა გარემარბმა გაიბრწყინა, მაგრამ ის მაინც გამორჩეული იყო და საუკეთესოთა შორის ზედიზედ მეოთხედ მოხვდა. ჯო, როგორც სჩვევია შეტევაშიც შიშის ზარს სცემდა მეტოქეს და დაცვაშიც, მეტოქის მიერ ზურგს უკან დაკიდებულ ბურთებსაც ადგილზე ხვდებოდა.

**13. კონრად სმითი (ჰარიკეინზი):** მისი გუნდი ერთადერთია, რომელმაც სტუმრად გაიმარჯვა. კონრადი დანიდინში, „ჰაილენდერზთან" მატჩში საუკეთესო იყო და მეწყვილე შუამარბ **მაა ნონუს** 70-ე წუთზე გამარჯვების ლელო გაატანინა.

**12. მაა ნონუ (ჰარიკეინზი):** მან სმითთან ერთად მეტოქის დაცვა ააწიოკა. მაა ნონუ და სმითი თავისი აქტიურობით ბევრად უადვილებდნენ საქმეს მგეზავ **აარონ კრუდენს**. ერთი სიტყვით, „ოლ ბლექსის" შუამარბთა წყვილმა ფანტასტიკური, სეზონის საუკეთესო თამაში აჩვენა.

**11. სიტივენი სივივატუ (ჩიფსი):** აშკარად ეტყობა, რომ დაშავებული მხარი ბოლომდე არ მოუშუშებია. სიტივენი სრული გამოჯანმრთელების შემდეგ იდეალურად ითამაშებს, თუმცა არც ამჯერად ჩამორჩა ვინმეს. მან დაამტკიცა, რომ მართლაც უმაღლესი დონის მორაგბეა.

**10. აარონ კრუდენი (ჰარიკეინზი):** მას წლეულს ზე 14-ში დებიუტი აქვს. აარონი დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით მოეკიდა და, როგორც კი ბურთს დაეუფლებოდა, ხალას ტალანტს ამჟღავნებდა. კრუდენმა დანიდინელებს ერთი ლელო გაუტანა და ოთხი გარდასახვიდან სამი ზუსტად დაარტყა.

**9. ჯიმი ქოუანი (ჰაილენდერზი):** ის გულღრძო მოთამაშეა. თუმცა როცა თამაშის გადამწყვეტი მომენტი დგება, რაც ძალიან ბევრჯერ მოხდა „ჰარიკეინზთან" მატჩში, ნებისმიერი გუნდი ინატრებდა ჯიმის. მას შეიძლება ყველაფერი აპატიო, ზედმეტი აგრესიულობა, ისიც რომ მატჩის არბიტრი **ვინი მარნო** უხამსი სიტყვებით შეამკო. ჯიმის აპატიებთ, რადგან მისებრი მორაგბე იშვიათია.

**8. სტივენ სტეფანო (ჰაილენდერზი):** ის აქამდე თითქოს ჩრდილში იდგა. „ჰარიკენზთან" სტივენმა ექვსჯერ გაჭრა ხაზი და ხუთივე ლელოს გატანაში მიილო მონაწილეობა. ეს ბიჭი ამ უქმეებზე ნამდვილად საუკეთესო რვა ნომერი იყო.

**7. ლიამ მესამი (ჩიფსი):** მებრძოლი, შემართებით, ვაჟკაცურად მოთამაშე. „ჩიტაზს" ლელო გაუტანა და დანარჩენ ოთხშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო. მესამი და კომპანია დაალალატა მგეზავმა **სტივენ დონალდმა,** რომელმაც ვერც ერთი ლელო ვერ გარდასახა. მატჩი ფრედ - 25:25 დამთავრდა.

**6. მეთ ჰოჯსონი (ფორსი):** ის, ფაქტობრივად, მარტო გაუმკლავდა „კრუსეიდერზისა" და ახალი ზელანდიის ნაკრების მესამეხაზელთა ტრიოს. მეთმა, როცა „ფორსი" მხოლოდ მინიმალური სხვაობით -14:13 იგებდა, უმნიშვნელოვანესი ლელო გაიტანა, რითაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა პერთელების გამარჯვება - 24:16.

**5. ანდრეას ბეკერი (სტორმერზი):** ის ზე 14-ის წლევანდელ გათამაშებაში ყველაზე მაღალია. ბეკერმა სტუმრად „რედსს" ლელო მეორე წუთზევე გაუტანა. დერეფანშიც ბრწყინვალედ ითამაშა და რაკშიც დიდებულად იმუშავა. წარმოუდგენელია მიზეზი, რის გამოც ბეკერი წლეულს სამხრეთ აფრიკის ნაკრებში ვერ მოხვდება.

**4. ნათან შარფი (ფორსი):** ის ფანტასტიკური კაპიტანია, გუნდის ალმაფრენის წყაროა, სამაგალითო მოთამაშე და პიროვნებაა. ნათანი მუდამ იქაა სადაც ბურთია. მუდამ ცდილობს, თანაგუნდელებს მისია გაუმარტივოს. ერთი სიტყვით, ნამდვილი და თანაც ჯიუტი კაპიტანია.

**3. ვილემ ნელი (ჩიტაზი):** ის ერთ-ერთია მათ შორის, ვინც თავის საქმეს ზედმეტი ხმაურის გარეშე აკეთებს. ვილემმა უამრავი პრობლემა შეუქმნა ვიზავი **ტობი სმიტს** და ჩიტაზელთა შერკინების მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. სწორედ მისი აქტიური თამაშის წყალობით დააღწია ჰემილთონში „ჩიტაზმა" თავი მარცხს. ვილემმა მრისხანე მეტოქეს ლელოც გაუტანა.

**2. ჯეისონ რათლეჯი (ჰაილენდერზი):** მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი ფუნქცია. შერკინების პირველ ხაზს უნარიანად ხელმძღვანელობდა და რაკსა და მოლში აქტიურად ირჯებოდა. ჯეისონმა „ჰარიკენზს", რომელთანაც „ჰაილენდერზმა" ორი ქულით წააგო, პირველი ტაიმის მიწურულს ლელო გაუტანა.

**1. ბენ დეილი (რედსი):** ის ყოველთვის იქ იყო, სადაც „წითლებს" უჭირდათ. დაცვაში ბრწყინვალედ გაისარჯა და ბოლო ჟამს საგრძნობლად მოლონიერებულ სტორმერზელებს გასაქანს არ აძლევდა. საკმაოდ სასარგებლო გამოდგა ღია თამაშშიც, რითაც „რედსის" უკანახაზელებს საქმეს უადვილებდა.


მაა ნონუ

ამბები

## იჩქარეთ, ბილეთების გაყიდვა დაიწყო

**გუშინ** ოფიციალურად დაიწყო 2011 წლის მსოფლიო თასის მატჩებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვის პირველი ეტაპი. აღსანიშნავია, რომ ბილეთების შესაძენად წინასწარი რეგისტრაცია ასამდე ქვეყნის 50 ათასმა რაგბის ქომაგმა გაიარა. საინტერესოა, რომ ტრადიციული სარაგბო ქვეყნების გარდა, ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასის გათამაშებისადმი დიდი ინტერესი გამოამჟღავნეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიც არიან ბარბადოსი, ბოტსვანა, ჩინეთი, კოლუმბია, ეგვიპტე, ესტონეთი, ისლანდია, მონგოლეთი, მავრიკეთი, ნორვეგია, პუერტო-რიკო და ყატარი.

*„ასეთი დიდი ინტერესი კიდევ ერთი დასტურია იმისა, რაოდენ პოპულარული ხდება ოვალური ბურთით თამაში მთელ მსოფლიოში. ქომაგებს ოქლენდიდან ადელაიდამდე, კეიპთაუნიდან კარდიფამდე უპრობლემოდ შეეძლებათ მსოფლიო თასის ბილეთების დაჯავშნა და შეძენა. მათ უდიდესი სარაგბო სპექტაკლები და სტუმართმოყვარე ახალი ზელანდია ელით"*- თქვა IRB-ის შეფმა **ბერნარ ლაპასემ.**

ბილეთების დაჯავშნა მსოფლიო თასის ოფიციალურ ვებ-გვერდზე , ცხადია, რაგბის ქართველ ქომაგებსაც შეუძლიათ. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრები B ჯგუფში ინგლისის, არგენტინის, შოტლანდიისა და რეპეშაჟში გამარჯვებულის წინააღმდეგ ითამაშებს.

ჩვენი გუნდის მატჩებზე დასასწრები ბილეთები შეგიძლიათ შეიძინოთ პაკეტში, ანუ ოთხივე თამაშზე ერთად და ცალ-ცალკეც. არგენტინის, ინგლისის და შოტლანდიის ნაკრებებთან მატჩის A კატეგორიის ბილეთი 95 ამერიკული დოლარი ღირს, ჩვენი და რეპეშაჟელის თამაშის ხილვა კი 70 დოლარადაა შესაძლებელი, ანუ ჯამში 355 დოლარი გამოდის.

შედარებით იაფია B კატეგორიის ბილეთები. ბობოლებთან თამაშებზე დასწრება 75 დოლარი ჯდება, რეპეშაჟელთან კი - 60 დოლარი. ჯამში 285 დოლარი გამოდის.

კიდევ უფრო იაფია D კატეგორიის ბილეთები. ყველა მატჩზე ბილეთს ერთნაირი ფასი აქვს - 40 დოლარი, ანუ ოთხივე ერთად 160 დოლარი.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფური ტურნირის მატჩებზე დასასწრები ყველა ბილეთი სწორედ პირველ ეტაპზე გაიყიდება. მეორე ეტაპიდან, რომელიც წლეულს, ნოემბერში გაიხსნება, მხოლოდ პლეი ოფის მატჩების ბილეთები გაიყიდება.

## ინგლისი: თოთხმეტი თორმეტის ნაცვლად



**ინგლისის** ელიტურ სარაგბო ლიგაში, ანუ „გინეს პრემიერშიფში" მოასპარეზე გუნდების რაოდენობა შესაძლოა, ორი გუნდით გაიზარდოს. დღესდღეობით ინგლისის ჩემპიონობისთვის 12 გუნდი ასპარეზობს. როგორც შეჯიბრების დირექტორმა **მარკ მაკფერიმ** თქვა:

*„სასურველია, ინგლისის ჩემპიონატში 12-ის ნაცვლად 14-მა გუნდმა იასპარეზოს. იმედი გვაქვს, 2012 წლისთვის საკმაოდ გავზრდით სატელევიზიო რეპორტაჟებიდან შემოსულ მოგებას, რაც ფინანსური პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება.*

*თუ ჩემპიონატში 14 გუნდი ითამაშებს, გაიზრდება მატჩების რაოდენობა და ქვეყნის საუკეთესო ლიგაში მონაწილე ქალაქების, შესაბამისად, ქომაგებისა და რაგბით დაკავებული ადამიანების რიცხვი. ეს კი რაგბის უფრო მეტად პოპულარიზაციას და განვითარებას შეუწყობს ხელს.*

*არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ 2016 წელს მსოფლიო თასის გათამაშებას ვმასპინძლობთ და საამისოდ ყველანაირად მზად უნდა ვიყოთ".*

ერთი სიტყვით, როგორც ჩანს, „გინეს პრემიერშიფში" გუნდების რაოდენობის გაზრდა გარდაუვალია, თუმცა ეს, ალბათ, 2011 წლის მსოფლიო თასის მერე მოხდება.

## რებლზმა სომერვილი და მაკდონალდი დაიბევა

„მელბურნ რებლზის" აღმასრულებელ დირექტორ **ბრაიან ვალდრონთან** დაკავშირებული სკანდალის მიუხედავად, ახალშექმნილი ავსტრალიური კლუბი აქტიურად განაგრძობს სასურველი მორაგბეების გადაბირებას.

ვალდრონის ნაცვლად ამ ასპარეზზე ახლა გუნდის მწვრთნელი **როდ მაკქუინი** გააქტიურდა. მან ახლახან ახალზელანდიელ შერკინების პირველხაზელ **გრეგ სომერვილთან** გაფორმებული ხელშეკრულების შესახებ გააკეთა განცხადება.

სომერვილი დღესდღეობით ინგლისურ „გლოსტერში" ასპარეზობს და სეზონის დასრულების შემდეგ „რებლზის" საკუთრება გახდება. გრეგმა მელბურნელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

*„ჩვენი მხედველობის არეში მორაგბეთა გარკვეული ჯგუფია, რომელთაც დღემდე ვაკვირდებით. შესაძლოა, სომერვილზე უკეთესი პირველხაზელებიც არიან, მაგრამ ჩვენ ზუსტად ისეთი გვჭირდება, როგორიც გრეგია - შეუპოვარი, ფუტკარივით მუშა და სიცოცხლით სავსე ადამიანი.*

*ჩვენი გუნდი პირველივე სეზონში კონკურენტუნარიანი და ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალა უნდა იყოს. ასეთი „რებლზი" მხოლოდ სომერვილის დარი მორაგბეებით იქნება"*- თქვა როდ მაკქუინმა

სომერვილის გარდა, „რებლზის" კვართს მოირგებს „ჰაილენდერზის" ყოფილი მეორეხაზელი **ჰონი მაკდონალდი,** რომელიც ამჟამად უელსური „ჰლანეჰლის" ღირსებას იცავს.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

დოპინგი

# რუსული სენი



კიდევ ერთი რუსი ათლეტი გამოიჭირეს დოპინგის მიღებაში. ამჯერად აკრძალული პრეპარატი აღმოუჩინეს 1500 მეტრზე სირბილში ევროპის 2009 წლის ჩემპიონ **ანა ალმინოვას**. სპორტსმენმა მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე ვერ გაიარა დოპინგტესტი.

ალმინოვას ორგანიზმში აკრძალული პრეპარატი - ფსევდოეფედრინი აღმოაჩინეს, თუმცა რუსი მორბენალი ამ დარღვევისთვის მხოლოდ სამი თვით დასაჯეს და ის 8 ივლისს შეძლებს კარიერის განახლებას.

დოჰაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ალმინოვამ 1500 მეტრზე მეშვიდე ადგილი დაიკავა. მის კარიერაში ყველაზე დიდ გამარჯვებად ევროპის ზამთრის ჩემპიონატის მოგება ითვლება. რუსი აგრეთვე პეკინის ოლიმპიადაზე გამოდიოდა, მაგრამ იქ პრიზიორებს შორის ვერ მოხვდა.

■ ■ ■

ამ დღეებში კიდევ ერთი მძლეოსანი ამხილეს აკრძალული პრეპარატის მიღებაში. ეს გახლავთ ესპანელი **ფრანსისკო ხავიერ ფერნანდესი**, რომელმაც 2004 წლის ოლიმპიადაზე 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას ჯერ არ გამოუცხადებია, რა სახის დოპინგი გამოიყენა ფერნანდესმა. სამაგიეროდ უკვე ცნობილია, რომ ესპანელმა ორწლიანი დისკვალიფიკაცია მიიღო, რომლის ათვლა 11 თებერვლიდან დაიწყება. სასჯელის ვადა 2012 წლის 10 თებერვალს იწურება, მაგრამ არსებული წესების თანახმად, ის ვერ შეძლებს ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლას.

ფორმულა 1

# განახლებული ბოლიდი შუმისთვის

## ესპანეთის გრან-პრის წინ მერსედესმა ბოლიდი მიხაელ შუმახერის მართვის სტილზე გადააწყო

ესპანეთის გრან-პრი 9 მაისს გაიმართება. 2010 წლის ჩემპიონატის მეხუთე ეტაპმა უკვე შეიძინა დამატებითი ინტრიგა. ესპანური სტარტის წინ რამდენიმე გუნდი ტექნიკურად განაახლებს ბოლიდს. განსაკუთრებული ყურადღება „მერსედესისკენ", უფრო კონკრეტულად კი **მიხაელ შუმახერის** ბოლიდისკენ არის მიპყრობილი.

ბარსელონაში გასამართ რბოლამდე ორი კვირით ადრე გერმანული საჯინიბოს ხელმძღვანელობამ სეზონის პირველი ევროპული ეტაპისთვის საკუთარ მანქანაზე სერიოზული ტექნიკური სიახლეების შესახებ გამოაცხადა. „მერსედესის" შეფი **როს ბრაუნი** ამბობს, რომ ამ განახლების წყალობით, ბოლიდი მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის მართვის სტილისადმი უფრო ადაპტირებული გახდება. *„ახალი წესების შემდეგ წინა საბურავები უფრო ვიწრო გახდა, რასაც შუმი მიუჩვეველია. მიხაელმა სერიოზულად უნდა დატვირთოს მანქანის წინა ნაწილი, რათა პილოტირების მისმა ჩვეულმა სტილმა იმუშაოს"*, - ამბობს ცნობილი სპეციალისტი.



ესპანეთის გრან-პრიზე გამოჩნდება, დაბერდა თუ არა ლეგენდა

■ ■ ■

ფორმულა 1-ში „წითელი ბარონის" დაბრუნებას დიდი აჟიოტაჟით შეხვდნენ, მაგრამ რეალურად თუ ვიტყვით, დაბრუნება არ შემდგარა. ლეგენდარულმა გერმანელმა ოთხი რბოლის განმავლობაში სულ რაღაც 10 ქულა დააგროვა - დაახლოებით იმდენი, რამდენიც „ტორო როსოსა" და „უილიამსის" პილოტებს აქვთ, მაგრამ თუ ამ გუნდის წევრებისთვის ქულათა ზონაში მოხვედრაც დიდი წარმატებად ითვლება, გერმანელს გაცილებით მეტი ამბიცია აქვს, მაგრამ... შუმახერის ამჟამინდელი ფორმა სერიოზულ კითხვის ნიშნებს ბადებს. უცნაურია, რომ შვიდგზის ჩემპიონს დღეს რაღაცების სწავლა უწევს.

2010 წლის სეზონის პირველ ოთხ გრან-პრიში შუმახერმა ოთხჯერვე წააგო კვალიფიკაციაც და რბოლაც თავის თანამემამულე და პარტნიორ **ნიკო როსბერგთან**. ახლა ნიკოს 50 ქულა აქვს და ის არც ერთ ეტაპზე მეხუთე ადგილზე ქვემოთ არ დაშვებულა. შუმის „აქტივში" კი მეექვსე ადგილია სეზონის პირველ რბოლაში და ორი მეათე ადგილი - ავსტრალიასა და ჩინეთში. „მერსედესის" ხელმძღვანელობა ჯიუტად იმეორებს, რომ შუმახერის რეალური სტარტი სწორედ ევროპაში, კერძოდ კი ესპანეთის გრან-პრიდან დაიწყება. მაგრამ ყოველი რბოლის წინ ასეთი ლაპარაკი სულ უფრო და უფრო არადამაჯერებლად ჟღერს.

■ ■ ■

ჩინეთის გრან-პრის შემდეგ შუმახერს მხოლოდ ზარმაცი არ აკრიტიკებდა. პრესაში დიდი სიამოვნებით ამახვილებდნენ ყურადღებას რეკლამირებული გერმანელის ჩავარდნაზე. ერთ-ერთ გერმანულ გამოცემაში გაჩნდა კოლაჟი - შუმახერი ლოკოკინას ფორმაში. ავტორიტეტულმა იტალიურმა გამოცემა „გაძეტა დელო სპორტმა" პირდაპირი კითხვა დასვა: „რატომ გააკეთა მან ეს?" (იგულისხმება, რატომ დაბრუნდა შუმი სპორტში). ვიღაცამ კი შუმახერი ბებერ ლომს შეადარა, რომელსაც ახალგაზრდა ლომები უტევენ. დაბოლოს, „ლა სტამპამ" მიხაელს ასეთი შეკითხვა დაუსვა: *„ფორმულა 1 გასწრების გარეშე? ამის შესახებ შუმახერს ჰკითხეთ, რომელსაც შანხაიში მუდმივად ასწრებდნენ"*.

შუმისთან დაკავშირებულ სიტუაციას უფრო კომპეტენტური პირებიც აფასებენ. ჰოლანდიელმა პილოტმა **იოს ფერსტაპენმა**, რომელიც ჯერ კიდევ „ბენეტონში" იყო შუმახერის თანაგუნდელი, ასეთი რამ თქვა: *„შესაძლოა, სამი წლის განმავლობაში მან დაკარგა ბოლიდის მართვის გრძნობა. დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ შუმახერი ჩვეულებრივი ადამიანი ყოფილა და თურმე ჯადოქრობა არ შესძლებია"*.

მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი **ნიკი ლაუდა** მიიჩნევს, რომ უფრო წარმატებული გამოსვლისთვის მიხაელმა სტილი უნდა შეცვალოს: *„შუმახერმა რაც შეიძლება მალე უნდა შეიცვალოს სარბოლო სტილი. ვიწრო წინა საბურავებით აღჭურვილმა ბოლიდებმა მისი გაკვირვება გამოიწვია, იმ დროს, როცა როსბერგისთვის ეს პრობლემა არ ყოფილა"*.

უფრო მკაფიოდ ჩამოაყალიბა საკუთარი აზრი ფორმულა 1-ის ექსპილოტმა **დევიდ კულტჰარდმა**, რომელმაც შანხაის რბოლას შუმახერისთვის „კატასტროფა" და „კარიერაში ყველაზე უარესი უქმეები უწოდა".

შუმახერს არც საზოგადოებაში აქვს სრული მხარდაჭერა. კომპანია Promit-მა ჩაატარა გამოკითხვა იმაზე, თუ რა განწყობა აქვთ გერმანელებს „დიდ ცირკში" მიხაელის დაბრუნებაზე. გამოკითხულთა 63.3 პროცენტს მიაჩნია, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონის დაბრუნება შეცდომა იყო და მხოლოდ 33.5 პროცენტი იწონებს პილოტის გადაწყვეტილებას.

თუმცა შუმის მხარდამჭერებიც გამოუჩნდნენ: მისი გუნდის ზოგიერთი წევრი და თვით ფორმულა 1-ის მთავარი პრომოუტერი და ფაქტობრივი მფლობელი **ბერნი ექსლტოუნი**. თუმცა „დიდი პრიზების" ბოსმა ფორმულა 1-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ჩვეულ სტილში გამოთქვა საკუთარი მოსაზრება: *„მიხაელი ნებისმიერი გუნდისთვის ფასიანი აქტივია. „მერსედესს" შეუძლია დიდი ფული დაზოგოს, რადგან მენეჯერის თანამდებობის გაუქმება შეუძლია: მიხაელი უკვე იყო „ბენეტონსა" და „ფერარიში" არაოფიციალური მენეჯერი! მიხაელის შედეგები ჯერჯერობით ვერ შეესაბამება მის დონეს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ „მერსედესი" არც ისე კარგად გამოდის - განსხვავებით „რედ ბულისა" და „მაკლარენისგან". არასწორად იქცევა ის, ვინც მიხაელს აკრიტიკებს. გერმანელი მეტს იმსახურებს. ნიკო როსბერგი ძალიან ნიჭიერია, შუმი კი სამი წელი არდადეგებზე იყო. ამ მომენტისთვის მე არ ვიჩქარებდი დასკვნების გაკეთებას. მიეცით მას დრო ახალ მანქანასა და ახალ საბურავებთან შესაგუებლად"*.

სხვადასხვა

კრივი

### რუისი წავიდა

სუპერმძიმე წონაში WBA-ის ყოფილმა ჩემპიონმა **ჯონ რუისმა** კარიერის დასრულების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა. პროფესიულ რინგზე 18-წლიანი მოღვაწეობის პერიოდში, ამერიკელმა მოკრივემ 12 საჩემპიონო ბრძოლა გამართა, ორჯერ გახდა პლანეტის საუკეთესო მოკრივე, ხოლო მისი წარმატებების სიაში შედის გამარჯვებები ისეთ ცნობილ მოკრივეებთან, როგორებიც არიან **ევანდერ ჰოლიფილდი** (2001), **ჰასიმ რაჰმანი** (2003) და **ტონი ტაკერი** (1998).

38 წლის რუისმა ბოლო ბრძოლა ამა წლის აპრილში გამართა. მან მანჩესტერში ტექნიკური ნოკაუტით წააგო ბრიტანელ **დევიდ ჰეისთან**. ეს იყო მის კარიერაში 54-ე ბრძოლა და მეცხრე დამარცხება. ასევე რუისის ანგარიშზეა - 44 მოგება (30 ნოკაუტით) და ერთი ფრე.

კალათბურთი

### პაუ გასოლი მსოფლიოზე არ წავა

„მემფის გრიზლისის" ცენტრი **მარკ გასოლი** დარწმუნებულია, რომ მისი უფროსი ძმა - **პაუ გასოლი** წელს არ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე, რომელიც თურქეთში გაიმართება.

*„ეჭვი არ მეპარება, რომ პაუ გამოტოვებს ჩემპიონატს. ჩემს ძმას დასვენება სჭირდება. მას არ შეუძლია სეზონში 100-ზე მეტი მატჩის ჩატარება, რადგან ორგანიზმი ველარ უძლებს ასეთ დატვირთვას"*, - ამბობს მარკი, რომელიც ძმის არყოფნაში ესპანელთა ძირითადი ცენტრი უნდა გახდეს.

უფროს გასოლს 2001 წელს ჰქონდა დებიუტი ესპანეთის ნაკრებში და 2005 წლის ევრობასკეტის გარდა არც ერთი დიდი საკალათბურთო ფორუმი არ გამოუტოვებია. წელს პაუმ რეგულარულში 65 მატჩი ჩაატარა, პლეი ოფში კი უკვე ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და საშუალოდ 18.3 ქულა და 11.3 მოხსნა დააგროვა.

ესპანეთს მსოფლიოს მომავალ ჩემპიონატზე ტიტულის დაცვა უწევს.

ავტოსპორტი

### ალონსო დააზღვიეს

„ფერარის" სპონსორმა - ესპანურმა ბანკმა „სანტადერმა" ძვირფასი საჩუქარი გაუკეთა „სკუდერიას" პილოტ **ფერნანდო ალონსოს** - ეს არის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის სიცოცხლის დაზღვევა. გარდა ამისა, ბანკი ფერნანდოს ტრასაზე ავარიის შემთხვევაშიც გადაუხდის კომპენსაციას. შეთანხმების საერთო ღირებულება 10 მილიონ ევროს შეადგენს.

*„ჩემი პროფესია სერიოზულ რისკთან არის დაკავშირებული და კარგად ვხვდები, რომ უსაფრთხოება ერთ-ერთი მთავარი საკითხია. ვიცოდი, რომ „სანტანდერი" - საუკეთესო ბანკი იყო მსოფლიოში, მაგრამ ახლა ისიც გავიგე, რომ ის სიცოცხლის დაზღვევის სფეროშიც ლიდერია"*, - ამბობს ფერნანდო ალონსო.

ველოსპორტი

### კონტადორმა დუბლი დაგეგმა

მსოფლიო ველოსპორტის ლიდერი **ალბერტო კონტადორი** მომავალ წელს იტალიურ ველომარათონ ჯირო დ'იტალიაზე აპირებს გამოსვლას. ამ დღეეში ესპანელი ველომრბოლი ჯიროს დირექტორს **ანჯელო ზომეგნანს** შეხვდა. ამ უკანასკნელის განცხადებით, კონტადორთან მიღწეულია ზეპირი შეთანხმება იმაზე, რომ ტურ დე ფრანსის ორგზის ჩემპიონი გაისად იტალიის გზებზე პირველობისთვის იბრძოლებს.

როგორც ჩანს, კონტადორი თავისი ლეგენდარული თანამემამულის - **მიგელ ინდურაინის** შედეგის გამეორებას აპირებს, რომელმაც 1992 და 1993 წლებში შეძლო დუბლის შესრულება - ერთ სეზონში მოიგო ტურ დე ფრანსი და ჯირო დ'იტალია.

*„სპორტული ფორმის სწორად განაწილებისა და კარგი მომზადების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია ერთ წელს ორი გრანდ-ტურის მოგება. შევეცდები ამის გაკეთებას"*, - განაცხადა ალბერტო კონტადორმა.

ჩოგბურთი

# ისევ ბორგი და მაკინროი

ლეგენდარული შვედი ჩოგბურთელი **ბიორნ ბორგი** ისევ კორტზე ბრუნდება. 53 წლის სპორტსმენი ბოსტონში ვეტერანთა ტურნირში (Outback Champions Series) მიიღებს მონაწილეობას. არ არის გამორიცხული, რომ კორტზე კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ერთ დროს პრინციპული მეტოქეები - ბორგი და 51 წლის ამერიკელი **ჯონ მაკინროი**.

ეს იმ შემთხვევაში მოხდება, თუ მსოფლიო ჩოგბურთის ლეგენდები პირველი წრის ბარიერს გადალახავენ. ბორგი საწყის შეხვედრაში თანამემამულე **მიკაელ პერნფორსს** ხვდება, მაკინროის მეტოქე კი კიდევ ერთი შვედი - **მატს ვილანდერი** გახლავთ.

პროფესიული კარიერის განმავლობაში ბორგი და მაკინროი 14-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და საერთო ანგარიში საყაიმოა - 7:7. ბოლოს ATP-ის ტურში ისინი 1981 წელს, ამერიკის ღია პირველობის ფინალში დაუპირისპირდნენ და გამარჯვება ამერიკელს დარჩა. *„ყოველთვის განსაკუთრებული მომენტია, როცა ჯონს კორტის მეორე ნახევარზე ვხედავ"*, - ამბობს ბორგი სააგენტო „როიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.



შვედს კარიერაში „დიდი სლემის" 11 ტურნირი აქვს მოგებული - ხუთი უიმბლდონი და ექვსი როლან გაროსი.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი — NHL პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# სლოვაკმა მეკარემ ისტორია გადაწერა

## ლეგენდარულმა მწვრთნელმა კარიერა დაასრულა



| ბოსტონი-ბაფალო | 4:3 |
|---|---|

**1:0, 1:1, 2:2**

**გოლები:** 1:0 კრეისი-2 (რეკი-2, ჰანვიკი-4), 2:0 რეკი-3 (კრეისი-2, პ. ბერჟერონი-3), 2:1 კალეტა-1 (ტიმ კენედი-2, მეირი-1), 3:1 კრეისი-3 (ლუჩიჩი-1, შატანი-3), 3:2 გერბი-1, 4:2 შატანი-2 (ლუჩიჩი-2, ვიდემანი-3), 4:3 ვანეკი-2 (პომინვილი-2, ლიდმანი-1).

**სერია: 4:2**

| მონრეალი-ვაშინგტონი | 4:1 |
|---|---|

**2:0, 0:0, 2:1**

**გოლები:** 1:0 კამალერი-4 (მ-ა. ბერჟერონი-2), 2:0 კამალერი-5 (სუბანი-1, პლეკანეცი-3), 3:0 ლაპიერი-1 (გორჯესი-1), 3:1 ფერი-3 (მაიკ გრინი-3, ჩიმერა-2), 4:1 პლეკანეცი-4 (კამალერი-5, ა. კოსტიცინი-3).

**სერია: 3:3**

| ნეშვილი-ჩიკაგო | 3:5 |
|---|---|

**3:4: 0:0, 0:1**

**გოლები:** 0:1 კეიტი-1 (მარიან ჰოსა-4, შარპი-3), 1:1 შ. უებერი-2 (ტუტუ-1, უილსონი-1), 1:2 პ. კეინი-4 (სიბრუკი-3, ტეუვზი-5), 1:3 შარპი-3 (მარიან ჰოსა-5, სიბრუკი-4), 2:3 არნოტი-1 (ჰორნკვისტი-1, შ. უებერი-1), 3:3 არნოტი-2 (ჰამჰუისი-2, ერატი-1), 3:4 ტეუვზი-2 (შარპი-4, კეიტი-1), 3:5 მადენი-1 (ტეუვზი-6, მარიან ჰოსა-6).

**სერია: 2:4**

■ ■ ■

სტენლის თასის პირველი რაუნდი დასასრულს მიუახლოვდა. მხოლოდ ორ სერიაში გახდა საჭირო შვიდი მატჩის ჩატარება, დანარჩენ ექვს შემთხვევაში კი უკვე გაირკვა მეოთხედფინალისტთა ვინაობა.

რეგულარული ჩემპიონატის გამარჯვებულმა „ვაშინგტონმა" შვიდ მატჩამდე გაწელა „მონრეალ კანადიენსთან" სერია.

ამ გუნდების მეექვსე შეხვედრაში ჰოკეის ეროვნული ლიგის რეკორდი დამყარდა. მისი ავტორი გახდა „მონრეალის" სლოვაკი მეკარე **იან ჰალაკი**, რომელმაც 60 წუთის განმავლობაში 53 (!) დარტყმის მოგერიება მოახერხა. პლეი ოფის მატჩებში ასეთი რამ არასოდეს მომხდარა. წინა რეკორდის ავტორი ლეგენდარული **კენ დრაიდენი** იყო, რომელმაც 1971 წელს 49 სეივი შეასრულა. ასე რომ, ახალგაზრდა სლოვაკი NHL-ის ისტორიაში შევიდა და ისეთი ლეგენდების გვერდით დადგა, როგორებიც არიან იგივე დრაიდენი, **პატრიკ რუა** ან **ჟაკ პლანტი**.

ჰალაკისგან განსხვავებით ძალიან სუსტად გამოიყურებოდა „ვაშინგტონის" რუსი მეკარე **სერგეი ვარლამოვი** - ოთხი გაშვებული შაიბიდან მინიმუმ ორი მის სინდისზეა.

■ ■ ■

„ბოსტონის" მეკარე **ტუუკა რასკმა** ვანკუვერის ოლიმპიადის საუკეთესო მოთამაშის, „ბაფალოს" ბრწყინვალე გოლკიპერის **რაიან მილერის** დამარცხება შეძლო. თუმცა სერიის მეექვსე მატჩის მთავარი გმირი არა მეკარე, არამედ „ბრუინზის" ფორვარდი **დევიდ კრეისი** გახდა, რომელმაც დუბლი შეასრულა და ამას ერთი საგოლე პასიც დაუმატა. **ბერჟერონის**, კრეისისა და **რეკის** სამეულმა ორჯერ შეძლო რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება და ამან გადამწყვეტი როლი ითამაშა „დათვების" გამარჯვებაში.

უნდა აღინიშნოს ვეტერანი მარკ რეკის შედეგიანი თამაში (1+1). აღსანიშნავია, რომ ამ ფორვარდმა პლეი ოფში 75-ე შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

„ბოსტონის" მორიგი მეტოქე „მონრეალისა" და „ვაშინგტონის" სერიის დასრულების შემდეგ გაირკვევა. კანადელთა გამარჯვების შემთხვევაში ჩვენ გველის „ბოსტონისა" და „ფილადელფიას" სერია, ხოლო თუ შემდეგ ეტაპზე „ვაშინგტონი" გავა, „ბრუინზი" „პიტსბურგს" შეხვდება.

■ ■ ■

როგორც მოსალოდნელი იყო, „ჩიკაგომ" წარმატებით დასძლია „ნეშვილის" ბარიერი, თუმცა „ბლექჰოქსისთვის" სერია საკმაოდ რთული გამოვიდა. გუშინდელ მატჩშიც ბოლო წამებამდე არაფერი იყო გარკვეული.

საინტერესოა, რომ რვიდან შვიდი შაიბა პირველ პერიოდში გავიდა, მეორე 20-წუთეულში ინიციატივას „ჩიკაგო" ფლობდა, მაგრამ უპირატესობის განვრცობა ვერ შეძლო, მესამეში კი „ნეშვილმა" ნამდვილი შტურმი მოაწყო **ანტი ნიემის** კართან - მასპინძლებმა 15 ზუსტი დარტყმა შეასრულეს, სტუმრებმა მხოლოდ ორი. მაგრამ ფინელმა მეკარემ გამოცდას გაუძლო, წერტილი მატჩში და მთლიანად სერიაში კი **ჯონ მადენმა** დასვა, რომელმაც ბოლო წუთზე ცარიელ კარში გაიტანა შაიბა.

■ ■ ■

სტენლის თასიდან გავარდნის შემდეგ მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა „ნიუ ჯერსი დევილზის" დამრიგებელმა **ჟაკ ლემერმა**. შეგახსენებთ, რომ „ეშმაკებმა" ხუთ მატჩში წააგეს სერია „ფილადელფია ფლაიერზთან", რაც ლემერისთვის პლეი ოფის პირველ წრეში ზედიზედ მესამე მარცხი გახლდათ.

გადადგომის შემდეგ, 64 წლის სპეციალისტმა განაცხადა, რომ მას ენერგია აღარ შერჩა სამწვრთნელო მოღვაწეობის გასაგრძელებლად. ლემერი, რომელმაც „ნიუ ჯერსი" 1995 წელს სტენლის თასამდე მიიყვანა, კლუბის სტრუქტურაში დარჩება, თუმცა მისი ახალი თანამდებობა ჯერ განსაზღვრული არ არის. შეგახსენებთ, რომ „ეშმაკების" დამრიგებელი ამ სეზონის წინ დაბრუნდა ნიუ ჯერსიში, მანამდე კი რვა წელი „მინესოტას" წვრთნიდა.

მთლიანად კარიერაში ამ ბრწყინვალე მწვრთნელმა „მონრეალში", „ნიუ ჯერსისა" და „მინესოტაში" იმუშავა, ჯამში 588 მატჩი მოიგო, 441 წააგო და 124 ფრედ დაასრულა. ის ორჯერ გახდა სეზონის საუკეთესო მწვრთნელი - 1994 და 2003 წლებში. გარდა ამისა, ლემერი ვანკუვერის ოლიმპიადაზე კანადის ნაკრების სამწვრთნელო შტაბში შედიოდა და დამსახურებულად მიიღო ოქროს მედალი.

ჟაკ ლემერს კარიერაში 11-ჯერ (!) აქვს მოგებული სტენლის თასი - რვაჯერ „მონრეალის" მოთამაშის რანგში, ორჯერ ამავე კლუბის გენერალური მენეჯერის ასისტენტის თანამდებობაზე და ერთხელაც „ნიუ ჯერსის" მწვრთნელობისას.

მსოფლიოს ჩემპიონატი

# კანადა გაახალგაზრდავდა

მსოფლიოს ჩემპიონატის წინ კანადის ნაკრებმა მორიგი შევსება მიიღო. გუნდის სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს შემადგენლობის გაახალგაზრდავებას. ნაკრებში ჩაირიცხა „კოლორადოს" 19 წლის თავდამსხმელი **მეტ დიუშენი**, რომელიც ამ სეზონში საუკეთესო დებიუტანტის პრიზზეა წარდგენილი.

ახალგაზრდა ფორვარდმა რეგულარულ ჩემპიონატში 81 მატჩი ჩაატარა და 55 ქულა (24 გოლი+31 პასი) დააგროვა. დიუშენი „კოლორადოს" პლეი ოფში გასვლაში დაეხმარა, მაგრამ ამ გუნდმა პირველი წრის სერია „სან ხოსესთან" წააგო.

მსოფლიოს წლევანდელ ჩემპიონატზე კანადას ძალიან ახალგაზრდა შემადგენლობა ეყოლება. გერმანიაში ითამაშებენ 19 წლის **ჯონ ტავარესი** (შარშანდელი დრაფტის პირველი ნომერი) და 20 წლის **სტივენ სტემკოსი** (რეგულარულის საუკეთესო სნაიპერი). მათ „ლოს ანჯელესიდან" დაემატებათ 20 წლის **დრიუ დაუტი**, რომელიც საუკეთესო მცველის პრიზზეა ნომინირებული და ვანკუვერში ოლიმპიადის ოქროს მედალი მოიპოვა. ასევე „ლოს ანჯელესიდან" მოხვდა ეროვნულ გუნდში ამ სეზონის კიდევ ერთი დებიუტანტი - **უეინ სიმონდსი**.

კანადა მსოფლიოს ჩემპიონატს 8 მაისს იტალიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩით გახსნის.

■ ■ ■

პლანეტის პირველობის შემდეგ ჩეხეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჩაუდგება სათავეში. ამჟამინდელ დამრიგებელს **ვლადიმერ რუჟიჩკას** ცნობილი სპეციალისტი **ალოზ ჰადამჩიკი** შეცვლის.



ეს გადაწყვეტილება ჩეხეთის ჰოკეის ასოციაციის სხდომაზე მიიღეს. 57 წლის ჰადამჩიკი ერთხელ უკვე ედგა სათავეში ეროვნულ გუნდს (2006-08 წლებში) და მისი ხელმძღვანელობით ჩეხეთმა ტურინის ოლიმპიადაზე ბრინჯაოს მედლები მიიღო. მთავარი მწვრთნელის პოსტზე ის სწორედ რუჟიჩკამ შეცვალა, რომელმაც ბოლო ორ წელიწადში ვერანაირ წარმატებას ვერ მიაღწია.

ჰადამჩიკის ბოლო სამუშაო ადგილი ჩეხეთის ჩემპიონატში მონაწილე „ვიტკოვიცე" იყო, რომელმაც ამ სეზონში პლეი ოფის ფინალამდე მიაღწია, მაგრამ იქ დომინიკ ჰაშეკის გუნდთან წააგო.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| **Under 21** | |
| ბოსნია-თურქეთი | 4:1 |
| **ინგლისი** | |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ბარნეტი | 1:0 |
| დარლინგტონი-ნოტსი | 0:5 |
| **გერმანია** | |
| **III ბუნდესლიგა** | |
| ბაიერნი A-ზანდჰაუზენი | 2:2 |
| ბურგჰაუზენი-კარლ ცაისი | 2:3 |
| აუე-ვეენი | 2:2 |
| კილი-დინამო (დრ) | 1:0 |
| ვუპერტალი-ერფურტი | 0:3 |
| **საფრანგეთი** | |
| გრენობლი-პსჟ | 4:0 |
| მონაკო-ლე მანი | 1:1 |
| **შოტლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| კოუდენბითი-სტრილინგი | 3:3 |
| **III დივიზიონი** | |
| ელჯინი-სტრანრარი | 2:3 |
| ლივინგსტონი-ალბიონი | 2:0 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ფალკენბერგი-დეგერფორსი | 1:2 |
| სუნდსვალი-იონჩოპინგი | 1:1 |
| ტროლჰატანი-ჰამარბიუ | 0:2 |
| **კვიპროსის თასი** | |
| არისი-აპოელ | 0:2 |
| **პოლონეთი** | |
| კრაკოვია-ოდრა | 1:0 |
| პოლონია (ვ)-ბელხატოვი | 0:0 |
| პიასტი-ვისლა | 1:4 |
| ზაგლებე-შლიონსკი | 1:1 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **საფრანგეთის თასი** | |
| რუანი-გრაველინი | 69:72 |
| ლიმოჟი-ორლეანი | 68:75 |
| **გერმანია** | |
| დიუსელდორფი-გეტინგენი | 71:72 |
| **ესპანეთი** | |
| ალიკანტე-ვალენსია | 83:75 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| მვდ-აკ ბარსი | 0:2 |
| **ფინეთი** | |
| ტპს-ჰპკ | 1:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. რომი** | |
| ფ. ლოპესი-ბეკერი | 6:4, 6:3 |
| ბოლელი-გროილი | 6:4, 6:1 |
| ვავრინკა-მელცერი | 6:1, 6:2 |
| ჰიუიტი-იუჟნი | 6:4, 4:6, 6:3 |
| ალმაგრო-კუბოტი | 6:7, 6:2, 6:3 |
| ჯოკოვიჩი-შარდი | 6:1, 6:1 |
| მონაკო-ჰანესკუ | 6:7, 4:6 |
| ბელუჩი-ლ. მაიერი | 6:4, 3:6, 6:1 |
| ფედერერი-გულბისი | 6:2, 1:6, 5:7 |
| ფერერი-კოროლიოვი | 6:4, 6:1 |
| მიურეი-სეპი | 6:2, 6:4 |
| **WTA. ფესი** | |
| კერბერი-ელ ალამი | 6:0, 6:1 |
| ჩინკი-ვორაკოვა | 4:6, 6:7 |
| სტრიუკოვა-იოვანოვსკი | 3:6, 1:6 |
| მედინა გარიგესი-ბენანი | 6:0, 6:0 |
| კეოტავონგი-კუანი | 6:3, 0:6, 6:4 |
| მარტიჩი-კორნე | 6:7, 4:6 |
| პოუს ტიო-გროტი | 6:0, 7:6 |
| შნიდერი-არნი | 4:6, 7:5, 6:1 |
| პარმენტიე-ო'ბრაიენი | 2:6, 6:4, 3:6 |
| პარა სანტონხა-მანასიევა | 2:6, 6:3, 6:3 |
| ჰალეპი-ჰრადეცკა | 7:5, 6:1 |
| სუარეს ნავარო-ფლორისი | 6:1, 5:7, 6:1 |
| დე გუბერნატისი-ლალამი | 7:6, 6:3 |
| **WTA. შტუტგარტი** | |
| პირონკოვა-ჩახნაშვილი | 6:3, 6:4 |
| კუზნეცოვა-სრებოტნიკი | 6:1, 6:2 |
| პეერი-ჰერცოგი | 6:3, 3:6, 6:1 |
| გოვორცოვა-ლაპუშჩენკოვა | 4:6, 1:6 |
| ერანი-ნა ლი | 1:6, 1:6 |
| ა. რადვანსკა-ივანოვიჩი | 7:6, 6:4 |
| დულგერუ-პუჩეკი | 6:2, 6:2 |
| შავაი-პეტკოვიჩი | 6:3, 2:6, 7:5 |

TV პროგრამა

**28 აპრილი. ოთხშაბათი**

**რუსთავი 2**

**22:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ინტერი (LIVE).

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:00** სქვოში.
**08:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:25** საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
**10:00** 100% დინამო.
**10:20** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-ბაიერნი.
**12:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**13:15** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. ლიტვა-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
**15:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**16:05** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ბრაზილია.
**17:40** სავიზიტო ბარათი.
**17:55** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**18:05** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ატალანტა.
**19:50** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**20:00** რინგ-საიდი. ანალიტიკური პროგრამა კრივზე.
**21:05** 100% დინამო.
**21:30** კალათბურთი. FIBA-ის მიმოხილვა.
**21:55** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**22:20** სპორტინფორმი - ახალი ამბები.
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ინტერი (LIVE).
**00:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-ბაიერნი.
**02:35** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**03:35** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:30** კალათბურთი. ევროლიგა. 1/4 ფინალი. პარტიზანი-მაკაბი.

**SPORT 2 (უკრაინა)**

**07:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**08:15** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. სერბეთი-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
**10:10** საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა.
**10:45** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-სამპდორია.
**12:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-სტოკი.
**14:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-კიოლნი.
**16:05** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
**18:30** ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**19:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ლიონი-ბაიერნი.
**21:25** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**22:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**22:55** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი. I დივიზიონი. A ჯგუფი. სერბეთი-უკრაინა. ტილბურგი. ჰოლანდია.
**00:45** სავიზიტო ბარათი.
**22:30** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ინტერი.
**03:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**04:00** მძლეოსნობა. IAAF-ის გრან-პრი. სტოკჰოლმი. შვედეთი.
**06:30** ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

**EUROSPORT**

**10:35** ექსტრემალური სპორტი.
**11:00** ფეხბურთი. ჩემპიონთა კლუბი. ტელეჟურნალი.
**11:15** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.
**13:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**16:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
**17:45** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**20:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:10** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. III დღე. შტუტგარტი. გერმანია (LIVE).
**22:00** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი (LIVE).
**01:00** ოლიმპიური თამაშები. ტელეჟურნალი.
**01:30** ველოსპორტი. ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი. ბელგია.
**02:30** სნუკერი. მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/4 ფინალი. შეფილდი. ბრიტანეთი.



კალათბურთი

NBA პლეი ოფი. 1/8 ფინალი

# ორლანდო შემდეგ ეტაპზეა

ძალიან ბევრს ეცადნენ **ლარი ბრაუნის** შეგირდები „ორლანდო მეჯიქისთვის" წინააღმდეგობის გაწევას, მაგრამ „შარლოტ ბობკეტსმა" მაინც ვერ შეძლო პლეი ოფის მატჩებში პირველი გამარჯვების მოპოვება. არადა, მეოთხე შეხვედრაში მსაჯები მაქსიმალურად კეთილგანწყობილნი იყვნენ მასპინძლების მიმართ და ერთი-ორჯერ ჯარიმა მოუგონეს **დუაიტ ჰოვარდს**. არადა, ამ უკანასკნელს თავისი გასაჭირიც ეყოფა. „ორლანდოს" ცენტრი არ არის ჩვეულ ფორმაში და პირველად თავის კარიერაში პლეი ოფის სერია ისე დაასრულა, რომ არც ერთ მატჩში ორმაგი დუბლი არ შეუსრულებია. თუმცა დღევანდელი „მეჯიქი" მხოლოდ ჰოვარდი არ არის - აქ წამყვან როლებზე **ნელსონი, კარტერი** და **ლუისი** არიან...

სწორედ ამ სამეულმა, **მეტ ბარნსისა** და **მიკაელ პიეტრუსის** აქტიური დახმარებით, „ორლანდოს" ზედმეტი გართულებები აარიდა გუშინდელ შეხვედრაში. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მასპინძლების მხრიდან აშკარად ჩააგდო თამაში ერთ-ერთმა ლიდერმა **სტივენ ჯექსონმა**. სროლების საშინელი რეალიზაციის (11-დან 2) გამო, სტივენი **რაიმონდ ფელტონთან** ერთად გამთამაშებლის როლის შესრულებაზე გადავიდა. „შარლოტს" ძალიან არ უნდოდა სერიის „მშრალი" ანგარიშით წაგება, მაქსიმალურ წინააღმდეგობას უწევდა ფავორიტს და მეოთხე მეოთხედის შუაში **ტაისონ ჩენდლერის** საჯარიმოების შემდეგ ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა - 76:77.

მაგრამ მომდევნო სამმა წუთმა ხაზი გადაუსვა მასპინძელთა იმედებს. ამ დროის განავლობაში „ორლანდომ" ბევრი რამ მოასწრო: სამი სამქულიანი ჩააგდო, ჰოვარდმა ორი დაფარება შეასრულა, რასაც **ჯერალდ უოლასის** ორი აცილებული საჯარიმო მოჰყვა და შეხვედრამ საბოლოოდ დაკარგა ინტრიგა. ბოლო ოთხი წუთი გუნდები ძირითადად საჯარიმოების შესრულებით იყვნენ დაკავებული - „შარლოტმა" რვიდან რვა ჩააგდო, „მეჯიქმა" - 18-დან 13 და მშვიდად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. „შარლოტი" კი მეხუთე გუნდი გახდა ისტორიაში, რომელმაც პლეი ოფში სადებიუტო სერია მოუგებლად დაასრულა. სხვათა შორის, პირველად ასეთი ჩავარდნა 1994 წელს სწორედ „ორლანდოს" ჰქონდა „ინდიანა პეისერსთან" სერიაში.

■ ■ ■

იმ დროს, როცა „ორლანდო" მომდევნო რაუნდისთვის იწყებს მზადებას, „ფინიქსი" ნელ-ნელა არჯულებს ჯიუტ „პორტლენდს". US Airways Center-ში გამართული შეხვედრა წინა მატჩებისგან განსხვავებით არცთუ ისე საინტერესო გამოვიდა. არადა, აღნიშნული თამაში მეტად დამაინტრიგებლად დაიწყო: **მილერის, ოლდრიჯისა** და **ბეილესის** ტრიოს წყალობით „თრეილ ბლეიზერსმა" საწყისი ხუთი წუთი 18:4 მოიგო. მაგრამ ამან „სანზი" ვერ შეაშინა. მასპინძლებმა სიტუაცია მეორე მეოთხედში გამოასწორეს. „ფინიქსმა" თანდათანობით დაიწყო მეტოქის განადგურება. თანაც ამ პროცესში გუნდის ლიდერთა გარდა აქტიურად იყვნენ ჩართულნი **ჩენინგ ფრაი** და **გორან დრაგიჩი**.

საქმის ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანა კი **ჯარედ დადლიმ** ითავა. როცა ანგარიში 84:66 იყო, ამ კალათბურთელმა ზედიზედ სამი სამქულიანი ჩააგდო და სხვაობაñ მაქსიმალურ ზღვარს - 27 ქულას მიაღწია, თავად დადლის ანგარიშზე კი 19 ქულა მოდიოდა და თუ სხვა მაჩვენებლებსაც გავითვალისწინებთ, ის მატჩის ყველაზე სასარგებლო მოთამაშე გახდა, თანაც პლეი ოფში შედეგიანობის პირადი რეკორდიც გააუმჯობესა. აღსანიშნავია, რომ სანდიეგოელმა ამ სერიის წინა ოთხ მატჩში მხოლოდ 13 ქულა დააგროვა და სულ ორი სამქულიანი ჩააგდო.

**მილუოკი-ატლანტა 111:104**

**28:25, 26:25, 31:24, 26:30**

**მ:** ჯენინგსი (23+6 პასი), სალმონსი (22), დელფინო (22), ილიასოვა (11), მბა ა მუტე (10), ტომასი (9+9 მოხსნა).

**ა:** ჯონსონი (29+9 პასი), კროუფორდი (21), ჯოშ სმიტი (20+9 მოხსნა), ბიბი (15), ჰორფორდი (8+8 მოხსნა).

**სერია: 2:2**

**შარლოტი-ორლანდო 90:99**

**25:23, 20:20, 23:28, 22:28**

**შ:** ტომასი (21+9 მოხსნა), უოლასი (17), დიაო (13), ფელტონი (11+6 პასი), ჯექსონი (8+8 პასი).

**ო:** კარტერი (21), ნელსონი (18), ლუისი (17), ბარნსი (14+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), პიეტრუსი (13), ჰოვარდი (6+13 მოხსნა).

**სერია: 0:4**

**ფინიქსი-პორტლენდი 107:88**

**27:28, 30:19, 27:19, 23:22**

**ფ:** ფრაი (20+8 მოხსნა), სტაუდმაიერი (19), დადლი (19), ნეში (14+10 პასი), რიჩარდსონი (13+8 მოხსნა).

**პ:** მილერი (21), ბეილესი (17), ოლდრიჯი (17), კანინგემი (11), კემბი (7+11 მოხსნა+5 პასი).

**სერია: 3:2**

„ალკოლიზინი" ✕ „პახმელიას"

„ალკოლიზინი" უნიკალური პრეპარატია, მას სამედიცინო სფეროში ანალოგი არ გააჩნია!

„ალკოლიზინის" დახმარებით თქვენ თავიდან შეგიძლიათ აიცილოთ „პახმელიის სინდრომი", დაიცვათ ღვიძლი ალკოჰოლური გადაგვარებისაგან.

„ალკოლიზინი" დამზადებულია ეკოლოგიურად სუფთა მცენარეებისგან. ალკოლიზინს გვერდითი მოვლენები და უკუჩვენებები არ გააჩნია. ალკოჰოლის მიღების წინ არ დაგავიწყდეთ „ალკოლიზინი", ის თქვენ ცხოვრებას უფრო სასიამოვნოს გახდის. გამოიყენება პროფილაქტიკის მიზნითაც 3 კვირის განმავლობაში.



მოგვაკითხეთ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზ. №28 ან მიმართეთ „ნეოფარმის" და „ჯი პი სის" სააფთიაქო ქსელს, როგორც თბილისში, ასევე ქუთაისსა და ბათუმში. დაგვიკავშირდით ტელ. ნომრებზე 99 00 14; 92 19 68; 893 668318; 899 21 02 32 e-mail - promoila@mail.ru nikosanlld@mail.ge

მიღების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს




ძალოსნობა

# ბოლტის 8.79!!!

როგორც უკვე ვწერდით, გასულ უქმეებზე იამაიკელმა **უსაინ ბოლტმა** ამ სეზონში პირველ ოფიციალურ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფილადელფიაში 4x100 მეტრზე ესტაფეტის მეოთხე ეტაპი გაირბინა და პირველი მივიდა ფინიშთან. როგორც ორგანიზატორებმა მოგვიანებით გამოთვალეს, იამაიკელმა სპრინტერმა თავისი წილი 100 მეტრი 8.79 წამში (!) გაირბინა, თუმცა ეს შედეგი მსოფლიოს რეკორდად არ დაფიქსირდება.

ამასობაში გაირკვა 23 წლის ბოლტის განრიგი 2010 წლის სეზონში. ლეგენდარული სპრინტერი 1 მაისს იამაიკის დედაქალაქ კინგსტონში 200 მეტრს გაირბენს, 27 მაისს ოსტრავაში (ჩეხეთი) არატრადიციულ დისციპლინაში (300 მეტრი) მოსინჯავს ძალებს, შემდეგ მოდის „ბრილიანტის ლიგის" სამი ეტაპი: 12 ივნისს ნიუ იორკში, 16 ივლისს - პარიზში და 27 აგვისტოს - ბრიუსელში. სეზონს უსაინი ინდოეთში დაასრულებს, სადაც თანამეგობრობის ქვეყნების მორიგი თამაშები გაიმართება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




